პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ოთხშაბათი, 12 ივნისი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 132 (2478)

დღიური

- პოლიტპატიმართა შიმშილობა ლატვიაში.
- ინგლისის თემთა პალატის არჩევნების საბოლოო შედეგები.
- გაიხსნა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ყრილობა.
- ვარშავაში ჩავიდა ესტონეთის სამხედრო მინისტრი რეეკი.
- დააპატიმრეს საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრი ტორესი.
- პოლიციის თავდასხმა მექსიკის კომპარტიის ცეკას ბინაზე.
- იტალიის საჰაერო ესკადრილია ოდესიდან გაფრინდა სტამბოლში.

# ჩვენი მხურვალე სალამი საბჭოთა აზერბაიჯანის და სომხეთის მწერლებს
## გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ძმურ რესპუბლიკათა კულტურულ კავშირს

# ՋԵՐՄ ՎՈՂՋՈՒՅՆ ԱԴՐԲԵՋԱՆԻ ՅԵՎ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԳՐՈՂՆԵՐԻՆ
## ԿԵՑՑԵ ԱՆԴՐԿՈՎԿԱՍՅԱՆ ԵՂԲԱՅՐԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԿՈՒԼՏՈՒՐԱԿԱՆ ԿԱՊԸ

## SƏMIMI JURƏꞬIDƏN SƏLAM AZERBAJCAN VƏ ƏRMƏNISTAN KARDAŞ ÇUMHURIJƏTLƏRININ JAZLÇLLARLNA

## ძმურ ხალხთა კულტურული კავშირისათვის

(სომხეთისა და აზერბეიჯანის მწერლების ჩამოსვლის გამო)

დღეს თბილისში ჩამოდის სომხეთისა და აზერბეიჯანის მწერალთა დელეგაცია. ეს ფაქტი უთუოდ ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს მრავალეროვან ამიერ-კავკასიის მშრომელი მასების კულტურულად დაკავშირების საქმეში. უნდა გადაჭრით ითქვას, რომ დღემდე ამ მიმართულებით ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული.

ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნებათა ხალხების მჭიდრო ნაციონალურ კავშირს მტკიცე საძირკველი ჩაეყარა მას შემდეგ, რაც კავკასიონის ქედგადმოღმაც შემოიჭრა დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი ტალღა. ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ ეროვნებათა უახლოესი თანამშრომლობა სამეურნეო აღმშენებლობის დარგში და ურყევი ნაციონალური სოლიდარობა—უკანასკნელი თითქმის ათეული წლის განმავლობაში უდაო ფაქტია. მაგრამ, იმასთან შედარებით, რაც გაკეთდა ამიერ-კავკასიის ხალხების პოლიტიკურად და ეკონომიურად დაკავშირების მხრივ, თითქმის არაფრად მოსჩანს ის ღონისძიებები, რომელნიც დღემდე ჩაგვიტარებია ამ კავშირის განსამტკიცებლად კულტურული შემოქმედების სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვერდი-გვერდ ვცხოვრობთ, გვაქვს ამიერ-კავკასიის გამაერთიანებელი პარტიული, სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანოები, მაინც ვერ ვიცნობთ ერთმანეთს ისე, როგორც ამას მოითხოვს ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მობინადრე ეროვნებათა ძმობის ინტერესები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ის კარჩაკეტილობა, რომელსაც აქვს ადგილი ამიერ-კავკასიის ეროვნებათა მიერ ერთმანეთის მიერ ერთმანეთის ენის შესწავლის საკითხში, იმ დროს, როდესაც ჩვენ საკუთარ ადგილობრივ და რუსულ ენის შესწავლის შემდეგ ყურადღებას ვაპყრობთ ევროპიულ ენების შესწავლას, რაც უთუოდ აუცილებელია, თითქმის სრულიად არ ვიჩენთ ინტერესს მეზობელ, მოძმე ხალხთა ენის, ხელოვნების და, საერთოდ, კულტურულ მიღწევათა პოპულარიზაციისადმი ამიერ-კავკასიის ფართე ფენებში.

ჩვენი კულტურული დაწესებულებანი, სახალხო განათლების კომისარიატები, სახელმწიფო გამომცემლობანი, პრესა, უმაღლესი სკოლები და ხელოვნების დარგის მუშაკნი დღემდე ვერ იჩენენ სათანადო აქტიობას ამიერ-კავკასიის ხალხთა კულტურულად დაახლოების საქმეში. საქართველოს მშრომელი მასები თითქმის სრულიად არ იცნობენ აზერბეიჯანისა და სომხეთის მწერლობას. ამდენადვე უცნობია სომხეთისა და აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა ფართე ფენებისათვის ქართული ხელოვნების მიღწევები. ასეთი მდგომარეობა, თავის თავად ცხადია, დიდხანს ვერ გასტანს. საჭიროა დავძლიოთ ის კულტურული კარჩაკეტილობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა ამიერ-კავკასიის ცალკე ეროვნებათა შორის და რომელიც ერთ-ერთ დიდ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის განვითარებისათვის.

ამ მხრივ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების მწერალთა ნაბიჯი ურთიერთ დაახლოებისაკენ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ის ფაქტი, რომ საქართველოს მწერლებს და პოეტებს იშვიათი ძმური შეხვედრა გაუმართა აზერბეიჯანის საბჭოთა საზოგადოებრიობამ, ის ფაქტი, რომ აზერბეიჯანისა და საქართველოს მხატვრული მწერლობის წარმომადგენლებს განსაკუთრებული თანაგრძნობით შეეგებებ სომხეთის მშრომელი მასები, მჭერმეტყველურად მოწმობს, თუ რამდენად მომწიფდა ამიერ-კავკასიის ხალხების კულტურული კავშირის განმტკიცების საკითხი.

ცხადია, ამიერ-კავკასიის ეროვნებათა ამ ერთსულოვან განწყობილებას ერთმანეთთან დაახლოებისაკენ მხატვრული შემოქმედების დარგში, ხელი შეუწყო იმ სწორ ნაციონალურ პოლიტიკამ, რომელსაც ურყევად ანხორციელებდა ჩვენში კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მწერალთა ძმური დაკავშირება, შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩვენს პირობებში. მენშევიკურ-მუსავატურ - დაშნაკურ ამიერ-კავკასიას, რომელიც მოძმე ხალხთა ომის სისხლში იხრჩობოდა, ასეთი რამ არც კი მოელანდებოდა, სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მწერალთა მტკიცე კავშირი ახალი ლახვარია იმათთვის, ვისაც არ ასვენებს ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხთა მშვიდობიანობა, ვინც, კაპიტალიზმისა და ზოოლოგიურ ნაციონალიზმით დაავადებული, დღესაც დაძრწის იმპერიალისტურ მთავრობათა დერეფნებში და ეკვებება მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამხობის ილიუზიებით.

საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მწერლების მიერ დაწყებული საქმე ყოველნაირად უნდა იქნას წახალისებული და ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული. მთავარი—ჯერ წინ არის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რამდენად მტკიცედ და სისტემატიურად გაატარებს ამიერ-კავკასიის მწერლობა თავის ყოველდღიურ მუშაობაში იმ დაპირებებს, რომელსაც ის იძლევა ამ საზეიმო შეხვედრათა დროს, პარტია და ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიაც, შესაფერ დახმარებას და ხელმძღვანელობას გაუწევს სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მწერლებს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

მხურვალე სალამი ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკათა მწერლებს!

## იუნგის გეგმა

იუნგის გეგმა ჯერ კიდევ სერიოზულად, დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი. მხოლოდ მაშინ, როცა ექსპერტთა კონფერენციის მუშაობის დაწვრილებით ანალიზს მოვახდენთ, შევძლებთ საბოლოო დასკვნის გამოყვანა პარიზში ხელმოწერილი შეთანხმების პოლიტიკური და ეკონომიური შედეგების შესახებ. მაგრამ ის, რაც უკვე ვიცით გაზეთებიდან, საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ სხვადასხ. ფაქტი და სათანადო დასკვნები გამოვიყვანოთ.

იუნგის გეგმა უმთავრესად შემდეგით ხასიათდება. იუნგის გეგმისა და დაუესის გეგმის პირველ განსხვავებას შეადგენს გერმანიის წლიური გადასახადის სხვადასხვაობა. დაუესის გეგმის თანახმად, გერმანიას ამ გეგმის მოქმედების მეხუთე წლიდან (ე. ი. სწორედ მიმდინარე წლიდან) წლიურად უნდა გადაეხადა 2.500 მილ. ოქროს მარკა; პარიზის ხელშეკრულების თანახმად, პირველი 37 წლისათვის წლიური თანხა შემცირებულია 1.988.890.000 ოქროს მარკამდე. ამგვარად, პირველი დასკვნა ის არის, რომ გერმანიის წლიური გადასახადი 500 მილიონ მარკაზე მეტად არის შემცირებული.

არის თუ არა ეს გერმანიის დელეგატების გამარჯვება? პასუხი, თითქოს, ცხადი და აშკარაა. გერმანიას წლიურად 500 მილიონი მარკით ნაკლების გადახდა მოუწევს. გერმანიის სახალხო მეურნეობის შეღავათი უდავოა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სახალხო-სამეურნეო წრეებს ეშინოდათ, დაუესის გეგმის განსაზღვრული მუხლების თანახმად, გერმანიის კეთილდღეობის დონის ამაღლებას შეეძლო გამოეწვია ყოველწლიური გადასახადის გადიდება, კიდევ უფრო ცხადი იქნება გერმანიის დელეგატების გამარჯვება.

მაგრამ შეცდომა იქნება, რომ წმინდა არითმეტიკულ დასკვნას დავჯერდეთ. არ უნდა დავივიწყოთ შემდეგი: პარიზის მოლაპარაკების დაწყების დროს, დაუესის გეგმის მოქმედების მეხუთე წელს უდავო ჭეშმარიტებად გადაიქცა, რომ გერმანიის სახალხო მეურნეობა დიდხანს ვერ გაიღებდა სარეპარაციო გადასახადების საარაკო თანხებს. გერმანიის კრედიტორების წინაშე დაუესის გეგმის გაუქმების საკითხი წამოიჭრა. იმის ნაცვლად, რომ გერმანიას აშკარა, ცხადი უარი განეცხადებინა გადასახადების გადახდაზე, მან მოკავშირეებს ხელახლა დაუდასტურა, რომ იგი მზად არის კვლავაც იხადოს ყოველწლიური ხარკი, თუნდაც ერთი მეხუთედით შემცირებული. არ შეიძლება საკმაოდ არ შევაფასოთ გერმანიის ახალი და, ამასთანავე „ნებაყოფლობითი" დასტური იმისა, რომ იგი მზად არის კვლავაც გაიღოს გადასახადი. მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ გერმანიის ამ დასტურს ადგილი ჰქონდა არა 1924 წელს, როდესაც გერმანიის სახალხო მეურნეობა თითქმის სრულ კატასტროფას განიცდიდა, არამედ 1929 წელს, როდესაც გერმანიას გაცილებით მეტი ძალა და საფუძველი აქვს იმისათვის, რომ პროტესტი განაცხადოს და უარი სთქვას ოქროს ხარკის გადახდაზე.

ამგვარად, თუ ყოველწლიური გადასახადების პრობლემას მშრალი არითმეტიკის თვალსაზრისით კი არ მივუდგებით, არამედ გავითვალისწინებთ გერმანიის ახალი თანხმობის ყველა პოლიტიკურ და ეკონომიურ შედეგს, გერმანიის დელეგატების გამარჯვება ამ საკითხში გაცილებით უფრო მკრთალი გამოდგება.

იუნგის გეგმისა და დაუესის გეგმის მეორე განსხვავებას შეადგენს როგორც ყველა რეპარაციის სრული ჯამის, ისე მათი გადახდის საბოლოო ვადის ფიქსაცია. ეს ვადა, როგორც ვიცით, 59 წელიწადს შეიცავს; იგი გაყოფილია ორ ნაწილად: პირველი 37 წელიწადი და შემდგომი 22 წელიწადი. არითმეტიკულად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პარიზის შეთანხმებით ფიქსაციაქმნილი საერთო ჯამი რეპარაციებისა გაცილებით ნაკლებია ყველა იმ ციფრთან შედარებით, რომლებსაც დღევანდლამდე ასახელებდნენ. ცნობილია, რომ 1919—20 წლებში გერმანიის რეპარაციების ჯამს განსაზღვრავდნენ 250 მილიარდი ოქროს მარკით. 1921 წელს ლონდონის კონფერენციაზე ეს ჯამი შემცირებულ იქნა 132 მილიარდ მარკამდე. 1923 წელს პარიზისა და ლონდონის კონფერენციებზე ეს თანხა შემცირდა 50 მილიარდ მარკამდე. არც ერთმა კონფერენციამ რეპარაციების საბოლოო ჯამის ფიქსაცია მაინც არ მოახდინა. მისი ფიქსაცია არ მოახდინა არც დაუესის გეგმამ, მან დააწესა მხოლოდ წლიური გადასახადები, მაგრამ გადახდის ხანგრძლივობა გამოურკვევლად დასტოვა. იუნგის გეგმამ მოახდინა როგორც საერთო ჯამის, ისე მისი გადახდის ვადის ფიქსაცია. ამასთანავე ხარკის ჯამის ფიქსაცია უფრო დაბალ დონეზე მოხდა (თუ პროცენტებს არ ვიანგარიშებთ), ვიდრე უკანასკნელად დასახელებული ციფრია.

ამგვარად, ამ საკითხშიაც თითქოს გერმანიის სახალხო მეურნეობა მოგებაში დარჩა. მაგრამ ეს დასკვნაც შემცდარი იქნებოდა. ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის სახალხო მეურნეობის წარმომადგენელნი სრულებითაც არ ცდილობდნენ არც საბოლოო ჯამისა და არც მისი გადახდის ვადის ფიქსაციას. ეს გასაგებია, რადგან სამეურნეო და პოლიტიკურ კონიუნქტურას შეიძლებოდა საშუალება მიეცა გერმანიისათვის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ სრულიად განთავისუფლებულიყო სარეპარაციო ვალისაგან. ახლა ეს გაცილებით უფრო ძნელია, რამდენადაც გერმანიამ თანხმობა განაცხადა, რომ ვალს 59 წლის განმავლობაში გადაიხდის. მართალია, არავინ, არამც თუ გერმანია, მისი კრედიტორებიც კი, სერიოზულ საქმედ არ სთვლის ამ ვადას, მიუხედავად ამისა ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულება, რომ გერმანია 59 წლის განმავლობაში გადაიხდის სარეპარაციო ვალს, უეჭველად შეზღუდავს მის მომავალი მოქმედების თავისუფლებას ვალის გადახდის შეცვლის საქმეში.

იუნგის გეგმის დანარჩენ დებულებათაგან ჩვენ გვინდა შევეხოთ ნატურალურ გადასახადთა საკითხს, გერმანიის რეპარაციებისა და მოკავშირეთა ვალების კავშირის საკითხს და, ბოლოს სარეპარაციო ბანკის დაარსების საკითხს.

ცნობილია, რომ სარეპარაციო გადასახადების ნაწილს, როგორც დაუესის გეგმამდე, ისე ამ გეგმის თანახმად, გერმანია იხდიდა საქონლის სახით. იუნგის გეგმის მიხედვით ეს ნატურალური გადასახადი წლიურად გამოიხატება 750 მილიონი მარკით, ამასთანავე ყოველწლიურად 50 მილიონი მარკით მცირდება და შეწყდება 10 წლის შემდეგ პარიზის შეთანხმების დღიდან. ეს პირობაც, ერთი შეხედვით, გერმანიის მიღწევად მოსჩანს, არსებითად კი იგი გერმანიის მრეწველობის ინტერესების სერიოზული შებღალვაა. საქმე ის არის, რომ ნატურალური გადასახადი გერმანიის სახალხო მეურნეობას უზრუნველყოფილ ბაზარს უქმნიდა მეტად თვალსაჩინო თანხის საქონლის გასასაღებლად. იუნგის გეგმის თანახმად, ეს გამსაღებელი ბაზარი სისტემატიურად შემცირდება და ნატურალური გადასახადის ადგილს დაიჭერს ვალიუტის გაღება. ამგვარად, გერმანიის სახალხო მეურნეობისათვის წლითი წლობით გამწვავდება გამსაღებელი ბაზრის პრობლემა. ასეთ პირობებში საეჭვოა, რომ დადგენილება ნატურალური გადასახადის შესახებ გერმანიის დელეგატების გამარჯვებად ჩაითვალოს.

პირველი 37 წლის განმავლობაში გერმანიის სარეპარაციო გადასახადები მოხმარდება კრედიტორების სამხედრო ზარალის ანაზღაურებას, აგრეთვე მოკავშირეთა ვალების გასტუმრებას. უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში გერმანია ვალდებულია უზრუნველჰყოს კრედიტორი სახელმწიფოების იმ ვალის დაფარვა, რომელიც მათ შეერთებული შტატებისა მართებთ. იუნგის გეგმის ამ პირობას უეჭველად პირველხარისხოვანი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მოკავშირეებმა ამით პირველად მოახერხეს გერმანიისათვის ფორმალურად იმ ვალის დაკისრება, რომელიც მათ შეერთებული შტატებისა მართებთ. გერმანია არსებითად შეერთებული შტატების ერთადერთ მოვალედ გადაიქცა, ინგლისი და საფრანგეთი კი გადამცემ ინსტანციას წარმოადგენენ ამ ვალის გასტუმრებაში.

განსაკუთრებით საინტერესოა იუნგის გეგმის ის ნაწილი, რომელიც შეეხება სარეპარაციო ბანკის დაარსებას. ამ ბანკის პრობლემას ჩვენ ისევ დაუბრუნდებით, რადგან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხებს, რომლებსაც მისი დაარსება წარმოშობს. მაგრამ უკვე ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ სარეპარაციო ბანკი იმ მძლავრ მილად გადაიქცევა, რომლის საშუალებითაც ამერიკის კაპიტალი გვერდს აუხვევს ინგლისის საბანკო დაწესებულებათა შუამავლობას და, გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე აქამდე, ევროპის სახალხო მეურნეობაში გაიკვლევს გზას. ამ ბანკის მოქმედება და მისი მოგებანი უშუალო გავლენას მოახდენენ გერმანიის გადასახადთა რაოდენობაზე. აქედან წარმოსდგება ის, რომ გერმანიის სახალხო მეურნეობა უეჭველად დაინტერესებული იქნება ბანკის ოპერაციებით. მაგრამ ამ ოპერაციებს, მათ ხასიათს და რაოდენობას გერმანია ვერ მისცემს მიმართულებას, ბანკის მართვა-გამგეობაში ხელმძღვანელ როლს ამერიკის საქმიანი წრეები შეასრულებენ. სწორედ ისინი მიმართავენ და ფინანსებს მიაწოდებენ გერმანიის ექსპორტს იმ გზით, რომელიც მათთვის იქნება სასარგებლო, თუნდაც ეს გზა შორდებოდეს გერმანიის სახალხო მეურნეობის განვითარების ორგანიულ ხაზს.

ჩვენ სრულიადაც არ ამოვწურეთ იუნგის მთელი გეგმა. მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის დასასკვნელად, რომ იუნგის გეგმა გერმანიისათვის ხელსაყრელია, მაგრამ იგი გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ერთის მხრით, ინგლის-საფრანგეთისათვის, მეორეს მხრით, ჩრდ.-ამერ. შეერთებული შტატებისათვის.

იუნგის გეგმის ეფექტიანი პოლიტიკური დამატება იქნება რეინის ევაკუაცია. სადავო არ არის ამ ევაკუაციის (თუ იგი მოხდება) პოლიტიკური მნიშვნელობა გერმანიისათვის, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ერთი ნაწილის ევაკუაციას ადგილი უნდა ჰქონდეს უკვე 1930 წელს, ხოლო რეინის ოლქის სრული დაცლა მოხდეს 1935 წელს, მაშინ ამ „პოლიტიკური დამატების" ღირებულება საგრძნობლად შემცირებული გამოდგება.

გერმანიის ბურჟუაზიული პრესა, სხვათა შორის „ფორვერტსიც" (გარდა ნაციონალისტების პრესისა) პარიზის შეთანხმებას დიდის კმაყოფილებით შეხვდა.

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ უახლოესი დღეები ერთგვარ სიფხიზლეს შეიტანენ ამ საკითხში, ასეთი გამოფხიზლება ხელს შეუწყობს გერმანიის საზოგადოებრიობას, რომ უფრო მშვიდად შეაფასოს პარიზის ხელშეკრულების შედეგები და დაინახოს მისი ნამდვილი კონტურები.

„იზვესტია", 11 ივნისი.

# მაკდონალდის მთავრობა ამერიკასთან დამოკიდებულების შესახებ
## ინგლისის თემთა პალატის არჩევნების საბოლოო შედეგები
### 614 მანდატიდან მუშათა პარტიამ მიიღო—288, კონსერვატორებმა—259, ლიბერალებმა—58 და უპარტიოებმა—9
# გერმანიის კომპარტიის ყრილობა ამხელს მენშევიკების ახალ შეთქმულებას კომპარტიის წინააღმდეგ
## მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისის კოოპერაციის დელეგაცია

## ინგლისის ახალი მთავრობის პირველი ნაბიჯები

### მაკდონალდის გეგმები

**ლონდონი**, 10 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„მაკდონალდს განზრახვა აქვს ჟენევას გამგზავრება სექტემბერში, ერთა ლიგის მორიგი საერთო კრების დროს, ხოლო აგვისტოში ან სექტემბერში გაემგზავროს ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მაკდონალდი ფიქრობს, რომ პრეზიდენტ ჰუვერთან პირად კონტაქტს უფრო ადრე შეუძლია გაუგებრობის გადალახვა და ინგლისისა და ამერიკის დამოკიდებულების გაუმჯობესება, ვიდრე სხვა რომელიმე მეთოდს.

### ჰენდერსონი მაკდონალდის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ

**ლონდონი**, 10 ივნისი. საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ ინტერვიუში, რომელიც დაიბეჭდა მუშათა პარტიის ორგანოს „დეილი ჰერალდ"-ში, საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰენდერსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მაკდონალდის მთავრობა იხელმძღვანელებს „საერთაშორისო თანამშრომლობის იდეით, ამასთან იგი ითანამშრომლებს როგორც ერთა ლიგაში შემავალ სახელმწიფოებთან, ისე იმათთან, რომელნიც ერთა ლიგაში არ შედიან, მაგ., ამერიკის შეერთ. შტატებთან და საბჭოთა კავშირთან".

შემდეგ ჰენდერსონი შეეხო ინგლისისა და ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხს და სთქვა: „ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან უდავოა, რომ მრავალი საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მისი მონაწილეობით. რაც შეგვიძლია, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ კავშირი ორი უდიდესი ინგლის-საქსონური დემოკრატიის შორის". (ადს).

### „ობსერვერ"-ი ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატებთან დამოკიდებულების შესახებ

**ლონდონი**, 10 ივნისი. ყოველკვირეული დამოუკიდებელი კონსერვატიული გაზეთი „ობსერვერ"-ი მეთაურ წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრობლემას შეადგენს ამერიკასთან დამოკიდებულება.

გაზეთის რჩევით, ვაშინგტონში უნდა მოეწყოს ჰუვერის, მაკდონალდის და კანადის პრემიერის მეკენზი კინგის შეხვედრა და მოლაპარაკება.

გაზეთი აცხადებს, რომ ინგლისის პოლიტიკა უნდა დაუპირისპირდეს „უპირველეს ყოვლისა უშიშროების" ლოზუნგს, რომელიც საარჩევნო კამპანიის დროს ბოლდუინმა წამოაყენა. კანადის პირობები (სახეში აქვთ საზღვარი კანადისა და ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, რომელიც 3.000 მილის მანძილზე დაცული არ არის) გამოყენებულ უნდა იქნას ოკეანეზედაც. ატლანტიის ოკეანე, რომელიც ჩვენსა და ამერიკას შორის მდებარეობს, დაუცველი საზღვრის უდიდეს მაგალითს უნდა წარმოადგენდეს. „თუ მუშათა პარტიის მთავრობა გამოიჩენს ამდენს „სიმამაცეს უპირველეს ყოვლისა",—ნათქვამია მოწინავე წერილში,—ჩვენ მას ორივე ხელით ტაშს დაუკრავთ". (ადს).

### სნოუდენი მოუწოდებს

**ლონდონი**, 10 ივნისი. ფინანსთა მინისტრი სნოუდენი „რეიონოლდი"-ში (კოოპერატიული მოძრაობის ამას წინად შექმნილი ორგანო) მოთავსებულ წერილში მოუწოდებს ლიბერალებს—ნუ მოითხოვთ საარჩევნო უფლების რეფორმას, არამედ დაეხმარეთ მუშათა პარტიის მთავრობას მისი უფრო მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრაში.

სნოუდენი აღნიშნავს, რომ თუ მთავრობამ მოახერხა ისეთი საკითხების სიმწვავის შენელება, როგორიც არის, მაგ. უმუშევრობის საკითხი, მაშინ ბევრი დრო დარჩება იმისათვის, რომ საარჩევნო რეფორმას შეუდგეთ. (ადს)

### კამპანია ბოლდუინის წინააღმდეგ

**ლონდონი**, 10 ივნისი. ზოგიერთი კონსერვატიული გაზეთი კამპანიას აწარმოებს ბოლდუინის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვენ ბოლდუინის გადაყენებას კონსერვატიული პარტიის ლიდერობიდან. გაზეთები ბრალსა სდებენ ბოლდუინს, რომ მან თავისი მომხრეები კატასტროფამდე მიიყვანა. „დეილი მეილ"-ი წინადადებას იძლევა—კონსერვატიული პარტიის ლიდერობა გადაეცეს ლორდ ბივერბრუკს, ცნობილი საგაზეთო ტრესტის („დეილი ექსპრესს"-ისა და სხვა გაზეთების) მფლობელს.

„დეილი მეილ"-ი აცხადებს, რომ თუ ბოლდუინი კონსერვატიული პარტიის ლიდერად დარჩება, კონსერვატიული პარტია დაიღუპება. (ადს).

### თემთა პალატის არჩევნების საბოლოო შედეგები

**ლონდონი**, 10 ივნისი. გამოქვეყნდა თემთა პალატის არჩევნების საბოლოო შედეგები. ჯერ გამორკვეული არ არის არჩევნების შედეგი მხოლოდ რეგალის ოლქში, სადაც არჩევნება 13 ივნისისათვის გადაიდო მუშათა პარტიის კანდიდატის გარდაცვალების გამო რამოდენიმე დღით ადრე არჩევნებამდე. დანარჩენ 614 მანდატიდან მუშათა პარტიას ეკუთვნის—288 მანდატი, კონსერვატორებს—259, ლიბერალებს—58 და უპარტიოებს—9. (ადს).

### პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნებში

**თეირანი**, 10 ივნისი. „სეტარე ირან"-ი ეხება რა ინგლისის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, სწერს, რომ კონსერვატორების უდიდეს შეცდომას შეადგენდა დამოკიდებულების გამწვავება შეერთებულ შტატებთან და კავშირის გაწყვეტა საბჭოთა მთავრობასთანო.

გაზეთის სიტყვით, მაკდონალდის ჩადგომა ხელისუფლების სათავეში ნაკლებად შესცვლის ინგლისის პოლიტიკის იმპერიალისტურ ხასიათს აღმოსავლეთის ქვეყნებში (ადს).

### ბენ ტერნერის კანდიდატურა

**ლონდონი**, 11 ივნისი. პრესის ცნობით მაკდონალდი ფიქრობს ნახშირის მრეწველობის საქმეთა მინისტრის პოსტი მიანდოს ფეიქართა კავშირის თავმჯდომარეს და ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს წევრს ბენ ტერნერს. (ადს).

## გერმანიის კომპარტიის ყრილობა

### „კპდ" დემონსტრაციების აკრძალვის გაუქმების შესახებ

**ბერლინი**, 10 ივნისი. კომპარტიის ყრილობის გაზეთის „კპდ"-ის პირველ ნომერში მოთავსებულია წერილი ქუჩის დემონსტრაციების აკრძალვის გაუქმების შესახებ. წერილში ნათქვამია:

„დემონსტრაციების აკრძალვა გაუქმებულია. მაგრამ ბერლინის და მთელი გერმანიის მშრომელთ კარგად ესმით, რომ ხელისუფლების დროებით უკან დახევა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ რეაქციონური კურსი პროლეტარიატის წინააღმდეგ რბილდება. პირიქით, სოციალფაშისტური რეაქცია ტერორისა და პროვოკაციის საშუალებით ფიქრობს მომავალი ლეგალური დემონსტრაციები გამოიყენოს ახალი რეპრესიებისათვის. ფრონტელთა წითელი კავშირისა და „როტე ფანე"-ს აკრძალვა ძალაში რჩება. **სოციალ - დემოკრატია და ბურჟუაზია ამზადებენ კომპარტიის აკრძალვას. კვლავ არსებობს ტენდენციები სოციალ-ფაშისტური დიქტატურის დასამყარებლად.** მუშათა კლასის ჩაგვრა გრძელდება. მაისში აღებული კურსი, რომელმაც უკვე შეიწირა 30 კაცის სიცოცხლე, კვლავ უცვლელი რჩება". (ადს).

### მასების მობილიზაცია

**ბერლინი**, 10 ივნისი. გერმანიის კომპარტიამ მიიღო ზომები, რათა საერთაშორისო წითელი დღე გადაიქცეს ქალაქისა და სოფლის მუშათა ფართო მასების ბრძოლის დღედ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, და საბჭოთა კავშირის დასაცავად. მასების მობილიზაცია მჭიდროთ არის დაკავშირებული გერმანიის კომპარტიის ყოველდღიურ ბრძოლასთან სოციალ - იმპერიალიზმის კოალიციური მთავრობის, სამედიატორო სისტემის და რეფორმისტების შტრეიკბრეხერული, გამთიშველი ტაქტიკის წინააღმდეგ.

**ბერლინი**, 10 ივნისი. ბერლინის სასპორტო სასახლეში სიტყვა წარმოსთქვა გერმანიის კომპარტიის წარმომადგენელმა ჰეკერტმა, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანიის კომპარტიის ძირითადი ამოცანაა მასების მობილიზაცია კაპიტალისტურ სახელმწიფოს, მრეწველობის და სოციალ-დემოკრატიის მთლიანი ფრონტის და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბრძოლველად, საბჭოთა კავშირის დასაცავად.

„**ჩვენი სამშობლო**, — განაცხადა ჰეკერტმა, — **საბჭოთა კავშირია. ჩვენი პარტიის ყრილობა ხელს შეუწყობს იმას, რომ გამოიჭედოს იარაღი საბჭოთა კავშირის დასაცავად, რათა ამგვარად მოვემზადოთ საბჭოთა კავშირის გაფართოვებისათვის. პარტიის ყრილობამ უნდა დასახოს გზები გერმანიის საბჭოთა რესპუბლიკის შესაქმნელად. გაუმარჯოს კომინტერნს — მსოფლიო რევოლიუციის ბელადს**".

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სასოფლო - სამეურნეო მუშებისა და ღარიბეს გლეხების წარმომადგენელი, რომელმაც ყრილობას გადასცა ნამგალი, როგორც ქალაქისა და სოფლის კავშირის ემბლემა.

ინგლისის რევოლიუციონური მუშების სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა პოლიტმა.

მიტინგი განსაკუთრებული ენტუზიაზმით შეხვდა წითელ ფრონტელთა აკრძალული კავშირის ხელმძღვანელს ლეოვს. ტაში გრძელდებოდა რამდენსამე წუთს. ლეოვმა განაცხადა: „**წითელი ფრონტის აკრძალვა არ შეიძლება, იგი კვლავ იარსებებს**".

მიტინგი ინტერნაციონალის სიმღერით დამთავრდა. (ადს).

### სოციალ - დემოკრატები ამზადებენ ახალ სისხლისღვრას

**ბერლინი**, 10 ივნისი. კომპარტიის ყრილობის 10 ივნისის დილის სხდომაზე გაგრძელდა მისალმებანი. ყრილობას მიესალმნენ შვეიცარიის და შვეციის კომპარტიები და, მუშათა საერთაშორისო დამხმარე კომიტეტი. წაკითხულ იქნა აგრეთვე მრავალი მისასალმებელი დეპეშა, სხვადასხვა საწარმოს მუშების, მასიური ორგანიზაციების და პროფკავშირთა მემარცხენე რევოლიუციონური ფრაქციების მისასალმებელი წერილები.

სამანდატო კომისიის სახელით გამოვიდა ჰეკერტი, რომელმაც, სხვათა შორის, წაიკითხა სოც.-დემოკრატთა მაგდებურგის ყრილობის დელეგატის წერილი. წერილს დიდის ყურადღებით უსმენდა მთელი დარბაზი. წერილის ავტორი აცხადებს, რომ იგი სავსებით ეთანხმება კომპარტიის ტაქტიკას, და აღშფოთებულია სოციალ - დემოკრატი ბელადების გეგმებით, რომლებსაც იგი პროვოკაციულს უწოდებს. ამ წერილების ხასიათი სავსებით გამოირკვა 29 ივნისს მომხდარ საიდუმლო თათბირზე, რომლის შესახებაც მოგვითხრობს წერილის ავტორი.

თათბირზე, რომელზედაც იხილავდნენ ბერლინში დემონსტრაციების აკრძალვის საკითხს, მონაწილეობას იღებდნენ ბელადები ველსი, ფოგელი, ზოლმანი, აუფჰეიზერი და სხ., აგრეთვე ცერგიბელი. თათბირის მონაწილენი იძულებულნი იყვნენ აღიარებიათ, რომ მაისის ამბების შემდეგ სოციალ - დემოკრატიას მხარი დაუჭირა მხოლოდ მემარჯვენე პრესამ. ამიტომ საჭიროა გაუქმდეს დემონსტრაციების აკრძალვა და გაუქმება ახსნილ იქნას „ხელოვნური" მოტივაციით.

ცერგიბელიც მიემხრო აკრძალვის გაუქმებას. მან განაცხადა, რომ „მხოლოდ მაშინ გახდება იძულებული კომპარტია ჩაებას ბრძოლაში აშკარად".

ცერგიბელის სიტყვით, მომავალში დემონსტრაციებზე აუცილებლად მოხდება შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციის შორის და შეიძლება უფრო მკაცრად ვიმოქმედოთ კომპარტიის წინააღმდეგ".

ზოლმანი ამტკიცებდა, რომ მთავრობაში საკუთარი პოლიტიკის გატარებისათვის სოციალ - დემოკრატებს ესაჭიროებათ „თავისუფლება მარცხნით". ამის მიხედვით იგი მოითხოვდა კომპარტიის დაშლას, რაც, მისი სიტყვით, „უფრო მოხერხებულად უნდა იქნას მომზადებული, ვიდრე დემონსტრაციების აკრძალვა".

ამის გამოქვეყნებას ყრილობაზე უდიდესი აღშფოთებით შეხვდნენ.

ჰეკერტმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ სოციალ-დემოკრატების ბელადთა პოლიტიკა უკიდურეს დაცემამდე მივიდა; სოციალ - დემოკრატები 1 აგვისტოს დღისათვის, ახალ სისხლის ღვრას ამზადებენ.

შემდეგ **ტელმანმა** გააკეთა მოხსენება პოლიტიკურ მდგომარეობისა და პარტიის ამოცანების შესახებ. ამხ. ტელმანს მხურვალე მისალმებებით და ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდნენ. დელეგატები გაიძახოდნენ — „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს"-ო. (ადს).

## ინგლისის კოოპერატორთა დელეგაციის ჩამოსვლა

**მოსკოვი**, 11 ივნისი. 9 ივნისს მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისის კოოპერაციის დელეგაცია. დელეგაციაში შედიან ბითუმად შესყიდვის ინგლისის საზოგადოების დირექტორი **ბლერი** და **ბრეტშიუ** და საზოგადოების ზეთის განყოფილების გამგე **ოუენ ტომასი**.

9 ივნისს დელეგაციამ მიიღო საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი, რომელთანაც, საუბარშიაც დელეგაციის თავმჯდომარემ განაცხადა:

„**ჩვენს ჩამოსვლას საბჭოთა კავშირში წმინდა საქმიანი ხასიათი აქვს. ჩვენ ვცდილობთ განვავითაროთ ვაჭრობა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის კოოპერაციას შორის. საბჭოთა ერბო, კვერცხი და სხვა პროდუქტები თავისი ხარისხით სავსებით აკმაყოფილებენ ინგლისის ბაზარს**". (ადს).

**მოსკოვი**, 11 ივნისი. 10 ივნისს ინგლისის დელეგაცია ეწვია „მასლოცენტრს" და „ცენტროსოიუზ"-ს. 12 ივნისს დელეგაცია ციმბირში მიემგზავრება. (ადს).

## ინგლის-საბჭოთა ეკონომიური ურთიერთობა

### ამხ. კონიუხოვი ინგლისში გაემგზავრა

**მოსკოვი**, 11 ივნისი. ლითონის ჩამომსხმელი ქარხნების პატრონთა ბრიტანეთის ასოციაციის მიწვევით ინგლისში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სამანქანო - ტექნიკური სინდიკატის თავმჯდომარე ამხ. კონიუხოვი. ამხ. კონიუხოვი დაესწრება მორიგ საერთაშორისო კონგრესს, რომელიც განიხილავს ლითონის ჩამომსხმელი წარმოების საკითხებს. (ადს).

### შეუდგნენ საბჭოთა ტექნიკის მიღწევების შესწავლას

**მოსკოვი**, 11 ივნისი. დიდმა ინგლისურმა ფირმამ „ბაბკოკ ვილკოკს"-მა არკოსის შუამავლობით „გლაველექტროს" მიმართა თხოვნით — ნება დართოს ფირმის ინჟინერებს გაეცნონ საბჭოთა საწარმოებში ანტრაციტის წვის საშუალებებს. (ადს).

## გაფიცვა საავტომობილო ქარხანაში

### შეტაკება პოლიციასთან

**პარიზი**, 10 ივნისი. ოდენკურის (დუს დეპარტამენტი) საავტომობილო ფაბრიკაში, „პეჟო"-ში ლოკაუტი გამოუცხადეს 2.000 მუშას. ლოკაუტის საპასუხოდ „პეჟო"-ს მუშებმა გამოაცხადეს სოლიდარობის გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 6.000 კაცი. დუს დეპარტამენტის პრეფექტმა სუშოში, ოდენკურსში და დეპარტამენტის სხვა ადგილებში საალყო წესები გამოაცხადა.

„ლიუმანიტე"-ს ცნობით, 4 ივნისს სუშოში ფაბრიკის შენობის წინ მოხდა სერიოზული შეტაკება. ჟანდარმთა კაპიტანმა 3.000 მუშებისაგან შემდგარი დემონსტრაციის გასაფანტავად უბრძანა აეტეხათ სროლა. მუშებმა ჯარს ქვები დაუშინეს და აიძულეს უკან დაეხია. საღამოთი, გაფიცულთა მიტინგის შემდეგ, გაიმართა ახალი დიდი დემონსტრაცია, თუმცა იგი აკრძალული იყო პრეფექტის მიერ. სელონკურის მუნიციპალიტეტმა; (დუს დეპარტამენტში), სადაც უმრავლესობას კომუნისტები შეადგენენ, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სალამს უძღვნის „პეჟო"-ს მუშებს და აღუთქვამს მათ მატერიალურ და მორალურ დახმარებას.

მუნიციპალიტეტმა დაადგინა — გადაიდოს გაფიცული და ლოკაუტ გამოცხადებული მუშების დასახმარებლად 5.000 მანეთი.

## პოლიტპატიმართა შიმშილობა ლატვიაში

### მღელვარება მუშებს შორის

**რიგა**, 10 ივნისი. მუშათა წრეების ცნობით, მაისის უკანასკნელ დღეებში ქალაქ დვინსკში დიდ მღელვარებას ჰქონდა ადგილი. პოლიტპატიმრები მოითხოვდნენ ადამიანურ მოპყრობას და წყლით სავსე კარცერებში ჩამწყვდეული ამხანაგების განთავისუფლებას. პოლიტპატიმართა დასამშვიდებლად და საპყრობილესთან თავმოყრილ მუშათა მასების გასარეკად რამდენჯერმე გამოიწვიეს ჯარის ნაწილები. **პოლიტპატიმრებმა გამოაცხადეს შიმშილობა, რომელიც არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში გრძელდება.** პოლიციელების, საპატიმროს მოსამსახურეთა და ჯარის მკაცრმა რეპრესიებმა პოლიტპატიმართა წინააღმდეგ დიდი მღელვარება გამოიწვია დვინსკის მუშებს შორის, ისე, რომ თვით სოციალ-დემოკრატი მინისტრებიც კი იძულებული გახდნენ, როგორც „სოციალ - დემოკრატს"-ი იუწყება, მოეთხოვათ იუსტიციის მინისტრისაგან ამ ამბების გამოძიება.

როგორც „ლატვის"-ი იუწყება, სეიმის მუშურ - გლეხურმა ფრაქციამ რიგაში მოიწვია მასიური კრებები, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრმა აკრძალა. მიუხედავათ აკრძალვისა, მუშები მაინც შეეცადნენ შეკრებილიყვნენ, მაგრამ პოლიციამ ისინი გაფანტა. (ადს).

## საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა

**პარიზი**, 10 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობაზე ნანსიში განხილულ იქნა საკითხი პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მუშაობის შესახებ. კამათში **ლეონ ბლიუმმა** (სოციალისტური პარტიის ლიდერმა) აღნიშნა, რომ სოციალისტები ვერ იკისრებენ პასუხისმგებლობას სარეპარაციო საკითხის ისე გადაჭრისათვის, როგორც იგი აღნიშნულია ექსპერტთა კომისიის მოხსენებაშიო".

შემდეგ ბლიუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს იმ ვალების შესახებ, რომლებიც მოკავშირეებს ერთმანეთისა მართებთ, და რომ მსოფლიო მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის გამო საჭიროა მიღწეულ იქნას სოლიდარობა შეერთებულ შტატებსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის. შემდეგ ბლიუმმა სთქვა:

„არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მშვიდობიან სოციალისტურ საფრანგეთს (ე. ი. საფრანგეთს, რომლის მთავრობის შემადგენლობაშიაც სოციალისტები შევლენ) არ შეეძლოს მიაღწიოს იმას, რასაც ვერ მიაღწია მილიტარისტულმა საფრანგეთმა"-ო. (ადს).

## სხვადასხვა

— **ტორესის დაპატიმრება.** აჟერში (საფრანგეთი) დააპატიმრეს საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრი ტორესი, რომელიც ორი წლის განმავლობაში იმალებოდა მას შემდეგ, რაც სასამართლომ 8 თვის პატიმრობა მიუსაჯა.

ტორესთან ერთად დააპატიმრეს 3 კომუნისტი, რომელთაც ჰბრალდებათ იარაღის უკანონოდ ტარება. (ადს).

— **გაფიცვისაკენ მოწოდებისათვის.** არლის (საფრანგეთი) სასოფლო - სამეურნეო მუშების უნიტარული პროფკავშირის მდივანს, როლანს მიუსაჯეს დაპატიმრება 25 დღით, იმისთვის, რომ იგი მუშებს მოუწოდებდა გაფიცვისაკენ.- (ადს).

— **ესტონეთის სამხედრო მინისტრი ვარშავაში.** ვარშავაში ჩამოვიდა ესტონეთის სამხედრო მინისტრი გენერალი რეეკი. (ადს).

— **თავდასხმა კომპარტიის ცეკას სადგომზე.** მექსიკაში პოლიცია თავს დაესხა კომპარტიის ცეკას სადგომს, დაბეჭდა იგი და, აკრძალა პარტიის ცენტრალური ორგანო „ელ მაჩეტე". (ადს).

— **ჯარიმის გადაუხდელობისათვის.** ყოფ. კომდეპუტატს კორნავენს (საფრანგეთი), რომელსაც ჯარიმა ჰქონდა მისჯილი იმის გამო, რომ იგი „ურჩობისაკენ მოუწოდებდა ჯარისკაცებს", ჯარიმის გადაუხდელობისათვის ეხლა დაპატიმრება მიუსაჯეს. (ადს).

— **მანიფესტაცია კომუნისტების საფლავზე.** მონპარნასის სასაფლაოზე კომუნისტების საფლავებთან გაიმართა პარიზის მუშების მანიფესტაცია. (ადს).

— **კომკავშირელთა შეხვედრა.** გერმანიის კომკავშირის მიუსტერლანდის საოლქო ორგანიზაცია 30 ივნისს ქ. რეინში (ვესტფალიაში) აწყობს ჰოლანდიის მოსაზღვრე ადგილების კომკავშირთან შეხვედრას. შეხვედრის მიზანია ბრძოლა გერმანიის კომკავშირის აკრძალვის წინააღმდეგ. (ადს).

— **საპროტესტო მიტინგი.** სოფიაში გაიმართა საპროტესტო მიტინგი ბულგარელთა დევნის წინააღმდეგ იმ ოლქებში, რომლებიც მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ-სლავიის შეერთეს. მიტინგმა დაადგინა — მიმართოს ერთა ლიგას პროტესტით სამხრეთ - სლავიის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ. (ადს).

## მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### ინგლისის ბურჟუაზია ნდობას უცხადებს მუშათა მთავრობას
### კაპიტალისტები შეტევაზე გადადიან მუშათა კლასის წინააღმდეგ

**მოსკოვი**, 11 ივნისი. „პრავდა"-ს ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება:

კონსერვატორების გაზეთ „ობსერვერში" ინგლისის ცნობილი მრეწველები გამოსთქვამენ თავიანთ აზრს მაკდონალდის მთავრობის მომავალ მუშაობის შესახებ.

გემთამშენებლობის უდიდესი საწარმოების გაერთიანების ხელმძღვანელმა ხიჩენსმა განაცხადა: **ეს იქნება კარგი მთავრობა.** ახალი მთავრობა მოღვაწეობის შედეგად უნდა მოველოდეთ მრეწველობის გაუმჯობესებას.

ინგლისის სავაჭრო პალატების ყოფილი თავმჯდომარე ფიქრობს, რომ **მუშათა მთავრობა გაცილებით უფრო ზომიერ პოლიტიკას აწარმოებს**, ვიდრე ეს ბევრს წარმოუდგენია. მრეწველთა ნაციონალური კავშირის თავმჯდომარე სწერს, რომ მაკდონალდმა მეტად მოხერხებულად შეარჩია მინისტრები. ის ფაქტი, რომ მთავრობაში შედის ტომასი, საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს იმისათვის, რათა მთავრობამ არ მოახდინოს მოუფიქრებელი ექსპერიმენტები.

ამრიგად კაპიტალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ მაკდონალდის მთავრობა იმუშავებს ბურჟუაზიის სასარგებლოდ. მაკდონალდის სიტყვამ, რომელიც გადაცემულ იქნა რადიოთი, კიდევ უფრო განამტკიცა ინგლისის კაპიტალისტების ეს იმედები. გათამამებული მრეწველები უკვე შეუდგენ საქმეს. გაცხოველებული ტემპით იწყება კაპიტალისტური რაციონალიზაცია, ხელფასის შემცირება, სამუშაოდან დათხოვნა და სხვ.

ბამბის ქსოვილების მრეწველთა ფედერაციამ ისევ წამოაყენა საკითხი მის შესახებ, რომ ლანკაშირის ფეიქრებს შეუმცირდეს ხელფასი 12 ნახ. პროცენტით. უკვე არის იმის ნიშნები, რომ მუშათა მასებში უკმაყოფილებას იწვევს კაპიტალისტური რაციონალიზაციის გატარება. კაპიტალისტების შეტევასთან ერთად კლასობრივი ბრძოლის გამწვავება აუცილებელია.

### აფხაზეთის კურორტების გაუმჯობესებისათვის

**მოსკოვი**, 11 ივნისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა ამიერ-კავკასიის მთავრობასთან შეთანხმებით გამოიმუშაოს აფხაზეთის კურორტების აღდგენისა და გაუმჯობესების გეგმა, რომლის განხორციელებაც უნდა დაიწყოს უახლოესი დროის განმავლობაში.

### საბჭოთა საათები

**მოსკოვი**, 11 ივნისი. ზუსტი მექანიკის ტრესტი შეუდგა საბჭოთა საათების დამზადებას. მახლობელი წლის განმავლობაში ბაზარზე გამოშვებული იქნება 100.000 ჯიბის საათი.

### შალიაპინის დამარცხება

**მოსკოვი**, 11 ივნისი. მოსკოვში მიღებულია ცნობა შალიაპინის უკანასკნელი კონცერტის შესახებ, რომელიც გაიმართა პარიზში. შალიაპინის კონცერტის შემდეგ ასეთივე კონცერტი მოაწყო მუშა დროვიანიკოვმა, ბანმა, რომელიც საბჭოთა კავშირიდან გაგზავნილია ევროპაში სიმღერის შესასწავლად. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ დროვიანიკოვმა აშკარად დაჩრდილა შალიაპინი თავისი იშვიათი, ძლიერი და მუსიკალური ხმით. შალიაპინმა იმღერა მხოლოდ 11 არია. აუდიტორია, რომელიც თითქმის მთლიანად პარიზის არისტოკრატიისაგან შესდგებოდა, მეტად თავდაჭერით შეხვდა შალიაპინს გამოსვლას. სულ სხვა განწყობილება შექმნა დროვიანიკოვის კონცერტზე. დროვიანიკოვს მსმენელები იშვიათ ოვაციებით შეეგებენ და აიძულეს ის 25 არია ემღერა. პრესა და კომპეტენტური პირები მუსიკის დარგიდან დიდი ქებით იხსენიებენ დროვიანიკოვს.

დღეს, ივნისის 12, საღამოს 7 საათზე
შესდგება
**ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა**
წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი: ს. თოდრია

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს საქართველოს მშრომელნი ეგებებიან აზერბაიჯანის და სომხეთის მწერლებს

## გაუმარჯოს ძმურ ხალხთა კულტურულ კავშირს

### კულტურული კავშირისათვის

(სომხეთის და აზერბაიჯანის მწერალთა დელეგაციების ჩამოსვლის გამო)

მრავალი წლების განმავლობაში მეფის თვითმპყრობელობა და მისი მოხელეები ერთმანეთის წინააღმდეგ რაზმავდენ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ხალხს; ისინი ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის გაუვალი ზღვარის დადებას ცდილობდენ. ასეთი პოლიტიკის მეოხებით თვითმპყრობელობამ ამიერკავკასია ძმათა შორის სისხლის ღვრის ასპარეზათ გადააქცია.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოშორებულმა მენშევიკებმა, დაშნაკელებმა და მუსავატელებმა „ღირსეულად" განაგრძეს ამიერ-კავკასიაში თვითმპყრობელობის გზა: ერთმანეთის სიძულვილის, მტრობის და სისხლის ღვრის პოლიტიკა.

ამიერ-კავკასიის მშრომელთა შეერთებული ძალით და ხანგრძლივი ბრძოლით დაეცა მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების შოვინისტური ხელისუფლება.

მხოლოდ კაპიტალისტების და მემამულეების ბატონობის დაცემის შემდეგ შეიქნა შესაძლებელი ამიერ-კავკასიის ერთა შორის მშვიდობიანობის დამყარება და მუშაობა ამიერ-კავკასიის სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა პირველ ყრილობაზე საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მუშებმა და გლეხებმა შექმნეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომ ამ გზით შეერთებულად ეშუშავნათ ქვეყნის აღდგენისა და ინდუსტრიალიზაციისათვის.

ამიერ-კავკასიის შემდგომი წარმატება და გამარჯვება მოითხოვს ჩვენგან არა მარტო სამეურნეო და პოლიტიკურ მტკიცე კავშირს, არამედ კულტურულ დაკავშირებასაც, შეერთებულის ძალით მუშაობას ახალი კულტურის შექმნისათვის.

მხატვრულ ლიტერატურას, ხელოვნებას, ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება.

ამიერ-კავკასიის მწერალთა კულტურული დაკავშირება, გამოცდილებათა გადაცემა, ერთმანეთისათვის მიღწევათა გაცნობა, უეჭველათ ხელს შეუწყობს ახალი კულტურის მშენებლობის საქმეს.

საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მწერალთა ურთიერთი გაცნობა უსათუოდ ხელს შეუწყობს ამიერ-კავკასიის კულტურულ ძალთა ინტერნაციონალურ დაკავშირებასაც.

დღეს, 12 ივნისს თბილისს ესტუმრება სომხეთის და აზერბეიჯანის მწერლების დელეგაცია. ეს სტუმრობა იქნება საქმიანი. ამ შეხვედრისას პირდაპირ დაისმება საკითხი თუ როგორ დაუკავშირდნენ ერთმანეთს საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მწერლები, როგორ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი გამოცდილებანი და სხვ. საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მწერლების შეხვედრა თბილისში ხდება იმიტომაც, რომ ორგანიზაციული ხასიათი მიეცეს ამ ახალ მუშაობას კულტურის ფრონტზე. სამ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები შეერთებულის ძალით გადასწყვეტენ მრავალ საკითხებს. ისინი გაუკეთებენ ჯამს მიღებულ შთაბეჭდილებებს და გამოცდილებებს და დასახავენ გზებს მტკიცე კულტურული დაკავშირებისათვის.

საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მწერლების ეს შეხვედრა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ცენტრში—თბილისში, უნდა გახდეს საწინდარი კულტურის სფეროში მომუშავე მოწინავე საბჭოთა ძალების დაახლოვებისა და დაკავშირების, და შოვინისტურ-ნაციონალისტურ მიდრეკილებების წინააღმდეგ ბრძოლის.

გავაძლიეროთ ინტერნაციონალური სიმტკიცე, კულტურული კავშირი ამ.-კავკასიის ხალხთა შორის.

გაუმარჯოს აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მწერლების ერთიან ფრონტს!

ჩვენი პროლეტარული სალამი სომხეთის და აზერბეიჯანის საბჭოთა მწერლებს.

**შ. რადიანი.**

### აზერბაიჯანის და სომხეთის მწერალთა დელეგაციის ჩამოსვლა

დღეს, დილის 9 საათზე, სომხეთიდან ბრუნდება საქართველოს მწერალთა დელეგაცია, რომელსაც ჩამოყვება აზერბეიჯანის და სომხეთის მწერლების დელეგაციები.

სტუმრებს სადგურზე შეხვდებიან მთავრობის, პარტიული და პროფესიონალურ ორგანიზაციების, წითელი არმიის, პრესის, საქ. მწერალთა ფედერაციის, ფაბრიკა-ქარხნების მუშების და სხვ. წარმომადგენლები.

სადგურზე გაიმართება სახელდახელო მიტინგი, რომელზედაც დელეგატებს მიესალმებიან მთავრობის, პროფსაბჭოს და საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის წარმომადგენლები.

მწერალთა დელეგაციების შეხვედრის მოსაწყობად გამოყოფილია კომისია.

დელეგაციები მუშაობას შეუდგებიან დღესვე. დელეგატები დაიყოფიან ჯგუფებად და დაათვალიერებენ ზაჰესს, ნატახტარის წყალსადენის სამუშაოებს, მაუდის ფაბრიკას, სტალინის სახელობის ქარხანას, სახკინმრეწვის ფაბრიკას და სხვა.

დღეს დილის 12 საათზე მწერალთა დელეგაციები ესტუმრება გან. სახ. კომისარს ამხ. დ. კანდელაკს. შემდეგ დელეგატები დაათვალიერებენ ზაჰესს, ნატახტარის წყალსადენს, დიდომის არხს და მცხეთას. საღამოს ხელოვნების სასახლეში გაგრძელდება საუბარი გან. სახ. კომისართან.

ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრში გაიმართება სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მწერლების და მუშების დაახლოების საღამო.

სომხეთის და აზერბეიჯანის მწერალთა დელეგაციები საქართველოში დარჩებიან ერთ კვირას.

დელეგაციების შეხვედრა და საქართველოში მოგზაურობა გადაღებული იქნება სახკინმრეწვის მიერ.

### საქართველოს და აზერბაიჯანის მწერლები სომხეთში

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

**ლენინაკანი**, 11 ივნისი. დღეს დილით, ლენინაკანში ჩამოსულ მწერალთა დელეგაციას შეხვდნენ პარტიის, საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა მოსახლეობის წარმომადგენლები. შეხვედრა გრანდიოზული იყო. ორგანიზაციების, და მშრომელი მოსახლეობის სახელით დელეგაციას მიესალმა საბჭოს თავმჯდომარე ანანიანი და პარტკომის მდივანი მაკედონსკი. მხურვალე საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს **ეულმა, შანშიაშვილმა, რუსტემ ხანლიმ.** საღამოს გაიმართა საბჭოს საზეიმო სხდომა. დელეგაციის მხრივ გამოსულ **რობაქიძეს, ახვერდოვს,** აგრეთვე **დულს** და **ეფენდიევს** შეეგებნენ ხანგრძლივი ტაშით, რომელიც მქუხარე ოვაციად გადაიქცა. წითელი არმიის მისალმების საპასუხოდ მიწოშვილმა აცნობა კრებას ორივე დელეგაციის გადაწყვეტილება, რომ ისინი კისრულობენ შეფობას იმ ცხენოსან ნაწილზე, რომელმაც დელეგაციის პატივსაცემად ეზმაანიში მოაწყო აღლუმი. ამ ცნობამ აუდიტორიის უდიდესი აღტაცება გამოიწვია.

დელეგაცია აღტაცებულია ლენინაკანით, რომელიც აღორძინების გზაზე დგას და რომელმაც ორი წლის განმავლობაში უკვე შექმნა გრანდიოზული საფეიქრო ფაბრიკა, მძლავრი ჰიდროსადგური, მრავალი სხვა საწარმო და ახალი ლამაზი სახლები.

სომხეთის მშრომელთა სტუმართმოყვარეობით მოხიბლული დელეგაცია, სომხეთის მწერლებთან ერთად, რომელთაც შირვანზადე მეთაურობს, დღეს საღამოს 10 საათზე, საქართველოში მოემგზავრება.

**ვ. წულუკიძე.**

---

## უკანასკნელი ცნობები

### დაწვრილებითი ცნობები სისხლიანი შეტაკების შესახებ გასტონიაში

**ნიუ-იორკი**, 11 ივნისი. კომუნისტური „დეილი უორკერ"-ი ათავსებს დაწვრილებით ცნობებს სისხლიანი შეტაკების შესახებ გასტონიაში, სადაც პოლიციამ გაჰფანტა გაფიცულ ფეიქრების მიტინგი და დაარბია მუშათა პატარა საბანაკო ქალაქი, მუშათა თავდაცვის განიარაღების მიზნით, პოლიცია ესროდა კარავებს, რომლებშიაც ქალები და ბავშვები იმყოფებოდნენ. მოკლულია პოლიციის უფროსი, დაჭრილია სამი პოლიციელი და ფეიქართა მემარცხენე კავშირის თავმჯდომარე. საპატიმროში გაგზავნეს ფრედ ბელი, ფეიქართა მემარცხენე კავშირის მოღვაწე, რომელსაც პოლიცია გასტონიაში გაფიცვის ორგანიზატორად სთვლის. მეფაბრიკეები იმუქრებიან, რომ თვითონ გაასამართლებენ და ბოლოს მოუღებენ ბელს. დაპატიმრებულია 65 გაფიცული მუშა.

ხმებია, რომ 20 დაპატიმრებულს პოლიციის მკვლელობაში დასდებს ბრალსო.

რომდასის ამერიკულმა სექციამ დაპატიმრებულები თავის მფარველობის ქვეშ დააყენა.

### „მანჯურია დეილი ნიუს"-ის აზრი

**ხარბინი**, 10 ივნისი. იაპონელთა ოფიციოზს „მანჯურია დეილი ნიუს"-ს საეჭვოთ მიაჩნია ხარბინის ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომლებიც ვითომ საბჭოთა საკონსულოს გაჩხრეკის დროს იპოვეს.

გაზეთი სწერს:

„ბევრი ფიქრობს, რომ ეს დოკუმენტები არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ. ამტკიცებენ, რომ დოკუმენტები შედგენილია რუსი თეთრგვარდიელი ემიგრანტების მიერ. ამას მოწმობს ორფოგრაფია და თვით გადმოცემის სტილი. გარდა ამისა, დოკუმენტებში არ არის აღნიშნული—ვინ გაგზავნა ეს დოკუმენტები და ვისთან".

„მანჯურია დეილი ნიუს"-ის აზრს ზოგიერთი სხვა გაზეთიც იზიარებს. (ადს)

### პირველი ღონისძიება უმუშევრობასთან საბრძოლველად

**ლონდონი**, 11 ივნისი. უმუშევრობასთან საბრძოლველი პირველი ღონისძიების სახით ტომასი იწვევს რკინის გზის საზოგადოებათა დირექტორების თათბირს, ხოლო შემდეგ მრეწველობის სხვა დარგების წარმომადგენლებს. თათბირზე ტომასი წამოაყენებს მთელ რიგ წინადადებებს მრეწველობის რეკონსტრუქციის შესახებ. (ადს)

### გამარჯვება მახინაციების საშუალებით

**პარიზი**, 10 ივნისი. რივსალტში მუნიციპალიტეტის ხელ-ახალ არჩევნებში ანტი-კომუნისტურმა კოალიციამ თავისი სია მთლიანად გაიყვანა (რივსალტში მუნიციპალიტეტის პირველი არჩევნების დროს გაიმარჯვეს კომუნისტებმა, მაგრამ არჩევნები უკანონოდ იქნა ცნობილი.

### სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ „განიარაღებას"

**ბერლინი**, 10 ივნისი. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში კომუნისტებმა შეიტანეს წინადადება—ამოშლილ იქნას ბიუჯეტიდან მეორე ასიგნობა ჯავშნიანი კრეისერის ასაგებად. კომისიის ცხრა სოციალ-დემოკრატ წევრიდან წინადადებას ხმა მისცა მხოლოდ ხუთმა.

კომუნისტების წინადადება უარყოფილ იქნა 19 ხმით 11-ის წინააღმდეგ, ვინაიდან 4-მა სოციალ-დემოკრატმა ხმა მისცა კომუნისტების წინადადების წინააღმდეგ. (ადს)

### სომხეთის კ. პ. (ბ) ცეკასა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი

**ერევანი**, 11 ივნისი. 12 ივნისს იხსნება სომხეთის კ.პ. (ბ) ცეკასა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი. დღის წესრიგშია ამხ. გრიგორიანის მოხსენება—ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ, ამხ. ხუდრაქ სარქისიანის მოხსენება—პარტიის წმენდის შესახებ და სხვ. (ადს)

## აჯანყება შირაზის რაიონში

**თეირანი**, 10 ივნისი. კაშკაელთა ტომის აჯანყების ჩასაქრობათ შირაზის რაიონში ჯარი გაიგზავნა. როგორც ხმა დადის, აჯანყებულნი მოითხოვენ შინაურ თვითმართველობას, გუბერნატორის დანიშვნას მათი წრიდან, მძიმე გადასახადების და ზოგიერთი განკარგულების გაუქმებას.

აჯანყებულნი კარგად არიან შეიარაღებულნი. იარაღს ისინი იღებენ კონტრაბანდით, სპარსეთის ყურეს გზით.

„შეფაგე სორხ"-ი დიდ წერილს უძღვნის შირაზში მომხდარ ამბებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ აჯანყება წარმოადგენს ფეოდალური რეაქციის უკანასკნელ შებრძოლებას. აჯანყებულთა მოქმედებას, გაზეთის სიტყვით, ყაჩაღური ხასიათი აქვს. ამას წინად აჯანყებულებმა გადასჭრეს ტელეფონის მავთული შირაზსა და აბადეს შუა. მათვე განიზრახეს ძალით შეეშალათ ხელი სპარსეთის ჯარის უფროსის გენერალ შეიბანისთვის—გაევლო თავისი ჯარით შირაზზე. ჯარმა უკუაგდო აჯანყებულნი და კავშირი აღადგინა.

გაზეთები დაწვრილებით ჩამოსთვლიან მთავრობის ცდებს აჯანყების მშვიდობიანი გზით ლიკვიდაციისათვის. გაზეთის სიტყვით, აჯანყებულთა წყალობით, ამ ცდებმა სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღეს.

არაბთა ტომმა რამხემაც ისარგებლა მდგომარეობით და დაიწყო ძარცვა და ყაჩაღობა. ეხლა მთავრობა იძულებულია მიმართოს ენერგიულ ზომებს აჯანყების ჩასაქრობად.

გენერალ შეიბანის ამ მხრივ კატეგორიული დირექტივები მისცეს.

შემდეგ „შეფაგე სორხ"-ი გაკვრით ეხება კონტრაბანდული იარაღის შეტანას და სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ შეაიარაღა აჯანყებულნი და რა იდეა აერთიანებს მათ ამჟამად.

გაზეთი სწერს:

„აჯანყებულნი მარტო ყაჩაღობას არ მისდევენ, მათ მოქმედებას ღალატიც ახასიათებსო".

წერილი აღნიშნავს, რომ ეხლანდელ აჯანყებას აშკარა კავშირი აქვს იმ ამბებთან, რომლებიც შარშან მოხდა ბენტორთა ტომებს შორის შარშან მოხდა ბენტორთა ტომების ლისელების სახელს, მაგრამ გულისხმობს, რომ ეს გამოსვლები მათ მიერ არის მოწყობილი. (ადს)

## ფეიქართა გაფიცვა ბომბეიში

### გაფიცულები ენდობიან მხოლოდ კომუნისტებს

**ლონდონი**, 10 ივნისი. გაფიცულ ფეიქართა რიცხვი ბომბეიში 110.000 კაცამდე აღწევს. ფეიქართა წითელი კავშირი „გირნი კამგარ"-ი გადაჭრით უარჰყოფს მრეწველთა წინადადებას განდის ან სხვა ნაციონალისტური ბელადის შუამავლობის შესახებ. ინგლისელი კომუნისტი გეტჩინსონი, რომელიც ბომბეიში სცხოვრობს, არჩეულ იქნა „გირნი კამგარ"-ის თავმჯდომარის მოადგილედ. (ადს)

## აკადემიკოს იპატიევის ლაბორატორიის მუშაობა

### შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება

**მოსკოვი**, 10 ივნისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა აკადემიკოსის იპატიევის მოხსენება გამოყენებითი ქიმიის ლენინგრადის ინდუსტრიებთან მოწყობილი, მაღალი წნევის სპეციალური ლაბორატორიის მუშაობის შესახებ.

იპატიევმა აღნიშნა, რომ მისი მუშაობა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ისეთ სტადიაშია, რომ მოსალოდნელია ნაყოფიერი საბოლოო შედეგები. სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქის მიწოდების პრობლემა საფუძვლიანად იქნება გადაჭრილი.

გარდა ძირითადი მუშაობისა ფოსფორიტების გასანოყიერებელ ნივთიერებად გადაქცევის სფეროში, მაღალი წნევის ლაბორატორიამ დიდი მუშაობა შეასრულა დარიშხანის შენაერთების შესწავლის საქმეში, რაც მარტო თეორეტიულ ინტერესს არ წარმოადგენს, მას შეუძლია უდიდესი პრაქტიკული სარგებლობის მოტანაც.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრებმა. მათ აღნიშნეს, რომ იპატიევის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და, რომ საჭიროა მაღალი წნევის ლაბორატორიის შემდგომი განვითარება და მისი გადაქცევა სპეციალურ ინსტიტუტად.

ამხ. რუძუტაკმა აღნიშნა, რომ იპატიევის ცდებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მათი მიზანია იაფი საშუალებით და მასიურად დამზადდეს მინერალური სასუქი, ურომლისოდაც შეუძლებელია სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის განხორციელება.

ამხ. მიქოიანმა და ვოროშილოვმა წინადადება მისცეს იპატიევს — იკისროს საბჭოთა კავშირისათვის საჭირო ქიმიკოსთა კადრების მომზადება. მაღალი წნევის ლაბორატორია, ამხ. მიქოიანის და ვოროშილოვის აზრით, გამოყენებულ უნდა იქნას არა მარტო როგორც სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახდენს ცდებს, არამედ როგორც ისეთი დაწესებულებაც, რომელსაც შეუძლია მისცეს მრეწველობას მეცნიერთა და ტეხნიკოსთა კადრი.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს — მიიღოს ზომები მაღალი წნევის ლაბორატორიის მუშაობის გაშლის უზრუნველსაყოფად იმ ანგარიშით, რომ შემდეგში იპატიევის ცდები და მისი პრინციპები სავსებით იქნას გამოყენებულ მრეწველობაში.

საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს დაევალა — 1929 — 30 წლის სამრეწველო - საფინანსო გეგმაში გაითვალისწინოს მუშაობისათვის საჭირო სახსრების გაღება. მასვე დაევალა — მიიღოს ზომები, რათა მაღალი წნევის ლაბორატორიამ უზრუნველჰყოს სპეციალისტთა კადრების მომზადება მრეწველობისათვის. (ადს)

## უღმერთოთა საკავშირო ყრილობა

**მოსკოვი**, 11 ივნისი. გაიხსნა უღმერთოთა მეორე საკავშირო ყრილობა. ამხ. იაროსლავსკიმ მოკლე შესავალ სიტყვაში აღნიშნა უღმერთოთა ამოცანები სოციალისტურ მშენებლობის ეხლანდელ პერიოდში და ხაზი გაუსვა ანტირელიგიურ პროპაგანდას, როგორც კონტრ-რევოლიუციის ძალთა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალების მნიშვნელობას.

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 100 კაცი, მათ შორის ამხ. იაროსლავსკი, ლუნაჩარსკი, მაქსიმ გორკი, სემაშკო, ლარინი, დემიან ბედნი, აკადემიკოსი ბახი, პროფესორი ზავადოვსკი, სარაბიანოვი, სტუკოვი, ლოგინოვი, პროლეტარულ თავისუფალ მოაზროვნეთა გერმანიის კავშირის წარმომადგენელნი და სხვ.

ყრილობას კომინტერნის აღმასკომის სახელით ესალმება ამხ. ფელიკს კონი.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბუხარინმა, რომელიც ყრილობას მიესალმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სახელით და აღნიშნა, რომ უღმერთოთა კავშირი უნდა გახდეს მასიურ ორგანიზაციათ. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ანტირელიგიური პროპაგანდის დიფერენციაცია.

ამხ. ბუხარინი თავის სიტყვას ასე ათავებს: „გაუმარჯოს ადამიანის კოლექტიური გონების წარმატებას!".

ამხ. ლუნაჩარსკი უმთავრესად ეხება განათლების მუშაკთა არმიის კავშირს უღმერთოთა არმიასთან და გამოსთქვამს რწმენას, რომ ამ ორი არმიას შორის დამყარდება მტკიცე კავშირი, საერთო მტრის წინააღმდეგ შეტევისათვის.

მაქსიმ გორკი შეეხო ზოგიერთ დეფექტებს ჩვენს ანტირელიგიურ მუშაობაში. მაქსიმ გორკის გამოსვლას მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

პროლეტარულ თავისუფალ მოაზროვნეთა ინტერნაციონალის და გერმანიის უღმერთოთა კავშირის სახელით ყრილობას მიესალმა კენიგი. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დემიან ბედნიმ (ადს).

## „დობროლიოტ"-ის წლიური კრება

**მოსკოვი**, 11 ივნისი. შესდგა „დობროლიოტ"-ის აქციის პატრონთა წლიური კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა „დობროლიოტ"-ის გამგეობის წევრმა ამხ. ანდერსმა.

„1929 წელს, — განაცხადა ამხ. ანდერსმა, — „დობროლიოტ"-ის ჰაეროპლანებმა გაიარეს 1 მილიონ კილომეტრამდე მანძილი; საჰაერო ხაზების სიგრძე 6.406 კილომეტრს აღწევს. 1928 წელს, ისე, როგორც წინა წლებში, „დობროლიოტ"-ის საჰაერო ხაზებზე არც ერთი უბედური შემთხვევა არ მომხდარა. ამ მხრივ „დობროლიოტ"-ს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. 1928 წელს „დობროლიოტი" გადავიდა საბჭოთა ჰაეროპლანებსა და მოტორებზე".

კრებამ მოიწონა სამოქალაქო ავიაციის ხუთწლიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირმა თავისი საჰაერო ხაზების სიგრძით ხუთი წლის დამლევს მეორე ადგილი უნდა დაიჭიროს მსოფლიოში.

კრებამ საჭიროდ სცნო აგრეთვე მოსკოვ - ვლადივოსტოკის საჰაერო ხაზის დამთავრება და ადგილობრივი საჰაერო ხაზების მოწყობა შორეულ აღმოსავლეთში.

„დობროლიოტ"-ის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. რიკოვი, მის მოადგილედ — ამხ. ლეჟავა. „დობროლიოტ"-ის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა — ამხ. კსანდროვი, საზოგადოების დირექტორ - განმანაწილებლად — ამხ. პოგოდინი, მის მოადგილედ—ამხ. ანდერსი. (ადს)

## საკავშირო საგეგმო კომისიის წარმომადგენლები ლენინაკანში

**ლენინაკანი**, 10 ივნისი. ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სახელმწ. საგეგმო კომისიის განსაკუთრებული კომისია სარაიონო სექციის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ჩეტირკინის მეთაურობით. კომისიის ჩამოსვლის მიზანია — ადგილობრივ გაეცნოს სომხეთის ეკონომიკას და გამოარკვიოს 1928 — 29 საოპერაციო წლის საკონტროლო ციფრების შესრულების მსვლელობა.

ლენინაკანში ჩამოსვლამდე კომისია ძორაჰესსა და კარაკლისში იყო, სადაც დაათვალიერა ჰიდროსადგურის მშენებლობა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი ობიექტები. სასოფლო - სამეურნეო თათბირზე კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ჩეტირკინმა განაცხადა, რომ ლენინაკანში შაქრის ქარხნის აგების საკითხი დადებითად გადასწყდაო. (ადს)

## კომკავშირის ასტრახანის საოლქო კომიტეტის პლენუმი

**ასტრახანი**, 11 ივნისი. კომკავშირის საოლქო კომიტეტის პლენუმმა დაგმო ასტრახანის კომკავშირის ზოგიერთი ხელმძღვანელის პოლიტიკური სიბეცე და შემარიგებლობა მემარჯვენე საქმეებისადმი.

თანამდებობიდან განთავისუფლებულია საოლქო კომიტეტის მდივანი ბილეტკინი და საორგანიზაციო განყოფილების გამგე ბაჟენოვი.

საოლქო კომიტეტის შემადგენლობა განახლებულია. მდივნად არჩეულია ამხ. კავერიანცი. (ადს)

## გურიის პარტკონფერენციის დახურვა

**ოზურგეთი**, 10 ივნისი. დაიხურა გურიის მე-12 პარტკონფერენცია. კონფერენციამ დაამუშავა მე-16 სრულიად საკავშირო პარტკონფერენციის შედეგები. დაამუშავა აგრეთვე იმ ღონისძიებათა შესრულების შედეგები, რომლებიც დასახა საკავშირო კომპარტიის ცეკამ რეზოლიუციაში საქართველოს კომპარტიის მუშაობის გამოკვლევის შესახებ. სრულიად საქართველოს პარტყრილობაზე დელეგატებად არჩეულნი არიან ამხ. ორახელაშვილი, კახიანი, ლოლობერიძე, ვანო სტურუა, დოლიძე და სხვ.

## საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მე-4 პლენუმი

გუშინ, 11 ივნისს, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის დარბაზში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მეოთხე გაფართოვებული პლენუმი რაიკომების წევრების და უჯრედების მდივანთა დასწრებით.

პლენუმის დღის წესრიგში დასმული იყო ორი საკითხი. 1) პარტიის წმენდის შესახებ და 2) სახელმწიფო აპარატის წმენდის შესახებ, პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საოლქო გამწმენდი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ლენგნიკმა**, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

„ბოლშევიკური პარტიის ისტორია ხასიათდება მთელი რიგი შინაპარტიული ბრძოლებით. ამ ბრძოლებს დადებითი შედეგი მოჰქონდათ იმ მხრით, რომ პარტია მათგან უფრო კრისტალური გამოდიოდა და იშორებდა ისეთ ელემენტებს, რომლებსაც შეეძლოთ მერყეობა სხვებზედაც გაევრცელებიათ. აღსანიშნავია, რომ მერყეობა პარტიის რიგებში თავს იჩენდა სწორედ იმ დროს, როცა შექმნილი მდგომარეობა პარტიის თვითეული წევრისაგან განსაკუთრებულ სიმტკიცეს მოითხოვდა. დღეს, როცა ჩვენი პარტიის წინაშე დასმულია ფრიად სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის ამოცანები, ჩვენში მერყეობამ თავი იჩინა „მემარცხენე" და მემარჯვენე გადახრების სახით. გარდა ამისა პარტიას მიეტმასნენ კარიერისტული და კლასობრივად უცხო ელემენტებიც, ამიტომ პარტიის წმენდის ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა და ეს საკითხი სავსებით მომწიფებულია.

პარტია უკვე შეუდგა წმენდის ჩატარებას. შემმოწმებელი კომისიის მიერ შემოწმებულია ა.-კავკასიის და საქართველოს ხელმძღვანელი პარტმუშაკები სულ 198 კაცი. შემოწმება ტარდებოდა უჯრედების ჯგუფურ კრებებზე. სულ ჩატარდა 86 უჯრედის 19 ჯგუფური კრება, რომელსაც დაახლოვებით 10600 კაცი (პარტიული და უპარტიო) დაესწრო. შემოწმებულ ამხანაგებიდან ჭერქვეშ მუშაობის სტაჟით იყო 187 კაცი. შემოწმების შედეგები ასეთია: სამ ამხანაგს მიეცა მითითებანი, ერთს შენიშვნა, საყვედური გამოეცხადა ორს, მოხსნილია საპასუხისმგებლო თანამდებობიდან — 2, შეუმოკლდა პარტიული სტაჟი — სამს. გაუგრძელდა პარტსტაჟი ორს.

საბედნიეროდ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ამხანაგებში არც ერთი არ აღმოჩნდა პარტიიდან გამორიცხვის ღირსი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ცინცაძემ, ელენტმა, გულდავამ, ნ. ლეჟავამ, ჩიხლაძემ, შ. ლეჟავამ, ლიბერმა, ანდღულაძემ, შახსუვაროვმა, აფანასიევმა, ვალიშვილმა, ვ. სტურუამ, გ. სტურუამ და ასრიბეკოვმა.**

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო სოფლისა და დაწესებულებების უჯრედების წმენდის დროს. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს შემმოწმებელი კომისიების დაკვირვებულად შედგენას.

გამწმენდმა კომისიებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ისეთი კომუნისტების ფიზიონომიის გამორკვევასაც, რომლებიც „არავის აწყენინებენ, ყველას ულმიან და უმრავლესობასთან ერთად თითს სწევენ ყველა საკითხებზე, ამავე დროს კი არავითარ აქტივობას არ იჩენენ.

ზოგიერთი ორატორი აღნიშნავდა, რომ წმენდის საკითხი საკმაოდ დამუშავებული არ იყო საბჭოთა დაწესებულებების უჯრედებში. ბევრი უჯრედის მდივანი და ბიუროს წევრი არც კი არის გაცნობილი წმენდის ინსტრუქციას.

ამხ. ლენგნიკის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია.

მეორე საკითხის განხილვა გადადებულია.

---

# მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა აღშფოთებულია პოლონელი ფაშისტებით

## საქართველოს პროფესურის პროტესტი

### მოითხოვენ „ვერაგული პოლიტიკის ოფიციალური თავშესაფარის ე. ი. პოლონეთის წარმომადგენლობის" გაძევებას თბილისიდან

### პროფესურის პროტესტი

საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერულ მუშაკებმა, თავის სხდომაზე 11 ივნისს 1929 წ., იქონიეს მსჯელობა პოლონეთის მიერ უკანასკნელად გადადგმულ ნაბიჯების შესახებ და დაადგინეს, გამოაქვეყნონ თავისი დამოკიდებულება აღნიშნულ ნაბიჯებისადმი. თავის ნაბიჯებს, გადადგმულს საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავის აღსანიშნავად, პოლონეთის მმართველი წრეები ამართლებენ თითქოს იმ გარემოებით, რომ მათ პირველად სცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა ათი წლის წინად და აქედან ის დასკვნა გამოყავთ, რომ აღნიშნული ნაბიჯი არ იყო მიმართული საბჭოთა კავშირისა და იქ შემავალ ნაწილების წინააღმდეგ.

აქ უპირველესად ყოვლისა გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ პოლონეთს გრძელი მეხსიერება აღმოაჩნდა ათი წლის წინედ მომხდარ ამბებისადმი და სრულიად მიეჩლუნგა მეხსიერება უფრო ახლო ფაქტებისადმი, რომლებიც არა მარტო საერთაშორისო „თავაზიანობის" და „ზრდილობის" შედეგი იყო, არამედ გამომდინარეობდა თავის თავზე მიღებულ გარკვეულ ვალდებულებიდან: ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1924 წლის აქტი, რომლის ძალით პოლონეთმა აღიარა საბჭოთა ფედერაცია მთელს მასში შემავალ სუვერენულ რესპუბლიკებით და მაშასადამე საქართველო როგორც ამ კავშირში შემავალი ერთეული.

ეს ახირებული მიდგომა ვითომდა უფრო ადრე არსებულ ვალდებულებისადმი და ყურადღების გარეშე დატოვება უფრო ახლობელ ვალდებულებისა ყოველი ორაზროვნობის გარეშე აშიშვლებს პოლონეთის ზრახვებს, რომლებიც მიმართულია იქეთ, რომ რათაც არ უნდა დაჯდეს, გამოიწვიოს გართულება მშრომელთა რესპუბლიკებთან და მით ხელი შეუშალოს მათ კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას. იგი ადასტურებს, რომ პანების მთავრობას ვერ მოუთმენია თავის გვერდით მშრომელთა კავშირი და ყოველ საშუალებას ხმარობს, რათა მათი მჭიდრო მუშაობა დაარღვიოს იარაღის ჟღარუნით.

პოლონეთის მთავრობას, როგორც სჩანს, შესაძლებლად დაუნახავს ანგარიში გაუწიოს საქართველოდან გაძევებულ იმ თითო ოროლა ორგანიზაციებს და პირებს, რომლებიც აქამდე ვერ განთავისუფლებულან უსაზღვრო ჟინისაგან თავის ბატონობის დასაბრუნებლად იმ მშრომელთა მასებზე, რომლებმაც თავის დროზე არ სცნეს და არც დღეს სცნობენ მათ ხელმძღვანელობას ეროვნულ და ეკონომიურ აღორძინების საქმეში. პოლონეთის მთავრობა არ მოერიდა იმ უპასუხისმგებლო ელემენტებთან კავშირის დაჭერას, რომლებიც მენშევიკურ ემიგრაციის სახით პოლიტიკურ ავანტიურიზმის დროშას აფრიალებს ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში და რომელმაც უკანასკნელად პოლონეთის პანურ მთავრობის კარებს დაუკაკუნა და სავსებით დაივიწყა ის უპასუხისმგებლო გართულება და სისხლის ღვრა, რომელიც მან 1924 წლის ავანტიურით თვით საქართველოში დაატრიალა.

იმ ურთიერთობის ნიადაგზე, რომელიც ჩვენ პოლონეთის მიერ უდაოდ აღიარებულად მიგვაჩნია, ჩამოვიდა ჩვენში, საქართველოში პოლონეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მოქ. პატეკი, რომლის საპატივცემლოდ საღამოზე ჩვენი მეცნიერების წარმომადგენლებიც დაესწრნენ და მათ ერთხელ კიდევ ხაზგასმით დაუმოწმეს პოლონეთს, როგორც ძველი რეჟიმის დროს ჩვენთან ერთ და იმავე ბეჩავ მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოს, თავისი პატივისცემა და ლოიალობა.

დღეს თავის მოქმედებით პოლონეთის მესვეურებმა ნათელჰყვეს, რომ მაშინდელ ღიმილისა და გარეგნულ თავაზიანობის იქეთ, იმალებოდა შავი გული და უკანა ზრახვები, განმზადებული ჩვენი მშვიდობიანი ეროვნულ აღორძინებისათვის მახვილის ჩასაცემათ. ირკვევა ისიც, რომ ამ მუშაობის შტაბს ქალაქ თბილისში წარმოადგენს პოლონეთის ადგილობრივი წარმომადგენლობა, რომელიც დღითი-დღე მეთვალყურეობს ჩვენს საქმიანობას და ეწევა ბნელ მუშაობას.

ჩვენ, რა თქმა უნდა, როგორც პატარა ეროვნების წარმომადგენელნი, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებამდე ვერ ეღირსა თვითგამორკვევას და აღორძინების გარანტიას, ძალიან კარგად გვესმის პატარა ერების განთავისუფლებისათვის ბრძოლა და მისი მნიშვნელობა, მაგრამ ჩვენ იმ თავითვე ოვალთმაქცობად და რაღაც სხვა მიზნების მიჩქმალვად მიგვაჩნია, როდესაც პატარა ერების განთავისუფლებაზე მზრუნველობას იჩენენ ის სახელმწიფოები, რომელთა არსებობა და ხშირად ფუფუნება დამყარებულია სწორედ საკუთარ სახელმწიფო ფარგლებში პატარა ერების დამონებასა და ექსპლოატაციაზე. ტყუილად ნუ ცდილობს ნურც ერთი პოლიტიკური ბატონი, რომელიც აფრიკისა და აზიის შავ და ყვითელ კანიან ხალხების ზურგზე მოკალათებულა, თავისთავი დაჩაგრულ ერების დამცველად მოგვაჩვენოს და ნურც მათი პოლიტიკური ნოქარი, პოლონეთი, ხარჯავს ამაოდ პოლიტიკურ და ტაქტიკურ ოსტატობას, როდესაც მისი ზრუნვა პატარა ერებისათვის ჯერ-ჯერობით მხოლოდ ებრაელთა „პოგრომებში", უკრაინელების დევნაში, ბელორუსების აწიოკებაში და ლიტველებზე ძალადობაში გამოიხატა.

მდგომარეობა გამორკვეულია, პოლონეთს არ გააჩნია არავითარი საბუთი თავისი ნაბიჯების გასამართლებლად, გარდა იმ იმედისა, რომ ჩვენ იმდენად ბრიყვებად ჩაგვთვალოს, რომ შავი თეთრიდან ვერ გავარჩიოთ და მეგობარი მტრისაგან. მაგრამ, ნურას უკაცრავად, თუ ასეთი სიბრიყვე და უგუნურობა უკანვე დაუბრუნოთ იმ ვაჟბატონებს, რომელთაც აქსელბანტები უფრო უბრწყინავთ, ვიდრე გონება და უთხრათ,—ხელი შორს—ხალხი, რომელიც ასი წლის მონობის შემდეგ სოციალისტურ რევოლიუციით მონიჭებული თავისუფლება იგემა, თქვენს მიერ დაგებულ მახეში არ გაებმება.

მეორეს მხრივ, რამდენადაც ბუნება პოლონეთის საგარეო პოლიტიკისა ოფიციალურ თავაზიანობაში და ფაქტიურ ვერაგობაში იხატება, ჩვენს მოვალეობათ ვსთვლით განვუცხადოთ საბჭოთა მთავრობას, რომ უნდა მოსპობილ და გაძევებულ იქნას საიდანაც ჯერ არს და განსაკუთრებით საქართველოს დედა-ქალაქიდან — თბილისიდან ვერაგული პოლიტიკის ოფიციალური თავშესაფარი — ე. ი. პოლონეთის წარმომადგენლობა. ეს არის ბუნებრივი პასუხი, საიდანაც პოლონეთის მთავრობა გაიგებს, რომ ჩვენ ვერ კვევით მათ დიპლომატიურ თამაშში. ამასთან ერთად ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან შეტანილ იქნას სინათლე და გარკვეულობა პოლონეთთან დამოკიდებულებაში, რადგან ეროვნული კულტურული აღორძინება საჭიროებს მშვიდობიანობას და ვერ მოითმენს მუდმივ მუქარას ამ მშვიდობიანობის დარღვევისაკენ მიმართულს.

პროფ. ა. მაჭავარიანი
პროფ. კ. კეკელიძე
პროფ. შ. ნუცუბიძე
პროფ. დ. უზნაძე
პროფ. ი. ბერიტაშვილი
პროფ. ალ. ნათიშვილი
პროფ. ე. ქურდიანი
პროფ. ვლ. ჟღენტი
პროფ. ალ. ჯავახიშვილი
პროფ. გ. ახვლედიანი
პროფ. ს. ვირსალაძე
პროფ. ან. რაზმაძე
პროფ. ივ. ჯავახიშვილი
პროფ. მ. წინამძღვარიშვილი
პროფ. გ. ლამბარაშვილი
პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი
პროფ. ა. ალადაშვილი
პროფ. გ. პოლიევქტოვი
პროფ. გ. ნათაძე
პროფ. ნ. მუსხელიშვილი
დოც. ი. სურგულაძე
დოც. შ. მიქელაძე
დოც. ვ. ნანეიშვილი
დოც. ი. აბაკელია
დოც. კ. ბაქრაძე
დოც. ბ. რამიშვილი

### არ დაუშვებთ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევას

(პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა)

გუშინ დილით შესდგა პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბის მუშათა საერთო კრება. მუშებმა ყურადღებით მოისმინეს ამხ. კოვზოვის მოხსენება პოლონეთის მთავრობის თავხედური გამოსვლის შესახებ თეთრგვარდიელ ემიგრანტებთან ერთად.

„მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება,—ნათქვამია ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში, კატეგორიულ პროტესტს აცხადებს საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში პოლონეთის მთავრობის თავხედური ჩარევის წინააღმდეგ. მიუხედავად საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკისა, პოლონეთი განაგრძობს პროვოკაციას, იმისთვის, რომ ომში ჩაგვითრიოს.

პოლონეთის მთავრობის დაკავშირება ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც რევოლიუციონურმა ტალღამ წითელ საზღვარს იქით გადაისროლა,—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დემონსტრაციას წარმოადგენს.

ჩვენ, მბეჭდავი მუშები, კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებთ პოლონეთის მთავრობის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ და მოვითხოვთ, რომ ფაშისტური პოლონეთის წარმომადგენლები დაუყოვნებლივ გაძევებულ იქნან ჩვენი ქვეყნიდან.

ომის პროვოკაციაზე ჩვენ პასუხს გავცემთ უფრო მეტის შემჭიდროებით და შრომის ნაყოფიერების უფრო მეტად აწევით.

უფრო მეტად განვამტკიცებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას.

და თუ საჭირო იქნება, ჩვენ ფოლადის კედლით დავიცავთ ოქტომბრის მონაპოვართ".

### პოლონეთის საკონსულო გაძევებული უნდა იქნეს

#### რკინის გზის სამმართველო

რკინის გზის სამმართველო ხალხით გაჭედილია. ტრიბუნაზე პირველად ამხ. ბეჟანოვი ავიდა. მან გახსნა მიტინგი და გააკეთა მოხსენება პილსუდსკის მომხრეთა მორიგი გამოსვლის შესახებ საბჭოთა წინააღმდეგ:

„პოლონეთი არა მარტო თავშესაფარს აძლევს თავის ტერიტორიაზე ქართველ მენშევიკებს, პეტლიურას მომხრეებს და თეთრ ტერორისტებს, არამედ პოლონეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები მოურიდებლად და აშკარად მფარველობენ მთელ ამ თეთრ არამზადებს".

ტრიბუნაზე ორატორს ორატორი სცვლის.

აი ლაპარაკობს უპარტიო ინჟენერი ამხ. ქავთარაძე:

„ჩვენ, პატიოსანი, უპარტიო ინჟენრები, აღშფოთებული ვიყავით შახტელების მუშაობით, ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ კონტრრევოლიუციონერების წინააღმდეგ, რომელნიც, გზათა სახალხო კომისარიატში მოკალათებულნი, სცდილობდნენ დაენგრიათ ყველა ჩვენთვის ძვირფასი ტრანსპორტი.

ჩვენ, ინჟენრები, აღშფოთებულნი ვართ იმ თავხედური პროვოკაციით, რომელსაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პოლონეთის მთავრობა მიმართავს".

მიტინგი მქუხარე ტაშით აცილებს თვითეულ ორატორს.

მქუხარე ტაშით მიიღო მან რეზოლიუცია:

„პოლონეთის ფაშისტურმა მთავრობამ დაარღვია და განაგრძობს იმ ვალდებულებათა დარღვევას, რომლებიც მან საბჭოთა მთავრობის წინაშე იკისრა.

ამ.-კავკასიის რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი კატეგორიულ პროტესტს აცხადებენ პილსუდსკის მომხრეთა პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვენ პოლონეთის კონსულის გაძევებას საბჭოთა საქართველოს ტერიტორიიდან. ჩვენ ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიაზე ვერ დავსტოვებთ იმ სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომელიც აშკარად და თავხედურად ეხმარება მშრომელთა დაუძინებელ მტრებს —მენშევიკებს!".

### დავიცავთ სოციალისტურ სამშობლოს

(მტვირთავ მუშებში)

11 ივნისს, 5 საათზე, შესდგა თბილისის საქონლის სადგურის მტვირთავ მუშების საერთო კრება, რომელმაც მოისმინა ცნობა პოლონელ ფაშისტთა უკანასკნელ თავხედურ გამოსვლების შესახებ.

ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში კრება აღშფოთებას გამოსთქვამს პოლონელ პანების ნაბიჯის გამო და აცხადებს, რომ მტვირთავი მუშები მუდამ მზად იქნებიან იარაღით ხელში დაიცვან თავისი სოციალისტური სამშობლო — წითელი საქართველო და მთელი საბჭოთა კავშირი.

### დავიცავთ ოქტომბრის მონაპოვართ

(ლუდის ქარხანაში)

მიტინგზე, რომელიც შესდგა თბილისის აღმასკომის ლუდის სახელ ქარხანაში და რომელზედაც პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მამაცაშვილმა, მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენ, ლუდის ქარხნის მუშა-მოსამსახურენი, ვაცხადებთ სასტიკ პროტესტს პოლონეთის ფაშისტების და მათი დამქაშების ქართველი მენშევიკების პროვოკაციულ მოქმედების გამო. დეე იცოდნენ მშრომელი ხალხის მტრებმა, რომ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

### სოხუმის მშრომელთა საპროტესტო მიტინგი

**სოხუმი**, 10 ივნისი. გაიმართა სოხუმის მუშათა და მოსამსახურეთა საპროტესტო მიტინგი პოლონეთის ხელისუფლების მორიგი ანტისაბჭოთა გამოსვლის წინააღმდეგ. მიტინგს დაესწრო 2.000 კაცი.

მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„მოვისმინეთ რა ცნობა ქართველ ემიგრანტების მანიფესტაციაზე ვარშავაში პოლონეთის ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენელთა დასწრების შესახებ, ჩვენ, სოხუმის მუშები და მოსამსახურენი, ღრმას აღშფოთებას გამოვსთქვამთ პოლონეთის ახალი ანტისაბჭოთა გამოსვლის გამო და გადაჭრით ვგმობთ პოლონეთის ხელისუფლების მიერ ემიგრანტთა კონტრ-რევოლიუც. ავანტიურისტულ ელემენტებისათვის მხარის დაჭერის ამ ახალ ფაქტს. ვაცხადებთ, რომ პოლონეთის ფაშისტების დაძმობილება ქართველ მენშევიკებთან ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ პოლონეთში გაბატონებული კლასები სცდილობენ იმპერიალიზმის ინტერესებისათვის დაარღვიონ მშვიდობიანი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

მტრების საპასუხოდ ჩვენ უფრო მეტად შევამჭიდროვებთ რიგებს და საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით ენერგიულად განვაგრძობთ სოციალისტურ მშენებლობას და განვამტკიცებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს. დეე იცოდნენ პანებმა და სხვა კლასობრივმა მტრებმა, რომ ოცნება საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხელ-ახლა დამონებისა და მენშევიკურ საქართველოს შესახებ განუხორციელებელია და რომ კავშირის მშრომელნი მზად არიან მკერდით დაიცვან ოქტომბრის დიადი მონაპოვარნი".

### ჭიათურის მუშების ხმა

ჭიათურის ფაბრიკა-მაღაროებში და ქალაქის სხვა წარმოება-დაწესებულებებში ჩატარდა მფრინავი მიტინგები, რომლებზედაც გაკეთებული იქნა საინფორმაციო მოხსენებები პოლონეთის პანების დახმარებით ქართველ მენშევიკების მიერ მოწყობილ „ზეიმის" შესახებ. მუშები აღშფოთებას გამოსთქვამდენ პოლონეთის მიერ საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევის გამო და აღნიშნავდნენ, რომ ჩვენ მიერ გაძევებულ თეთრგვარდიელებს, მშრომელი ხალხის მოღალატეებს და სხვა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერებს არაა აქვთ უფლება ილაპარაკოს საქართველოს მშრომელი ხალხის სახელით.

მიტინგებზე მიღებულ რეზოლიუციებში ნათქვამია: „პოლონეთის მთავრობის უკანასკნელი პროვოკაციული გამოსვლა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, გაგრძელებაა იმ პოლიტიკის, რომელსაც ყოველთვის მიმართავდა პოლონეთის მთავრობა მუშურ-გლეხური ხელისუფლებისა და თვით პოლონეთის მშრომელი ხალხის წინააღმდეგ. ჩვენ, საქართველოს მუშები, მოვითხოვთ პოლონეთის მუშებისაგან, განდევნონ თავიანთ ტერიტორიიდან ყოფილი ხალხი და აიძულონ პოლონეთის მთავრობა ხელი აიღოს ანტი-საბჭოთა ინტრიგებზე. დეე იცოდნენ პოლონელმა პანებმა, რომ ჩვენ არავის არ მივსცემთ უფლებას ჩაერიონ ჩვენს შინაურ საქმეებში, მაგრამ თუ ვინმე შეეცდება მშრომელი ხალხის წინააღმდეგ ხელის აღმართვას, ძირშივე მოვკვეთავთ მას".

### მოვითხოვთ პოლონეთის კონსულის გაძევებას

(ტელეფონით სიღნაღიდან)

**სიღნაღი**, 11 ივნისი. 9 ივნისს სოფ. ანაგაში შესდგა საპროტესტო მიტინგი პოლონეთის ფაშისტური მთავრობის პროვოკაციული გამოსვლის გამო. მიტინგს დაესწრო სოფ. ანაგის, კარდანახის, ვაჩნის და ქ. სიღნაღის მშრომელი მოსახლეობა, რიცხვით 5.000 კაცი.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სასტიკ პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ პოლონეთის მთავრობამ თავშესაფარი მისცა საქართველოდან გაძევებულ მენშევიკებს და თავისი წარმომადგენლები გაგზავნა „დამოუკიდებელი საქართველოს" 11 წლის თავის აღსანიშნავ საზეიმო სხდომაზე. რეზოლიუცია მოითხოვს საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან პოლონეთის კონსულის გაძევებას თბილისიდან.

### მოვითხოვთ სასტიკ ზომების მიღებას

(ტელეფონით სენაკიდან)

**სენაკი**, 11 ივნისი. კომკავშირის სენაკის სამაზრო კომიტეტის გაფართოვებულმა პლენუმმა მოისმინა ამხ. ჟანკვეტაძის ინფორმაციული მოხსენება პოლონეთში მენშევიკების მორიგი პროვოკაციის შესახებ.

პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „ჩვენ სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ქართველ მშრომელთა სისხლით მოვაჭრე ბურჟუაზიის ლაქია მენშევიკების მორიგ პროვოკაციის წინააღმდეგ. პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა დასწრება მენშევიკების მიერ გამართულ კრებაზე, წარმოადგენს ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევას. პლენუმი მოითხოვს მიღებული იქნეს უსასტიკესი ზომები მათ წინააღმდეგ, ვინც სცდილობს დაარღვიოს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მშვიდობიანი საქმიანობა.

პლენუმი მოუწოდებს მაზრის მშრომელებს და ახალგაზრდობას, ჩვენი მტრების პროვოკაციას დაუპირისპირონ ენერგიული შრომა სოციალისტურ მშენებლობის წარმატებასა და ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებისათვის.

**ბარამია.**

### ხელები შორს საბჭოთა საქართველოდან

**გორი** 11 ივნისი. 7 ივნისს ქალაქ გორში შესდგა მშრომელი მოსახლეობის მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი, რომელზედაც მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „გორის მუშა - მოსამსახურენი და მთელი მშრომელი მოსახლეობა მრისხანე პროტესტს აცხადებს პოლონურ ფაშისტების მტრული ნაბიჯების გამო.

მხურვალედ მივესალმებით საკავშირო მთავრობას და ვფიცავთ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობის მოწოდებისთანავე ჩავდგებით პირველ რიგში საბჭოთა პროლეტარულ სამშობლოს დასაცავად.

ჩვენი ზიზღი მენშევიკებს და ნაციონალ-დემოკრატებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხებისაგან ფარავენ თავს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის კალთის ქვეშ.

დეე იცოდნენ ბურჟუაზიის ლაქიებმა, რომ მშრომელთა ნების გამომხატველი არიან არა ისინი, არამედ საბჭოთა ხელისუფლება და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია.

ხელები შორს საბჭოთა საქართველოდან! ძირს ბურჟუაზიის ლაქია თავხედი მენშევიკები და ყველა ჯურის შოვინისტები".

### ექიმთა ხმა

**ოზურგეთი**, 10 ივნისი. დამთავრდა ექიმების სამაზრო ყრილობა, რომელმაც მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია პანების პოლონეთის მორიგი ანტისაბჭოთა გამოსვლის წინააღმდეგ. რეზოლიუცია ზიზღს უცხადებს გაკოტრებულ ქართველ მენშევიკებს.

„მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიაღწია საქართველომ, — ნათქვამია რეზოლიუციაში, — ნამდვილ დამოუკიდებლობას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მშრომელი ინტელიგენცია მუშებთან და გლეხებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობს სოციალისტური მშენებლობის საქმეზე". სამაზრო თათბირი მხურვალე სალამს უძღვნის საბჭოთა მთავრობას და აღუთქვამს უფრო აქტიური მონაწილეობის მიღებას სოციალისტურ მშენებლობაში (ადს).

### შევამჭიდროვებთ ჩვენს რიგებს

(ტელეგრაფით ველისციხიდან)

**ველისციხე**, 10 ივნის. ველისციხის მუშა-მოსამსახურეთა და გლეხთა გაერთიანებული კრება სასტიკ პროტესტს აცხადებს პოლონეთის ფაშისტური ხელისუფლების გამოსვლების გამო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ასეთ პროვოკაციულ გამოსვლებს ვუპასუხებთ ჩვენი რიგების შემჭიდროებით კომუნისტურ პარტიის დროშის ქვეშ.

### პილსუდსკის მომხრეთა პროვოკაციის წინააღმდეგ

„ფაშისტური პოლონეთის მთავრობა, რომელიც აქეზებს ქართულ კონტრ - რევოლიუციას, აშკარა ომს ამზადებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პილსუდსკის მომხრეთა გამოსვლა „ქართულ დღესასწაულზე" ვარშავაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თავხედ დემონსტრაციას წარმოადგენს, — აცხადებენ პოლიგრაფტრესტის მე-8 სტამბის მუშები. — ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაძევებულ იქნან ფაშისტური პოლონეთის წარმომადგენლები, იმ პოლონეთისა, რომელსაც არა სურს შეურიგდეს საბჭოთა საქართველოს არსებობას".

—:—

ქ. გორში საპროტესტო მიტინგს აურიცხელი ხალხი დაესწრო.

ქ. ოზურგეთში ექიმთა უკვე დასრულებულმა სამაზრო თათბირმა მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია პანების პოლონეთის ახალი გამოსვლის წინააღმდეგ. რეზოლიუცია სამარცხვინო დაღს ასვამს გაკოტრებულ ქართველ მენშევიკებს.

ჭიათურის სამრეწველო რაიონის ყველა მაღაროსა და ქარხანაში შესდგა სახელდახელო საპროტესტო მიტინგები.

„8.000 მუშა - მემაღაროე, — ნათქვამია მიღებულ რეზოლიუციაში, — მოითხოვს პასუხი გაეცეს გათავხედებულ პანებს. მუშები ფიცს სდებენ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავენ მუშურ - გლეხურ ქვეყანას თეთრი ბანდებისა და მენშევიკებისაგან".

გამოვიდა
„მუშკორების და რედკოლეგიების მუშაობა"
(ძირითადი დებულებანი, დამტკიცებული მუშგლეხკორთა მეოთხე საკავშირო თათბირის მიერ)
გვერდი 84, ფასი 10 კაპ.
გაზ. „კომუნისტი"-ს გამოცემა
წიგნაკები დაეგზავნება რედკოლეგიებს გასავრცელებლად
მოითხოვეთ „კომუნისტი"-ს კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34

# სოციალისტური შეჯიბრება

## შრომის გაუსწორებელი დეზერტირები უნდა გავდევნოთ წარმოებიდან

### განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა წარმოება-დაწესებულებებში

### მოსაგვარებელი საკითხები

(სურამის უღელტეხილი)

ხვალი ტვირთის გადაზიდვის გადიდებას დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სათანადო ორგანოები ყოველგვარ ზომებს ღებულობენ ტვირთზიდვის გადიდების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით, მანამ რაიმე განსაკუთრებული სერიის ორთქლმავლის მსვლელობა ან მეტი წონის შემადგენლობის გაშვება გადაწყდებოდეს უღელტეხილზე, ყოველთვის წინასწარი ცდები, დაკვირვება და საქმის სათანადო შესწავლა ხდება. ყველაზე მეტი ყურადღება ორთქლმავლების ძალოვნების და შემადგენლობის წევის უნარიანობას ექცევა, მაგრამ მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზებს კი, რაც თვით ლიანდაგის გამძლეობას ახასიათებს და ტვირთზიდვის გადიდებას ხელს უშლის, ნაკლები ყურადღება ექცევა.

უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის სისწრაფის გადიდებას და ტვირთზიდვის გაორკეცებას, არის ციცაბო მოხვეულები, რომლების ასაშლელად და ლიანდაგის შესამსუბუქებლად ჯერ კიდევ რევოლუციამდე სწარმოებდა მუშაობა. მიწის სამუშევრების 50 პროცენტი უკვე მოთავებულია.

დღეს საჭიროა მხოლოდ ამ მიწის სამუშევრების დამთავრება და ციცაბო მოხვეულების იმდენად გაშლა, რომ 200 მეტრზე ნაკლები რადიუსი ირსად იყვეს.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ტეხილების შესწორება; უნდა გადაითხაროს მაღლობი და ლიანდაგის ნაწილები, აიწიოს ჩავარდნილი ადგილები და მოისპოს ისეთ შესამჩნევი ტეხილე- ხელს უწყობენ.

მთელს უღელტეხილზე ამჟამად დაგებულია მძიმე ჯიშის რელსები 11-ა. ეს რელსები დაგებულია 1925 წელში, მაგრამ იგი იმდენად რბილი ლითონი გამოდგა, რომ რელსების 56 პროცენტი დღეს სრულიად უვარგისია. რელსებს მთელს სიგრძეზე დაბალ მხარეს დაეჭყლიტა და დაეჩეჩქა თავები, მაღალ მხარეს წინა ბორბლის მიწოლამ ჩამოათალა მთლიანად რელსის თავის შიგნითა ნაწიბური და დღეს ყველა ეს გამოცვლას თხოულობს.

მიუხედავად იმისა, რომ უღელტეხილი ახალი შპალის საკმაო რაოდენობას ღებულობს, თვით შპალის ღირსება იმდენად დაბალია, რომ ლიანდაგს ვერ იკავებს. აქ ხშირად შეხვდებით 10—20 წლის წინად დაგებულ მუხის შპალს, რომელიც ჯერ-კიდევ საკმაოდ მაგარია, მაგრამ ნახავთ 1—2 წლის დაგებულ შპალს, რომელიც გამოცვლას მოითხოვს. ხიდების ძელების 50 პროცენტი სრულიად უვარგისია და საჭიროა მისი გამოცვლა, მაგრამ რკინის გზის სამმართველო ამაზე ჯერ-ჯერობით არ ზრუნავს.

მთელს უღელტეხილზე ხრეში დამიწებულია და 75 პროცენტი გამოცვლას მოითხოვს—ამიტომ ცოტა წვიმის დროსაც კი წყალი თავისუფალ გასავალს ვერ პოულობს ახალ ხრეშში. დამიწებულ ხრეშში წყალი გუბდება. მძიმე ორთქლმავალის დაწოლას ტალახი ვერ უძლებს და შპალებს არხევს. ამავე დროს რელსების დაჭეჭყილ თავებში ბორბლები უსწორმასწოროთ სცემენ, რაც ბიძგებს აჩენს და რელსებს უარესად აფუჭებს.

ამ სამუშევრების შესრულება დაყოვნებას ვერ ითმენს, რკინის-გზის სამმართველომ დროზე უნდა მიიღოს ზომები ამ საქმის მოსაგვარებლად.

**დაფიქრებული.**

### შრომის დეზერტირების გასამართლება

რკინის გზის მთავარ სამასალო საწყობის კლუბში შესდგა შრომის დეზერტირების და ხულიგნების საჯარო გასამართლება. საბრალდებულო სკამზე სხედან სამასალო საწყობის მუშა **მიხეილ სმირნოვი** და **ვლადიმერ მირონოვი** (მოანგარიშე).

მ. სმიროვს ბრალი ედება სამსახურის ბოროტად გამოყენებაში, მუშაობაზე მთვრალი გამოცხადებაში. ჩხუბში, როგორც მუშაობის დროს ისე მის გარეთაც. 30 აპრილს მოქ. სმირნოვი შეიჭრა გალეშილი თავის ძმა ბიჭებით მელითონეთა კლუბში, და ასტეხა ჩხუბი. მილიციის დახმარებით ისინი გაძევებულ იქნენ კლუბიდან).

ვ. მ. **მირონოვს** ბრალი ედება როგორც მოანგარიშეს ბოროტმოქმედებაში, სამსახურის უფლების ბოროტად გამოყენებაში. დამზღვევ სალაროს შეცდომაში შეყვანაში, სიმულიანტობაში და ხულიგნობაში.

ალსანიშნავია, რომ მოქ. მირონოვმა რამოდენიმეჯერ მოკლა თავის დედა, რომელიც დღესაც ცოცხალია და რამოდენიმეჯერ აიღო დამზღვევ სალაროდან დახმარების სახით 60-60 მანეთი. საბრალდებულო ოქმში ყველა მათი მოღვაწეობა გარკვევით არის აღნიშნული.

ბრალდებულებმა მათზე წაყენებული ბრალდებაში სცნეს, თავი დამნაშავედ და სთხოვეს მუშათა სასამართლოს პატიება. აზრთა გაცვლა - გამოცვლის და თათბირის შემდეგ სასამართლომ, რომელიც თვით მუშებისაგან შესდგებოდა, მოქ. ვლადიმერ მირონოვს მიუსაჯა ადმინისტრატიული სასჯელი 3 თვით სამსახურიდან მოხსნით. მიხეილ სმირნოვს კი 6 თვით სამსახურიდან მოხსნა, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში მათი ოჯახური მდგომარეობა, თვითეულს მიესაჯა თითო წლით პირობითი სასჯელი.

**მუშფაკელი.**

### საწარმოო დისციპლინის განსამტკიცებლად

(წერილი სენაკიდან)

ბაზ. და სავაჭ. მუშაკების პროფკავშირმა თავისი ადგილკომების ხაზით ჩაატარა მასიური კამპანია დაწესებულებებში შრომის დისციპლინის დაცვისა და განმტკიცებისათვის.

ჩატარებულ იქნა, სენაკში მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებები. აქ გაკეთებულ მოხსენებიდან ნათლად სჩანს, თუ როგორ დაეცა ჩვენს წარმოება - დაწესებულებებში შრომის დისციპლინა: მოსამსახურეები სამსახურში ხშირად დაგვიანებით ცხადდებიან და მიდიან ადრე; კიდევ მეტი, სამუშაო საათებში დასეირნობენ ბაზარში; ხშირად თავს ირთობენ გაზეთების კითხვით; დაკისრებულ მოვალეობას ასრულებენ ზანტად; ზოგიერთი უცოდინარი მოქცეულია ისეთ ალაგას, სადაც მას მუშაობა არ შეუძლია და კეთების ნაცვლად საქმე ფუჭდება; ასეთი მოვლენები ჩვენს წარმოება - დაწესებულებებში ძირბუდიანათ უნდა აღმოიფხვრას. საბჭოთა დაწესებულებას არ გამოადგება ზანტი, უცოდინარი და არა გულწრფელი თანამშრომელი, ვინც არ უნდა იყოს იგი, უპარტიო, პარტიული თუ გინდ კომკავშირელი.

დაწესებულებათა ადმინისტრაციის ბრალია თუ დღემდის ასეთი თავაშვებულ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი და ჯერ კიდევ აქვს. პროფორგანოებმა უნდა აღზარდონ თავისი წევრები და მომუშავენი ისე გაანაწილონ, რომ არავითარ დამახინჯებას არ ჰქონდეს ადგილი.

ამ საქმეში დიდი საქმის გაკეთება შეუძლიან მუშ - გლეხკორთა ორგანიზაციებს და კედლის გაზეთებს.

საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს ამ საქმეს, და შრომის დისციპლინის საკითხი ფართედ დაისვას ჩვენი დაწესებულების წინაშე.

**ბ. უჩანეიშვილი.**

### შევამციროთ ხარჯები

(სად. აბარა)

უკვე მეოთხე თვე სრულდება, რაც სად. აბარაში დამთავრდა ცენტრალიზაციის აპარატის მოწყობა. აპარატის მოწყობაში საკმაოდ ბევრი თანხა დაიხარჯა, მაგრამ რკინის გზის სამმართველო რატომღაც არ ამუშავებს აპარატს. დღეს სადგურს ჰყავს რვა მეისრე, აპარატის ამუშავების შემდეგ საჭირო შეიქმნება მხოლოდ ოთხი მეისრე. ამიტომ ადმინისტრაციამ, რაც შეიძლება უნდა დააჩქაროს აპარატის ამუშავება და ხარჯების შემცირება.

**შავ—ზელი.**

### შევასრულებთ პირობას

ლენინაკანი — თბილისი — თბილისი — ბაქო

სადგურ თბილისში სოციალისტური შეჯიბრება წარმატებით მიმდინარეობს. მუშები დიდ აქტიობას იჩენენ შეჯიბრების ამოცანებთან დაკავშირებულ საკითხების განხორციელებაში, დღიდან შეჯიბრების გამოცხადებისა, შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები ძალზე მცირდება. შეჯიბრების პროცესში ლოთობისათვის სამსახურიდან მოიხსნა ერთი პერონის რევიზორი და ერთიც კონდუქტორი. კედლის გაზეთი ფართოდ გამოეხმაურა შეჯიბრებას; მისი ინიციატივით ამ დღეებში მოეწყობა მებარგე კონდუქტორ შერმანდის საზოგადოებრივი გასამართლება. შრომის დეზერტირები, სიმულიანტები — გამოაშკარავებულ იქნა. ამასთანავე იზრდება შრომის ნაყოფიერებაც. მაისში მოძრაობის დარგის თანამშრომელთა დაუდევრობით არც ერთი მატარებელი არ მოშლილა. თუ აპრილში, 18 დღე გააჩერეს მწონავებმა გასაგზავნი ბარგი, დღეს ამას ადგილი არა აქვს; მოწესრიგდა აგრეთვე დატვირთვა—გადმოტვირთვის საქმეც. მატარებლის შემადგენლები უკვე თავის დროზე აყენებენ ვაგონებს საწყობებში გადმოსატვირთავად; გაუმჯობესდა კონდუქტორთა ბრიგადების მუშაობაც.

3 მაისს მოძრაობის დარგის მუშების კრებას ესტუმრა ლენინაკანის მუშების წარმომადგენელი ამხ. **მამუკიანი**, რომელმაც განაცხადა, რომ ლენინაკანის მუშები ღირსეულად შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას და მოუწოდა სადგ. თბილისის მუშა-მოსამსახურეებს, რათა მათაც საბოლოოდ მოაწესრიგონ მოძრაობა; ასწიონ შრომის ნაყოფიერება და შეამცირონ თვითღირებულება.

ამის შემდეგ მოძრაობის მე-2-რე განყ. უფროსი ამხ. **ბარამიძე** აცნობს კრებას ლენინაკანის მუშების ხელშეკრულების პროექტს. პროექტის გარშემო იმართება ცხოველი კამათი. ორატორები აღნიშნავდნენ შეჯიბრების უდიდეს მნიშვნელობას და საჭიროდ სცნობდნენ სამეურნეო ხელშეკრულების მთლიანად გატარებას ცხოვრებაში.

კრებამ დაამტკიცა ხელშეკრულება. მასზე ხელს აწერენ ამხ. **ბარამიძე, მამუკიანი** და უბკავშირის წარმომადგენელი **ქურდოვანიძე**.

— გუნდობით — მოაწერეთ ხელი ამხანაგებო.

— ხელშეკრულება ჩვენ მთლიანად უნდა განვახორციელოთ.

არც ერთი შრომის დეზერტირი, ლოთი ჩვენს წარმოებაში—ამბობენ მუშები.

დასასრულ, კრებამ მოისმინა ბაქოს მუშების მიერ სადგ. თბილისის მუშების გამოწვევის მიღება და მქუხარე ტაშის ქვეშ აირჩია მუშათა დელეგაცია ამხ. **ბარამიძის, სანაკოევის** და **ვაშაკიძის** შემადგენლობით, რომლებიც ამ დღეებში გაემგზავრებიან ბაქოში სამეურნეო პოლიტიკურ ხელშეკრულების დასადებათ.

**ვ. ჯა—ლი**

### შეაკეთეთ სახურავი

ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სამჭედლო საამქროში სისუფთავის დაცვას და მის სახურავის შეკეთებას არაფერი ეშველა. მუშები მტვერში, ბოლში და სიბნელეში განაგრძობენ მუშაობას. ამის შესახებ ბევრი დაიწერა ადგილობრივ გაზეთში. შრომის დაცვის კომისიამაც ბევრჯელ გამოიტანა დადგენილება და მიუთითა ადმინისტრაციას ნაკლზე, მაგრამ დღემდე არავის ყურადღება არ მიუქცევია. როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?

**გოგია მეჩონგური**

თბილისის დეპო. ახალგაზრდა მუშები სწმენდავენ ორთქლმავლის ნაწილებს

## ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა თათბირი

10 ივნისს გაიხსნა საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკანური თათბირი, — რომელიც გახსნა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. ყურულიშვილმა.

### ამხ. გ. ყურულიშვილის სიტყვა

თავის შესავალ სიტყვაში ამხ. ყურულიშვილმა ხაზი გაუსვა თათბირის წინაშე მდგომ ამოცანების მნიშვნელობას ადგილობრივი ხასიათის მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის განვითარებისა და აღორძინებისათვის და აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებამდე ადგილობრივ მრეწველობის დარგში აღმშენებლობითი მუშაობა ნელის ტემპით სწარმოებდა. ამჟამად ეს მუშაობა უკვე გამოცოცხლებულია და საჭიროა ახალი გზების დასახვა მისი შემდგი განვითარებისათვის. თათბირის მოწვევის მიზანს შეადგენს სწორედ ამ ახალი გზების დასახვა.

ამხ. ყურულიშვილის წინადადებით თათბირმა აირჩია საქმიანი პრეზიდიუმი 5 კაცის შემადგენლობით.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. კაპიტ. კალანდაძის ცნობა პოლონელი ფაშისტებისა და ქართველი ემიგრანტ - მენშევიკების უკანასკნელი გამოსვლის შესახებ. თათბირმა ერთ ხმად მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია.

### ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალური მეურნეობის მდგომარეობა

(ამხ. ა. კალანდაძის მოხსენება)

თათბირის საქმიანი მუშაობა იწყება ამხ. ან. კალანდაძის მოხსენებით საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის საერთო მდგომარეობის შესახებ 1927-28 საანგარიშო წლის განმავლობაში.

1927-28 წლის განმავლობაში მთელი ადგილობრივი მრეწველობის ძირითადი კაპიტალი უდრიდა 2.265.000 მანეთს. მარტო 1927 წელს ადგილობრივი სამრეწველოების რეკონსტრუქციაზე დახარჯულია 200.000 მანეთი. შექმნილი იყო 2 მილიონიანი ფონდი, საიდანაც სესხები ეძლეოდა ადგილობრივი მნიშვნელობის წარმოებებს. აღნიშნული ფონდიდან საანგარიშო წლის განმავლობაში მაზრებს შორის გრძელ ვადიან სესხათ განაწილდა 557.000 მან. ამ თანხიდან დღემდე დაბრუნებულია მხოლოდ 52.000 მანეთი.

ახალ აღმშენებლობაზე ამავე პერიოდში დახარჯულა 2-102.000 მანეთი.

მიმდინარე საანგარიშო წლის გეგმით ახალ აღმშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს 3.121.000 მანეთი. ეს თანხა დახარჯული იქნება ორი დარგის ახალი სამრეწველოების ასაგებათ: ერთი დარგია საამშენებლო მასალათა დამამზადებელი წარმოებები (აგურ - კრამიტის ქარხნები, კირის და ცემენტის წარმოება და სხვ.) და მეორეს მხრივ საკვები პროდუქტების დამამზადებელი წარმოებები.

ადგილობრივი მრეწველობის სწრაფ განვითარებას შესამჩნევად უშლის ხელს საბრუნავი თანხების სიმცირე. მომავალში საჭიროა ადგილობრივ ხასიათის სამრეწველოებს მიეცეს საბრუნავი თანხები, ისე როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის სამრეწველოებს ეძლევა.

შემდეგ მომხსენებელმა მოიყვანა ცნობები კომუნალური მეურნეობის დარგში ჩატარებული მუშაობის შესახებ. 1927-28 წელს მარტო საბინაო აღმშენებლობისათვის რესპუბლიკის ქალაქებს შორის განაწილებული იქნა 970.000 მანეთი. კომუნალური მნიშვნელობის წარმოებების ასაგებათ კი — 472.500 მანეთი.

1928-29 წლის განმავლობაში საბინაო აღმშენებლობისათვის სესხად გაცემულია 955.000 მანეთი, ხოლო კომუნალურ ხასიათის სამრეწველოების ასაგებათ — 1.172.000 მანეთი. გარდა აღნიშნული თანხებისა საქართველოს კომუნალური ბანკიდან კომუნალური მშენებლობისათვის გადადებულ იქნა 835.000 მანეთი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით — 60.000 მანეთი.

ამხ. ა. კალანდაძის მოხსენებით დასრულდა თათბირის პირველი სხდომა.

### მოხსენებები ადგილებიდან

თათბირის მეორე სხდომაზე დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან.

თბილისის ადგილობრივი მრეწველობის განყოფ. წარმომადგენელმა ამხ. **ხანდამოვმა** აღნიშნა, რომ გასული საანგარიშო წლის განმავლობაში სათანადო სიმაღლეზე ვერ იყო დაყენებული აგურის წარმოება. 5 წლიანი გეგმით გათვალისწინებულია, რომ ყველა არსებული ქარხნების პროდუქცია გადიდებულ იქნეს და ყოველწლიურად დამზადდეს 45 მილიონი ცალი აგური.

აფხაზეთის წარმომადგენელმა ამხ. **კალანდარაშვილმა** აღნიშნა, რომ აფხაზეთში კარგი ნიადაგი არსებობს თამბაქოს მრეწველობის განსავითარებლათ. ადგილობრივ პოლიგრაფიულ მრეწველობას არ აქვს რეალური ეკონომიური ბაზა.

ადგილებიდან მოხსენებების მოსმენა გაგრძელდება შემდეგ სხდომაზეც.

## ქალთა კულტურული ლაშქრობის შედეგები

(თათბირი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებაში)

გუშინ დილით, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებაში ამხ. ანდრიაძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი ქალთა კულტურული ლაშქრობის შედეგების შესახებ თათბირზე მოსმენილი იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

ამხ. **გუმბათაშვილი** (ლენინის რაიონი) აღნიშნავს, რომ ლენინის რაიონში ლაშქრობის დაწყებამდე ჩატარებული იქნა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. ლაშქრობა მოეწყო რაიონის შემდეგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში: პიონერთა კოლექტივებში, კოოპერატიულ მაღაზიებში, პურის საცხობებში. სასადილოებში, საბავშვო ბაგებში, დედათა და ბავშთა დაცვის კონსულტაციებში, ტუბდისპანსერში, მუშათა და საბავშო სახლებში და სხ. ლაშქრობამ აღმოაჩინა მრავალი ნაკლოვანებები და ავადმყოფური მოვლენები ზემოაღნიშნულ დაწესებულება-ორგანიზაციების მუშაობაში. გამოირკვა, რომ პიონერთა კოლექტივებში საგრძნობლად მოისუსტებს აღმზრდელობითი მუშაობა, კოლექტივებს არ აქვთ შესაფერი ბინა და საჭირო მოწყობილებანი; ნივთიერი დახმარება არ არის დამაკმაყოფილებელი.

პურის საცხობებში ბევრგან გამეფებულია ანტისანიტარული მდგომარეობა, ყველგან არა აქვთ საჩივართა წიგნები, კოოპერატიულ მაღაზიებში („ზაკტპო“ № 3, 8 და სხვა) შემჩნეულია ნოქრების უხეში მოპყრობა მყიდველებისადმი; მუშკოოპის № 2 სასადილოში საშინელი უსუფთაობაა და ადგილი აქვს ლოთობას, არ არის მოწყობილი ვენტილიაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ლაშქრობა დიდის აქტივობით ჩატარდა.

ამხ. **მატინიანი** (26 კომუნარის სახ. რაიონი) კულტლაშქრობა დაიწყო 5 მაისიდან. მუშა-ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ლაშქრობაში.. განსაკუთრებული დეფექტები აღმოჩნდა თურქულ პედაგოგიურ ტეხნიკუმში, ორჯონიკიძის სახ. სამკითხველოში, საბავშო ბაღში № 17 და სხვ. ამ დაწესებულებებში აღმოჩენილ დეფექტების გამოსწორებას უკვე შეუდგნენ სათანადო ორგანოები.

ამხ. **მგელაძე** (ქალაქის რაიონი). ლაშქრობა მოეწყო მრავალ დაწესებულება-ორგანიზაციაში. ლაშქრობის მონაწილე ქალები მუყაითად ასრულებდნენ თავიანთ დავალებას. ლაშქრობის მიერ აღმოჩენილ ნაკლოვანებებისა და ავადმყოფურ მოვლენების აღმოსაფხვრელად ლაშქრობის მონაწილეებმა გამოიმუშავეს სათანადო ღონისძიებანი. ლაშქრობის მონაწილეებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დეფექტები აღმოაჩინეს სამკურნალო დაწესებულებებში, საბავშო სკოლებში, სახელოსნოებში და სხვ.

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათის დამთავრების შემდეგ მიღებული იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

## საქ. დრამატურგთა საზოგადოება

დრამატურგთა, კომპოზიტორთა და კინოსცენარისტთა გამაერთიანებელ ორგანიზაციებს მოკავშირე რესპუბლიკებში (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია და სხვ.) რამდენიმე წლების ისტორია აქვთ. ისინი საავტორო ინტერესების დაცვასთან ერთად, უდიდეს სამსახურს უწევენ საბჭოთა ხელოვნების ისეთ მნიშვნელოვან დარგების განვითარებას, როგორიც არის თეატრი, მუსიკა და კინო.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა მდგომარეობას განიცდიან დღეს ჩვენი თეატრები დრამატიული მწერლობის სიღარიბის გამო; განსაკუთრებით მწვავეა რეპერტუარის სიღარიბე საკლუბო და სოფლის სცენებზე, ცნობილია ისიც, რომ ჩვენი საოპერო ხელოვნება მეტად ნელი ნაბიჯით ახერხებს წინსვლას—რევოლიუციონურ თანამედროვეობისაკენ, რაც სათანადო ოპერების უქონლობით აიხსნება უმთავრესად. ასევე მწვავედ იგრძნობა სცენარების სიმცირე განვითარების იმ ძლიერ ტემპთან შედარებით, რომელსაც საბჭოთა კინემატოგრაფია განიცდის.

ამ ნაკლოვანებათა დაძლევა შეუძლებელია ინდივიდუალური, განკერძოებული მუშაობით. დრამატურგთა, კომპოზიტორთა და სცენარისტთა მუშაობა უნდა დაემყაროს გარკვეულ თემატიურ გეგმას—ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ძირითად ამოცანების გათვალისწინებით; მუშაობა უნდა წარიმართოს მტკიცე მიზანშეწონილობისა და გეგმიანობის ნიშნის ქვეშ—გარკვეული იდეოლოგიურ-მხატვრული მიმართულებით, რომელსაც კულტურული რევოლიუციის პროცესი კარნახობს.

ეს კი შესაძლოა მხოლოდ ორგანიზაციულ ჩამოყალიბების პირობებში, რაც შესაძლებელს ხდის გეგმიურ კოლექტიურ დამუშავებას, მასების მხატვრულ მოთხოვნილებათა სწორად შესწავლას, გამოცდილებათა და მიღწევათა გაცვლა-გამოცვლას. ორგანიზაცია საჭიროა აგრეთვე ისეთ მნიშვნელოვან საკითხების მოსაგვარებლად, როგორიც არის გამომცემლობა და სხვ.

დღემდე ქართველ ავტორებს არ ჰქონდათ საკუთარი ორგანიზაცია.

ოთხშაბათს, 12 ივნისს ხელოვანთა სასახლეში სალ., 7 საათზე შესდგება საქართველოს დრამატურგთა საზოგადოების პირველი საორგანიზაციო კრება, რომელზედაც დაწვრილებით უნდა დამუშავდეს მომავალი ორგანიზაციის მიზნები და კონკრეტული ამოცანები.

საქართველოს დრამატურგები თავისი მოვალეობის სრული შეგნებით უნდა შეხვდნენ ამ ახალ საქმეს. კულტურული რევოლიუციის ფრონტს კიდევ ერთი აქტიური კადრი უნდა მიემატოს.

**ბესო ჟღენტი.**

## ა.-კ. საგზაო კომიტეტის პლენუმი

ორშაბათს საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა მოხსენება რკინის-გზის სახელოსნოების დარაიონების შესახებ.

სახელოსნოების დარაიონების პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ორთქლმავლების შეკეთების საქმე ნაწილდება საბჭოთა კავშირის გზების სახელოსნოებს შორის. კერძოდ სტალინის სახელობის ქარხანას რჩება მხოლოდ ორთქლმავლების საშუალო შეკეთების საქმე და მთელი კაპიტალური შეკეთება გადადის სხვა სახელოსნოების ხელში.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომლის დროს გამოითქვა აზრი, რომ სტალინის სახელობის ქარხნის დატოვება მარტო საშუალო შეკეთებაზე მიზანშეუწონელია. ამასთანავე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ქარხანაში ადგილი აქვს მრავალი სერიის ორთქლმავლების შეკეთებას, რაც აძნელებს და აძვირებს შეკეთების საქმეს.

გუშინ დილას მოსმენილ იქნა მოხსენება ხელფასის რეფორმის შედეგების შესახებ.

მომხსენებელმა ამხ. **ნ. უსტიაშვილმა** განაცხადა, რომ ხელფასის რეფორმის გატარების დროს ადგილი ჰქონდა მაღალი კვალიფიკაციის პირების ხელფასის შემცირებას. ამავე დროს დაბალ მოსამსახურეთა ხელფასი გაიზარდა. ხელფასის შემცირებას ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით გზის გამგეობის სამმართველოში.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა კავშირის ხაზინადარის მოხსენება საგზაო კომიტეტის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ და განიხილა საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის სამუშაო გეგმა წლის მეორე ნახევრისათვის

საღამოს სხდომაზე განხილულ და მიღებულ იქნა რეზოლიუციები ყველა მოსმენილ მოხსენების შესახებ.

დასასრულ, პლენუმმა აირჩია საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის ახალი ორი წევრი ნაცვლად პრეზიდიუმიდან გასულ ამხ. ფეოდოროვისა და გრიგორიანისა. მათ მაგიერ არჩეულ იქნენ ამხ. **დონინი** (ბაქოს საუბნო კომიტეტის ყოფ. პასუხისმგებელი მდივანია) და ამხ. **ტოკმაჯიანი** (ლენინაკანის დეპოს მუშა).

ამხ. დონინს დაეკისრა საგზაო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის და საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოვალეობა, ამხ. ტოკმაჯიანს — ეკონომიური განყოფილების გამგის მოვალეობა. ეს განყოფილება ახლო მომავალში გამოყოფილი იქნება სატარიფო - ეკონომიურ განყოფილებიდან..

ამით ამოიწურა პლენუმის დღის წესრიგი.

## რაციონალიზაციის საბჭო მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში შესდგა სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც ამხ. გოლდბაუმმა მოხსენება გააკეთა სოციალისტური რაციონალიზაციისა და რაციონალიზაციის საბჭოს ამოცანების შესახებ. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა რაციონალიზაციის მნიშვნელობაზე და თათბირს გააცნო რაციონალიზაციის საბჭოს და რაც. ბიუროების მუშაობის პროგრამა. შეეხო რა სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა საბჭოთა დაწესებულებები იმრიგად უნდა იქნეს გარდაქმნილი, რომ ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივები დაუყოვნებლივ ტარდებოდნენ ცხოვრებაში და შესაძლებელი გახდეს ამ დირექტივების შესრულების ფაქტიური კანტროლი.

კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად სთვლიდნენ მ.-გ. ინსპექციასთან რაციონალიზაციის საბჭოს დაარსებას.

თათბირმა აირჩია მ.-გ. ინსპექციის რაც. საბჭოს ბიურო და დაამტკიცა მისი უახლოესი მუშაობის პროგრამა. რაც. საბჭოს დაევალა მთელ რაციონალიზატორულ მუშაობის ხელმძღვანელობა საქართველოს ფარგლებში.

## სერგი გორგაძის გარდაცვალების გამო

გუშინ, საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაზე გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი.

პანაშვიდის შემდეგ შესდგა დამკრძალავი კომისიის სხდომა, რომელმაც შეიმუშავა განსვენებულის სამოქალ. პანაშვიდებისა და დაკრძალვის წესები: დღეს საღამოს 5 საათზე, ცხედარი გადასვენებული იქნება ბინიდან (არაგვის ქ. № 8) განათლების მუშაკთა სახლის დიდ დარბაზში (კალოუბნის ქუჩა № 3), სადაც საღამოს 6 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. ხუთშაბათს, 13 ივნისს ცხედარს გამოასვენებენ განათლების მუშაკთა სახლიდან ნაშუადღევის 4 საათზე.

დამკრძალავი კომისიის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებენ განათლების სახ. კომისარიატის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, საისტორიო - საეთნოგრაფიო, საენათ მეცნიერო საზოგადოების, მწერალთა კავშირის, გან. მუშაკთა პროფ. კავშირის და საეთნოგრაფიო მუზეუმის წარმომადგენლები.

## რა ხდება ადგილებზე

### მოაგარაკეების ჩამოსვლა

**თელავი,** 10 ივნისი. გურჯაანში სამაზრო ცენტრის გადატანის გამო, ქალაქი თელავი საგრძნობლად განიტვირთა მოსახლეობიდან. ბევრი ბინა ცარიელი იყო, მაგრამ გაზაფხულის დაწყებისთანავე გაიზარდა მოთხოვნილება ბინებზე. ამჟამად თავისუფალი ოთახი ცოტა-ღა დარჩა. მოაგარაკენი უკვე ჩამოდიან. წელს ძალიან ბევრ მოაგარაკეს მოელიან. (ადს).

### წიგნი მასებს

**ახალსენაკი,** 10 ივნისი. სახელგამმა მოაწყო კამპანია წიგნის გასავრცელებლად შემდეგი ლოზუნგით: „წიგნი მასებს“. ყველა დაწესებულებასთან, ადგილკომთან და სკოლასთან სოფლად დაარსდა სპეციალური კომისიები წიგნის გავრცელებისათვის ხელისშესაწყობად. სახელგამის წიგნები გაიაფებულია 50-დან 80 პროც.-მდე. სენაკში ერთი დღის განმავლობაში ხელი მოაწერეს 1.100 მანეთის წიგნებზე. რკინის გზის მუშებმა ხელი მოაწერეს 425 მან. წიგნებზე. (ადს)

### ფეხბურთ - კალათბურთის გუნდების შეჯიბრება

**ახალქალაქი,** 10 ივნისი. 2 ივნისს ამხანაგური შეჯიბრებისათვის ახალქალაქში ჩამოვიდა ახალციხის ფეხბურთ - კალათბურთის გუნდი. ფეხბურთში გაიმარჯვა ახალქალაქის გუნდმა. პირველი შეხვედრა დამთავრდა 2:1 მეორე 1:0 ახალქალაქელების სასარგებლოდ. კალათბურთში გაიმარჯვეს ახალციხელებმა (23:9 ახალციხელების სასარგებლოდ). შეჯიბრების ფართოდ გაშლას ხელი შეუშალეს წვიმებმა. (ადს)

### ხილის სახმობი

**გურჯაანი,** 10 ივნისი. თელავის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ მოაწყო სახმობი ხილისა და ბოსტნეულისათვის. ამხანაგობას განზრახვა აქვს თავის რაიონში გადაამუშაოს რამდენიმე ასი ტონა ნედლი პროდუქტები. ეს იქნება ხილისა და ბოსტნეულის მექანიკურად გახმობისა და დამზადების პირველი შემთხვევა. (ადს).

### შავი ზღვის რკინის გზა

**სოხუმი,** 10 ივნისი. სოხუმში ჩამოვიდა შავი ზღვის რკინის გზის ადლერ-ოჩამჩირის ნაწილის სამუშაოთა გამგე ინჟინერი კაციტაძე, რომელმაც ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა:

გასულ წელს გზათა სახალხო კომისარიატმა ახალსენაკ - ზუგდიდის გზის დასამთავრებლად გაიღო 2 მილ. მანეთი. ამ რაიონში მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს. მიწის სამუშაოები და ხიდების აგება ზუგდიდამდე შესრულებულია 80 პროცენტით. ადლერ-ოჩამჩირის რაიონში გამოკვლევები დაიწყო თვე ნახევრის წინად. მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს და დამთავრდება მიმდინარე წლის დამლევს. (ადს).

### ნათესის მდგომარეობა

**სოხუმი,** 10 ივნისი. აქეთ კვლავ გვალვაა. ნათესის მდგომარეობა გაუარესდა. შემოდგომის პური 3.1 ბალიდან (შეფასებული იყო 15 მაისს) 2,3 ბალამდე შემცირდა. შემოდგომის ქერი 3 ბალიდან 2,6 ბალამდე; სიმინდის თესვა გვალვის გამო შეფერხებულია. სულ დაითესა 30 პროცენტი. სიმინდის მდგომარეობა შეფასებულია 2,4 ბალად. (ადს).

## პროფკავშირების მონაწილეობა რემედასის მუშაობაში

რემედასის თბილისის კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა, აღნიშნა, რომ ზოგიერთი ძირითადი პროფესიონალური ორგანიზაცია (ფაბრქარხადგილკომები) ვერ უწევენ საკმაო დახმარებას რემედასის ორგანიზაციების მუშაობას და საერთოდ ამ მუშაობას შესაფერისად ვერ აფასებენ.

იმ მიზნით, რომ რემედასის მუშაობას კავშირებმა მეტი დახმარება გაუწიონ და კავშირებისა და რემედასის ორგანიზაციების მუშაობაში მეტი კონტაქტი იქნეს მიღწეული, საქ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა საპროფკავშირო ორგანიზაციებს: მეტი დახმარება გაუწიონ რემედასის ორგანიზაციების მუშაობას ადგილებზე, რემედასის მუშაობის და ამოცანების პოპულიარიზაციის საქმეს პროფკავშირების წევრთა შორის და მიიღონ ზომები რემედასის რიგებში კავშ. წევრთა მოსაზიდავად.

აღმოუჩინონ შესაფერი დახმარება რემედასის ორგანიზაციებს კამპანიის ჩატარებაში, მეტადრე რემედასის დღის ჩატარებაში, რისთვისაც რემედასის ორგანიზაციებს შესაფერი ბინა უნდა დაუთმონ.

გააძლიერონ კავშირი რემედასის უჯრედებსა და კულტკომისიებს შორის წარმოება-დაწესებულებებში.

დაეხმარონ რემედასის ორგანიზაციებს კლუბებსა და წითელ კუთხეებში მასიურ ღონისძიებათა (მოხსენებების, კითხვა-პასუხის საღამოების, საუბრების, ლექციების, საცხობარო მუშაობის და სხვ.) ჩატარებაში, რომელიც მშრომელ მასებში რემედასის საქმიანობის და იდეების პოპულიარიზაციასთანაა დაკავშირებული.

კლუბების მუშაობის პროგრამაში შეიტანონ რემედასის მუშაობასთან დაკავშირებული მომენტები (მოხსენებები თეთრი ტერორის შესახებ, რემედასის მუშაობა უცხოეთში, შეფობა პოლიტპატიმრებზე და სხვა).

ამასთან ერთად შემოღებული უნდა იქნეს რემედასის სპეციალური საღამოების მოწყობა კლუბებში და წითელ კუთხეებში.

მოაწყონ კლუბებში რემედასის საჩვენებელი კუთხეები. შეავსონ ბიბლიოთეკები რემედასის მუშაობასთან დაკავშირებული ლიტერატურით და რემედასის პერიოდულ გამოცემებით, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე.

განათლების, სასოფლო მეურნეობის მუშების და სხვა კავშირებმა, რომლებიც სოფელთან არიან დაკავშირებული, ხელი უნდა შეუწყონ სოფლად რემედასის ორგანიზაციებში კავშირების წევრთა მონაწილეობის უზრუნველყოფას.

## თბილისის საბჭოს სექციებში

### სავაჭრო-კოოპერ. სექციაში

10 ივნისს, საღამოს ორჯონიკიძის სახელობის საზაფხულო კლუბში შესდგა თბილისის საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიული სექციის მორიგი სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა თბილისის აღმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ლასკარის და კოოპერატიულ კომისიის წარმომადგენლის ამხ. ბორკოვსკის მოხსენება საბაზრო კომიტეტების მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თბილისში არსებობს ექვსი საბაზრო კომიტეტი, რომლების მოვალეობაშიაც შედის ბაზრებში სანიტარული პირობების დაცვა და კონტრაბანდულ და უპატენტო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა. აღნიშნულ კომიტეტების მუშაობაში დაცული არ არის გეგმიანობა. თვითეული კომიტეტი მუშაობს თავისი საკუთარი სურვილის მიხედვით, ერთი კომიტეტის შტატი არ ემსგავსება მეორეს და სხვ. ასეთივე განსხვავებაა ჯამაგირებშიაც, რომლებიც ქანაობენ 210 მანეთიდან —70 მანეთამდე, ზოგიერთ კომიტეტებს არა აქვთ შემუშავებული ხარჯთაღრიცხვა და სხვ. ბაზრებში გამეფებულია სრული ანტისანიტარია. ადმინისტრაცია ბაზრებს არ აქცევს სათანადო ყურადღებას, რის გამოც იქ თარეშობენ ქურდ-ბაცაცები და ხულიგნები. ბაზარში ხშირად იყიდება უვარგისი საქონელი. ბაზრებში კერძო ვაჭრების ხელში თავს იყრის ხშირად ისეთი საქონელი, რომელიც არ მოიპოვება კოოპერატიულ სავაჭროებში. კოოპერატიული ორგანიზაციები ერიდებიან ბაზრებში თავისი სავაჭრო წერტების გახსნას.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10 კაცმა.

დასასრულ მიღებული იქნა კოოპ. კომისიის წინადადება, რომელიც მიზნად ისახავს ბაზრების მდგომარეობის გაუმჯობესებას და საბაზრო კომიტეტის მუშაობის გაჯანსაღებას.

### მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ადმინისტრატიულ-უფლებრივ სექციებში

მილიციის ცენტრალურ კლუბში შესდგა მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ადმინისტრატიულ-უფლებრივი სექციების გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც განხილული და დამტკიცებული იქნა პროექტი სავალდებულო დადგენილებისა ქუჩაში მოძრაობის შესახებ. აღნიშნული პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება საბჭოს პრეზიდიუმს, რის შემდეგაც გამოქვეყნდება.

დღეს, 12 ივნისს, საღამოს სრულ 6 საათზე
ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში
(ყოფ. მუშტაიდი) მოწვეულია
**თბილისის საბჭოს მორიგი**
**გაფართოვებული პლენუმი**
ფაბქარხადგილკომებთან ერთად.
**დღის წესრიგი:**
თბილისის სასურსათო ბაზრის მდგომარეობა.
**თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.**

## რამდენიმე დღე აღმოსავლეთ გურიაში

(თემის საბჭოების დათვალიერება)

ამას წინად აღმოსავლეთ გურიაში მომინდა ყოფნა და იქ ა.-კ. ცაკის მცირე პრეზიდიუმის დავალების თანახმად რამდენიმე თემის საბჭოების დათვალიერება. სახელდობრ: ამაღლების, აკეთის, ჩოხატაურის, კოხნარას და ზემოხეთის. ამათ შორის საბჭოს სხდომებს დავესწარით ამაღლებაში, აკეთში და ზემოხეთში. სხვათა შორის ჩემთან იყო საქ. ცაკის წევრი ამხ. ხომერიკი. საბჭოების სხდომის დღის წესრიგში წინასწარ ჩვენის წინადადების თანახმად დასმული იყო მხოლოდ ადგილობრივ საჭირბოროტო, პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები. დანარჩენი თემების დათვალიერება მოვახდინეთ აღმასკომის მეშვეობით ისე, რომ საბჭოს სხდომები არ მოგვიწვევია.

⁂

ჯერ ორიოდე სიტყვა საერთოდ დათვალიერების შესახებ. ჩემის აზრით დათვალიერების პრაქტიკა ცენტრიდან ადგილებზე პასუხისმგებელი ამხანაგების მიერ უნდა შემოვიღოთ უფრო ხშირად. ეს პრაქტიკა დათვალიერების უნდა იყოს არა კაზიონური, შაბლონური, არა მარტო ცივი რევიზიისა და უცებ მოლანდებული „საფრთხობელას“ ხასიათის, არამედ ისეთი, როცა მისული თვითონ პირადათ იღებს მონაწილეობას ადგილობრივი საკითხების წამოყენებასა და გარჩევაში და იქავე იძლევა შესაფერ დირექტივებსა და მითითებებს. ასეთ დათვალიერებას მიზნად უდა ჰქონდეს დასახული ცოცხალი, პირდაპირი დახმარება ადგილობრივი ხელისუფლებისადმი და არა მაინცდამაინც ვისმეზე „ნადირობა“ და ამისათვის ყოველგან და ყველაფერში „დაჩირქებული მუწუკების“ ძებნა. ამ შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მიმაგრების სისტემაც.

ცნობილია, (და ამას ჩვენი მაზრების მუშაკებიც ხშირად აღიარებენ) რომ ჩვენ ადგილებზე, განსაკუთრებით სოფლებში, არ მოგვეპოვება საკმაო ძალები. რაც არის, ისინიც საშინლად გადატვირთულნი არიან.

მაზრის მუშაკები თავის დროზე ვერ წვდებიან სოფლებს და იქ ვერ ათვალიერებენ საბჭოების მუშაობას. ისინი ნახულობენ პერიფერიებს უმთავრესად სხვადასხვა კამპანიებისა და არჩევნების დროს და არა სპეციალურად მთელი მუშაობის გამოსარკვევად.

მარტო კრებებით და კამპანიებით ჩვენ საქმეს ვერ გავაკეთებთ, ამისათვის საჭიროა ცალკე თავისუფალი დრო და ცალკე მუშაობა, საჭიროა ცალკე მისვლა, დათვალიერება, და მისი ნაკლზე კატეგორიულად მითითება და მისი გამოსწორებისათვის გზების გამონახვა.

ამას ვერ შესძლებს მარტო მაზრის მუშაკები, აქ უნდა დაეხმაროს მათ ცენტრიც.

გეგმიანი გამოკვლევების გვერდით, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ პრაქტიკული ხასიათის დათვალიერებანი, რომლებიც მაშინვე იძლევიან ერთნაირ შედეგებს.

ცენტრიდან პასუხისმგებელი ამხანაგების მხრით ადგილობრივი მდგომარეობის დათვალიერების მეთოდს სავსებით ამართლებს აგრეთვე შემდეგი გარემოება: ხშირად ადგილობრივი მუშაკის თვალი ეჩვევა და ვერ ამჩნევს მის გარშემო არსებულ ნაკლოვანებებს, სათანადოთ ვერ აფასებს მათ უარყოფით მნიშვნელობას, მით უმეტეს იქ, სადაც მოისუსტებს პირდაპირი მხილება და თვითკრიტიკა. ამ შემთხვევაში სულ სხვაა ახლად მისულის გამოცდილი თვალი. მას მაშინვე თვალში ეცემა ყოველგვარი ნაკლი, გააკეთებს ამ ნაკლის შესახებ ამა თუ იმ დასკვნას და გააცნობს და მიუთითებს მასზე ადგილობრივ ხელისუფლებას. ყველა ამის მიზანი იქნება საბჭოების მუშაობის გაუმჯობესება და სოფლის კეთილმოწყობა, რაც ბოლოს და ბოლოს ნიშნავს ადგილობრივი ხელისუფლების მჭიდრო კავშირს მშრომელ გლეხობასთან.

⁂

როგორც ზემოთ ვსთქვით, აღმოსავლეთ გურიაში დავათვალიერეთ ხუთი თემი. ამათში ყველაზე უფრო ჩამორჩენილი აღმოჩნდა **ამაღლების თემი**. სამკითხველოები მოუვლელია. საფერშლო პუნქტის ძველი, პატარა შენობა სრულიად გამოცარიელებულია; ერთი ხეირიანი სკამიც კი არ გდია შიგ; პირდაპირ უმწეო მდგომარეობაშია.

არც სკოლები არის მოვლილი, არც ერთს არ ემჩნევა საზოგადოებრივი ინიციატივის მზრუნველი ხელი. აღმასკომის ძველის-ძველი შენობა შიგნით ფუღურო გამომტვერებულ ძელი ჯირკვის შუაგულს მოგაგონებს ადამიანს. შვიდწლედისა და სამკითხველოების გარშემო არ არის დაცული ელემენტარული სისუფთავე.

რადიო-ოთახი თვე არის რაც რომ არ მუშაობს, მაგრამ ამისათვის თავს მაინცდამაინც არავინ იწუხებს. იქვეა ნახევრად დანგრეული ქვის ეკლესია. როგორც გამოირკვა მცხოვრებლებისა და საბჭოს დადგენილებების თანახმად გაუქმებული ეკლესიის მასალა უნდა მოხმარდეს სასწავლებლისათვის შენობის აგებას, მაგრამ ჯერ იგი არ დაუწყიათ. ქვებით, ძველი კირითა და სილით გავსებულია იქაური ისედაც ვიწრო ფართობი. აუცილებელია ამ მასალის რაც შეიძლება ადრე გამარა და იქაურობის გაწმენდა. თორემ ისედაც ჩამორჩენილ თემს პირდაპირ ნაოხრალის სახეს აძლევს.

ადგილობრივ კულტურულ ძალებსა და აქტივს დიდი უმოქმედობა და მოდუნება ემჩნევა, განსაკუთრებით ეს ითქმის მასწავლებლობაზე. კულტურული დაწესებულებებისადმი მათი უყურადღებობა და გულგრილობა აშკარა ფაქტია. საჭიროა მათი გამოფხიზლება,

ძველ საბჭოს ერთი მთავარი სასოფლო გზა თითქო შეუკეთებია, მაგრამ საერთოდ გზები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

ყველა ამაებში გამოსჭვივის თემის საბჭოს სუსტი მუშაობა და ჯანსაღი, გულწრფელი და პირდაპირი თვითკრიტიკის უქონლობა.

ყველაფერი ეს რომ გამოსწორდეს და ამაღლების თემი დაემსგავსოს კეთილმოწყობილ თემს, პირველყოვლისა საჭიროა თემის საბჭოსა და მისი სექციების მუშაობის გამოცოცხლება, მეტი-ენერგიით მუშაობა, ინიციატივის გამოჩენა და ამოქმედება. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს სამაზრო ხელისუფლებამ, მან უნდა გამოიყენოს ამაღლების თემის ჩამორჩენილობა საერთოდ ზოგიერთი საბჭოების სუსტი მუშაობის სანიმუშოდ და გააფრთხილოს ამით დანარჩენი თემები, თუ რას ნიშნავს საერთო საქმისადმი გულგრილობა, ინიციატივის არქონა და თუ გნებავთ მენშევიზმის ნაშთი, რომელიც ჩვენს დროს უსათუოდ იფარება ყოველგვარ უმოქმედობაში.

რა თქმა უნდა მე ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ თითქოს ამაღლების თემის საბჭოში მენშევიკური ელემენტები ისხდენ. არა, მე მხოლოდ სუსტ მუშაობაზე და უმოქმედობაზე ვლაპარაკობ. საბჭომ უნდა გამოიჩინოს მეტი სიმტკიცე და მეტი უნარი საზოგადოებრივ საქმიანობაში და მას მცხოვრებლებმაც მხარი უნდა დაუჭიროს.

მე იმედი მაქვს, რომ ამის შემდეგ მაინც ამაღლების თემს საბჭო, ღარიბი და საშუალო გლეხკაცობა, ადგილობრივი კულტურული ძალები, კომუჯრედის წევრები და კომკავშირლები შეერთებულის ძალით შეეცდებიან თემის საქმის გამობრუნებას და მის კეთილმოწყობას.

რაც შეეხება თემის საბჭოს შემადგენლობას, ამის შესახებ თემის აღმასკომში მივიღეთ შემდეგი ციფრები: საბჭოში არჩეულია სულ 53 წევრი. აქედან საშუალო მხოლოდ 2 და ქალები 9. როგორც ხედავთ აქ დარღვეულია პარტიის დირექტივა საშუალო გლეხების შესახებ, მათი რიცხვი ძალიან ცოტა არის, იგი სრულიად დავიწყებულია ამ შემთხვევაში. ამაღლებაში საშუალო გლეხობა კი არც ისე მცირე რიცხვს შეადგენს. ჩემის აზრით სამაზრო ხელისუფლებამ აქ უნდა მოახდინოს ხელახალი გადარჩევა.

საბჭოს ყავს შემდეგი სექციები: კულტურული, საექიმო-სასანიტარო, საამშენებლო, საგზაო, საგადასახადო-საბიუჯეტო და კოოპერატიული. თუ გავითვალისწინებთ ამაღლების თემის ჩამორჩენილობას, მაშინ აშკარად უნდა ვსთქვათ, რომ ხსენებული სექციები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ, ისინი, მეტი რომ არა ვსთქვათ, ძალიან სუსტად მუშაობენ.

და ამიტომ სწორედ ამ სექციების მუშაობის გამოცოცხლებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

⁂

ახლა ორიოდე სიტყვა **ჩოხატაურის თემის** შესახებ. აქ პირველყოვლისა ყურადღების ღირსია საავადმყოფოს კრიტიკული მდგომარეობა. ამ საავადმყოფოთი სარგებლობს ჩოხატაურის გარშემო მდებარე რამდენიმე თემები. მიუხედავად ამისა მისი ხარჯები მძიმე ტვირთად აწევს მხოლოდ ჩოხატაურის თემს. საავადმყოფოს აქვს დავალიანება; მოთავსებულია კარგსა და მოხდენილ ახლად აშენებულ ქვის შენობაში. ამ შენობის აშენებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულ ამხ. თეოფილე ჩიჩუას, რომელსაც ყველა ჩვენგანი იცნობდა და პატივს სცემდა როგორც ძველ რევოლიუციონერ-ბოლშევიკს. საავადმყოფო აგებულია მენშევიკების მიერ გურიაში დახვრეტილი ამხანაგების სახელობაზე. უსახსრობის გამო შენობის ერთი ნაწილი არ არის სავსებით დამთავრებული შიგნით.

მომავალი საბიუჯეტო წლიდან თუ ეს საავადმყოფო არ იქნა შეტანილი საერთო ბიუჯეტში, მისი არსებობა შეუძლებელი იქნება. ჯანმრთელობის კომისარიატმა ანგარიში უნდა გაუწიოს ამ საკითხის მოგვარებას.

სოფლის გზები ჩოხატაურში საშინლად დაზიანებულია, განსაკუთრებით სოფ. ამაღლებისაკენ მიმავალი მთავარი გზა. ამ ხნის განმავლობაში აქ როგორც სჩანს ერთი „კენჭიც“ კი არავის დაუგდია.

რაც შეეხება საჯევახოსა და ჩოხატაურს შუა ახლად შეკეთებულ ძველ გზატკეცილს, იგი დაუმთავრებელია როგორც საჯევახოს მხრით, ისე ჩოხატაურთან. გაკეთებული ნაწილიც არ არის მოვლილი. და თუ ყურადღება და მეთვალყურეობა არ იქნა გაძლიერებული, ეს გზა ისევ მალე გაფუჭდება. ალაგ-ალაგ ახლაც ეტყობა დაზიანება.

საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ ეხლავე უნდა მიაქციოს ამ გზის მდგომარეობას ყურადღება. მაგრამ ეს არ კმარა: ამ გზის მოსავლელად და შესაკეთებლად ამოქმედდეს უნდა აგრეთვე ამ გზის გარშემო მდებარე თემები და მათი საბჭოები, განსაკუთრებით ჩოხატაური; უნდა აეკრძალოს მცხოვრებლებს, შეურემეებსა და და სხვ. გზაზე ტყის პირიდან ამონაჩეხის, განაღობიდან და საქონლის დაპურების დროს დარჩენილი ფურცლისა და ჩალის დაყრა, რაც გზას ყოველმხრივად უკარგავს თავის სახეს და მნიშვნელობას პირდაპირ დაზიანებაზედაც რომ არაფერი ვსთქვათ.

თვით ჩოხატაურიც ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, სისუფთავე აქაც არ არის დაცული. სხვათა შორის ბაზარში ბლომად მოუზიდნიათ და დაუყრიათ სილა და ქვიშა, მაგრამ იგი ჯერაც გაუშლელი და გაუსწორებელია. აღმასკომის სამმართველოს წინ (მისავალში) უსუფთაობას ხედავთ.

საერთოდ აქაც სუსტად სჩანს საბჭოს ხელი და მუშაობა. ჩოხატაური იმაზე უკეთ უნდა გამოიყურებოდეს, ვიდრე იგი დღეს არის. ყველაფერიდან სჩანს, რომ სექციების მუშაობა აქაც ძალიან სუსტია. თემი ვერ არის შესაფეროსად კეთილმოწყობილი და მოვლილი, მილიციაში ტელეფონი არ მოქმედებდა. მიზეზი: ფულის გადაუხდელობა. ეს სხვათა შორის იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია ყველა ჩვენს სამუშაო დარგში ყოველგვარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მოწესრიგება. დრო კია, რომ ეს ასე აღარ იყოს, უნდა ვიფიქროთ მის ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრაზე.

ამაღლების შემდეგ ჩოხატაურსაც მართებს მეტი სიფხიზლე და სიმტკიცე, მეტი მონდომება და მუშაობის გამოცოცხლება.

ამხანაგებმა სხვათა შორის დაგვათვალიერებინეს საკრედიტო ამხანაგობის მიერ მოწყობილი მარანი, სადაც გლეხს შეუძლია ზოგიერთი მისი შრომის ნაყოფის გასაღება.

ჩოხატაურის საბჭოს შემადგენლობა: საბჭოში შედის 78 წევრი. ამათგან ღარიბი 47, საშუალო 31 ქალები 11, როგორც ხედავთ აქ დამაკმაყოფილებელია საშუალო გლეხობის მონაწილეობა საბჭოში, რაც როგორც დავინახეთ არ არის ამაღლების თემში.

⁂

გადავდივართ **აკეთის თემზე**. თემის ცენტრი აქ თითქმის მოშლილია. დაწესებულებებისათვის შენობა არ მოიპოვებათ. საერთოდ აკეთის თემის უნუგეშო მდგომარეობა ჩვენი უგეგმო და „კაბინეტური“ მუშაობის ბრალიც არის. თემის ხან გაყოფამ და ხან ისევ შეერთებამ ნაწილობრივ ხელი შეუწყო ამ თემის დაქვეითებას. სხვათა შორის სულ არ არსებობს სამკითხველო. აკეთი ერთხელ კეთილმოწყობილ თემად ითვლებოდა, ახლა კი იგი ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. აგერ მესამე წელიწადია ვგონებ აკეთი გართულია ახალი „საშუალო“ ადგილის ძებნაში თემის ორად გაყოფისა თუ ერთად შეერთების გამო და კატის კნუტივით დაათრევს დაწესებულების ძველ შენობას ხან ერთსა და ხან მეორე ალაგას. და ამ ხნის განმავლობაში ხსენებული შენობა ხშირად გადაუხურავი, უფანჯრო, უპერო, უიატაკო და ლამფა შემოუკრავი ოხრდებოდა და ფუჭდებოდა, ხოლო აღმასკომი ხან სკოლის შენობაშია მოთავსებული და ხან (ახლა) პატარა ნადუქნარშია მოკრუნჩხული.

საბჭოს სხდომამ აქ ჩვენი თანდასწრებით გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებებისა, სხვათა შორის გზების შესახებაც.

მაგრამ რაც უნდა არ იყვეს ადგილობრივ საბჭოს გაუჭირდება თემის ცენტრის ხეირიანად აღდგენა, თუ აქ მაზრამ და ცენტრმა ცოტა დახმარება არ აღმოუჩინა.

აკეთის თემის შემადგენლობა შემდეგია: საერთო რიცხვი—53, ღარიბი—38, საშუალო —15, ქალი—4. საერთოდ ჯგუფურ ფენებათ დაყოფა დამაკმაყოფილებელია თუმცა საშუალოების გაყვანა მეტიც შეიძლებოდა, ხოლო ძალიან ცოტა არის ქალთა რიცხვი, რაც მომავლისათვის უნდა იქნას მიღებული მხედველობაში.

⁂

**კოხნარას თემი**—კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. აქ ეტყობა ადამიანის ცოცხალი ხელი და მოვლა-პატრონობა. შეიძლება ითქვას, რომ ეს კეთილმოწყობილი თემია. არსებობს მოვლილი სამკითხველო, სასწავლებლები, ფოსტა და სხვა. სხვათა შორის ყურადღებას იქცევს აქ მშვენიერი სისუფთავე. გზებიც უკეთეს მდგომარეობაშია. საბჭოს შემადგენლობა: წევრი 31, ამათში ღარიბი—27, საშუალო—4 ქალები 4. საშუალო გლეხის მიმართ აქაც არ არის სწორად გატარებული უმაღლესი ორგანოების დირექტივები.

დროის უქონლობის გამო ვეღარ შევჩერდით საჭამიასერის თემში, რომელიც კოხნარას მეზობლად იმყოფება, მაგრამ იქ უბრალო გავლამაც დაგვარწმუნა, რომ იქ საბჭო და მცხოვრებლები კარგად მუშაობენ და აქვთ მოვლილი დაწესებულებები, სხვათა შორის სიმღერით ასრულებდნენ მცხოვრებლები იქვე ერთ-ერთ სამუშაოს, სახელდობრ ერთიან კოოპერატივის შენობაზე.

⁂

აქედან გავემგზავრეთ **ზემო-ხეთის** თემში, სადაც დავესწარით საბჭოს სხდომას.

მივარდნილი და ღარიბი ზემო-ხეთიც კი ცდილობს, რომ თემი დაამსგავსონ კეთილმოწყობილ ოჯახს. შთაბეჭდილება აქაც კარგის მხრით იცვლება ამაღლებასა და აკეთს შემდეგ. სხვათა შორის აუგიათ შვიდწლედისათვის შენობა ამხ. ლ. სუხიშვილის სახელობაზე, მაგრამ მთლად დამთავრებული არ არის. მომავალი სამოსწავლო წლიდან უსათუოდ უნდა უნდა მოსრულდეს. საბჭოს უნდა შუამდგომლობის აღძვრა სესხის მიღების შესახებ. სამაზრო აღმასკომიც დაპირებია დახმარებას.

აქ სადაო საკითხათ გადაქცეულა სოფელ თხილიგანის (ამავე თემში შედის) ოთხწლედისათვის ახალი ქვის შენობის აგების საკითხი; ამ სკოლის საფუძველი ვგონებ 1914 წელში ჩაყრილა. ამჟამად იქ აქვთ ხის შენობა. საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომ ეს საკითხი საბოლოოდ მოაგვაროს მაზრის ხელისუფლებამ. ჩვენის აზრით მთელმა თემმა და კერძოდ თხილაგანის მცხოვრებლებმაც პირველ რიგში უნდა იზრუნონ და საერთო ძალღონით დაამთავრონ შვიდწლედის შენობა, რომელსაც თემისათვის საერთო მნიშვნელობა აქვს და ამას შემდეგ მოკიდონ ხელი თხილაგანის ოთხწლედისათვის ქვის შენობის აგების საქმეს.

ზემო-ხეთის საბჭოში ითვლება სულ 21 წევრი. ამათში ღარიბი 14, საშუალო 2 და 5 მოსამსახურე. საშუალო გლეხი აქაც არ არის საკმაოდ წარმოდგენილი, ქალებიც მხოლოდ ორია.

ჩვენ მიერ დათვალიერებულ თემებში გავეცანით არჩევნების დროს ხმაწართმეულთა სიებს. დიდი უმეტესობის შესახებ სწორად არის აქ გატარებული ინსტრუქცია. ხმა წართმეულთა სიაში ბევრი ვაჭრები და ვაჭრის ცოლები, სასულიერო წოდების პირებია და სხვ. ნახავთ სიაში გაუსწორებელ კონტრაბანდისტების სახელებსაც.

არის დაშვებული ზოგიერთი შეცდომებიც ყრუ-მუნჯებსა და ზოგიერთი პატიმრების ნათესავების მიმართ, რომლის გამოსწორება ხმაწართმეულის მხრით გასაჩივრების შემდეგ ევალება მუდმივად არსებულ კომისიას ცენტრში.

აღსანიშნავია სასოფლო - სამეურნეო გადასახადის გაწერის დროს დაშვებული უხეში შეცდომები, რაც განზრახ ჩადენილ დანაშაულს უდრის.

ამჟამად აღმოვაჩინეთ იგი აკეთის და ამაღლების თემებში. ეს თემები ამ შემთხვევაში გამონაკლისს არ შეადგენენ. ასეთი მაგალითები ხშირია.

ღარიბს და საშუალოს შეწერილი აქვს და ხან ნორმაზე მეტიც. მის გვერდით კი შეძლებული ან სრულიად განთავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან და ან ისე მცირე აქვს შეწერილი, რომ ღარიბსა და საშუალოს ვერაფერი გაუგია, რატომ ხდება ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს. და მართლაც რატომ ხდება იგი? ხშირად, რა თქმა უნდა, საგადასახადო ორგანოების აგენტების დაუდევრობით და გულგრილობით, მაგრამ აქვე ადგილი აქვს უსათუოდ თემის მუშაკების სისუსტესაც, რომლებიც სათანადო ყურადღებით ვერ ეკიდებიან ამ საკითხს თავის დროზე სოფლებში. საჭიროა მეტი მეთვალყურეობა ამ საკითხისადმი მომავალში.

⁂

მოკლეთ თვითკრიტიკისა და აქტივობის შესახებ საბჭოებში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ისინი ჯერ კიდევ ვერ სდგანან თავის სიმაღლეზე. ერთ-ერთ სხდომაზე ყოველთვის იღებდა სიტყვას მხოლოდ ყოფილი თავმჯდომარე, სხვები კი მორცხვობდნენ, განსაკუთრებით ქალები. ყველგან, დასმული საკითხების გარშემო ლაპარაკის დროს არავინ აკრიტიკებს თვითონ პრეზიდიუმს და მის ცალკე წევრებს, სექციების მუშაობას და სხ., თუ რატომ, რა მიზეზის გამო არ არის მოგვარებული და გაკეთებული ესა თუ ის საკითხი და საქმე. ნაკლებად მოსჩანს აქტივი საბჭოს წევრი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ მოინტელიგენტო ძალებს. ყველაფრიდან სჩანს, რომ ასევე სუსტია თვითკრიტიკა ღარიბი და საშუალო გლეხების მხრით საბჭოს გარეთაც თვითონ საბჭოს მოღვაწეობის შესახებ, განსაკუთრებით იმ თემებში, სადაც სუსტ მუშაობას აქვს ადგილი (ამაღლება და აკეთი).

თვითკრიტიკის გაძლიერებას საბჭოებში, ახალი აქტივის შექმნას (განსაკუთრებით ქალებისაგან) და სხვ. უნდა მიექცეს ამ თავითვე განსაკუთრებული ყურადღება, რომ ახალი საბჭოების მუშაობა მართლაც გამოცოცხლდეს ყველგან და მეტი ნაყოფიერი გახდეს.

ზემო-ხეთისა და ამაღლების თემის საბჭოებში ზოგიერთი წევრების გამოსვლების დროს ჩვენ მიერ შემჩნეული იყო სხვათა შორის ერთი უარყოფითი მხარე. სახელდობრ კუთხური მიდრეკილება, რაც არღვევს საბჭოს ერთსულოვნებას და მთლიანობას. საბჭოს ერთი ნაწილი ამა თუ იმ საკითხების გადაჭრის დროს გამოდიოდა თემის საერთო ინტერესებიდან და მოთხოვნილებებიდან კი არა, არამედ **კუთხური** მოსაზრებებიდან. „თქვენ ქენით რაც გინდათ, ჩვენ არ მოგეხმარებით“ — აი ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი მსჯელობა, რომელიც ხანდახან მავნე ჟინიანობამდე მიდის. ამ გარემოებას დიდი ზიანის მიყენება შეუძლია საბჭოს მუშაობისათვის და ამიტომ ადგილებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ მისგან თავის დასაღწევად. განსაკუთრებით თვითონ საბჭოებს მართებს ამ მხრივ მუშაობის მიმართვა, თორემ ამ შემთხვევაში ისარგებლებენ კულაკები, ანტი-საბჭოთა ელემენტები და შეეცდებიან საბჭოს გადაქცევას უსაქმური ჟინიანობისა და კინკლაობის ორგანოდ.

⁂

აქ აღნიშნულ თემებში თითქმის ყველგან შეხვდებით თითო-ოროლა კოლექტიურ მეურნეობებს, რაც წინად არ იყო. დიახ, სოფელში უკვე ამ უკანასკნელად გაჩენილია სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის უტყუარი ჩანასახები. ესენი ჯერ-ჯერობით ზღვაში წვეთია, მაგრამ რაც არის, თუ ამ თავითვე კარგად მოუვლით და გავამაგრებთ, მაშინ უფრო ადვილად და ჩქარა შესაძლებელი იქნება მისი გაზრდა და გაძლიერება, როგორც რაოდენობით, ისე შინაარსითაც. არ შეიძლება მაგალითისათვის არ მოვიყვანო ერთი ფაქტი: **ამაღლების თემში** სხვათა შორის არსებობს ერთი ეგრედ წოდებული **ქვიშნარის კოლექტივი**. აქ თვითონ გლეხებს გაუერთიანებიათ თავისი ხვედრი ნორმის ნაწილი და შესდგომიან ერთად ჩაის მოშენებას. ასეთი ნაბიჯები რომ ხშირად გადაიდგას, დიდი მიღწევა იქნება.

კოლექტივები არსებობენ სხვა თემშიაც, ალბად კიდევ უფრო მსხვილი. ისინი უნდა გახდნენ სოციალისტური მაგალითების მიმცემი ინდივიდუალური მეურნეობისათვის.

ამისათვის საჭიროა მათზე თვალყურის დევნება და გამუდმებული ხელმძღვანელობა, რაც პირველ ყოვლისა ადგილობრივი ორგანოების მოვალეობას შეადგენს.

⁂

გურიაში მრავლათ შეხვდებით დღეს აგრეთვე გახშირებულ ინდივიდუალური ხასიათის ჩაის კულტურას. როგორც სჩანს, გლეხობა ერთგულად ეკიდება დღეს ამ საქმეს, ვინაიდან იგი სწორედ ასეთ კულტურებში ეძიებს თავის მეურნეობის გაუმჯობესებას. გლეხი ხედავს, რომ მთავრობაც ხელს უწყობს მას ამ საქმეში და კმაყოფილებასაც გამოსთქვამს. იგი გულნაკლულია მხოლოდ ფართლეულობის შესახებ და ცოტა არ იყოს თეთრი, როგორც გურულები იტყვიან „სადღელავი“ პურის შოვნის მოლოდინშია. მაგრამ ამასთანავე მან იცის, დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია ადრე თუ გვიან ჩვეულებრივად მაინც თავისას იზამს, გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებებს როგორც ყოველთვის და ამ ნაკლსაც შეავსებს. ამიტომ პროვოკაციასა და დემაგოგიას ანტისაბჭოთა ელემენტების მხრით გასავალი აღარ აქვს. მშრომელმა მასამ იცის, რომ მთავრობა აქ ყოველგვარ ზომებს ღებულობს და ზრუნავს ყოველთვის საერთო ცხოვრების განახლებისა და გაუმჯობესებისათვის.

გამოირკვა, რომ დათვალიერებულ თემებში თემის თავმჯდომარეებს მეორე თვე იყო, ხელფასი არ ჰქონდათ მიღებული. რა ქნას აღმასკომის თავმჯდომარემ, თუ ჩვენ მას თავის დროზე ვერ ვაწვდით მცირე ჯამაგირს? აკი სწორედ ამიტომ არის, ალბად, რომ ბევრს იმათგანს ხეირიანად გარეცხილი ბლუზაც კი არ აცვია ტანზე.

ადგილობრივი მუშაკებისათვის თავის დროზე ხელფასის მიღების საკითხს უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება, მისი მოუგვარებლობა აფერხებს მუშაობას, იგი მოუგვარებლად უნდა ჩაითვალოს და სამაზრო აღმასკომებმა უნდა მიიღონ ზომები მის მოსაწესრიგებლად.

ამ წერილში ჩამოთვლილ უმრავლეს თემურ საბჭოების შემადგენლობაში სხვათა შორის მეც ვითვლები ერთ-ერთ წევრად. სხვა რომ არა იყოს რა, ეს გარემოებაც მავალებდა თვითკრიტიკის წესით აღმენიშნა ის ნაკლი, თუ დადებითი მხარეები ხსენებული სოფლების საბჭოების მუშაობაში, რომლის შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ. თუ რამ გავაკრიტიკე (შეიძლება ზოგიერთ ალაგას მკაცრადაც) მხოლოდ იმისათვის, რომ „მოყვარეს პირში უძრახავენ“... მიზანი? ნაკლის აღნუსხვა, მისი გამოსწორება, წინსვლა და სოციალისტური ელემენტების შესაფერი ტემპით ზრდა და განვითარება.

კეთილმოწყობილი, ნამდვილი, განახლებული საბჭოთა სოფელი, რომლის ნახვამ ყველა მშრომელის გული უნდა გაახაროს—აი, როგორი უნდა იყოს ამოცანა სოფლის საბჭოების.

აქეთკენ უნდა წარმართონ მათ თავიანთი მუშაობა, მუშაობა გეგმიანი, დაუზარებელი, მტკიცე და ენერგიული.

**ა. დოლიძე.**

# ქრონიკა

### ქალაქის კომენდანტისაგან

ქალ. თბილისის და მისი მიდამოების კომენდანტი აცხადებს, რომ 12-დან 15 ივნისამდე ჩატარებული იქნება სროლა და ასაფეთქებელი სამუშაოები შემდეგ ადგილებში:

12 ივნისს—მდ. ორხევის რაიონში სოფ. ნოვო-ალექსეევკას მახლობლად ეწყობა ასაფეთქებელი სამუშაოები; დიდუბეში გერმანელების ახალშენის მახლობლად მოხდება 4 აფეთქება. 13, 14 და 15 ივნისს საქ. სამხედრო გზატკეცილზე „თეთრი დუქნის“ მახლობლად ჩატარებული იქნება თოფებისა და ტყვიამფრქვევების სროლა ჯავშნიანი ავტომობილებიდან. იქვე მოხდება რამდენიმე აფეთქება და ხელის ყუმბარების გასროლა.

### ზოგი საქმეები არ იქნება განხილული საკონფლიქტო კომისიებში

ა.-კ. შრომის კომისარიატის დადგენილებით საკონფლიქტო კომისიებში და შრომის ორგანოებში არ იქნება განხილული: 1) იმ პირთა საქმეები, რომლებიც ამა თუ იმ თანამდებობას ასრულებენ არჩევის წესით, 2) დაწესებულებათა და წარმოებათა გამგეობისა და კოლეგიის წევრების კონფლიქტები, 3) სხვადასხვა საკავშირო დაწესებულებათა ადგილობრივ კანტორებისა და განყოფილებების საქმეები, 4) ა.-კ. დაწესებულებათა უფროსების, მმართველების და მათი მოადგილეების საქმეები, 5) პასუხისმგებელი რედაქტორების, 6) ტექნიკური დირექტორების, მთავარი ინჟინერების და მათი მოადგილეების, 7) წარმოების, სამქროების და სახელოსნოების გამგეების და უფროსების, 8) სახაზინო დაწესებულებათა უფროსების, 9) საფაბრიკო-საქარხნო დაწესებულებათა კომენდანტების, 10) საიდუმლო ნაწილის და განყოფილებების გამგეების და 11) პირადი მდივნების საქმეები.

### სახ. სავაჭრო და კოოპერატიულ დაწესებულებათა საყურადღებოდ

ქაღალდის მაკულატურის შეგროვების დროს იყო შემთხვევები, რომ ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებები საარქივო ქაღალდებს არჩევდნენ და აბარებდნენ მაკულატურის სახით სათანადო აქტის შეუდგენლად და საარქივო ორგანოს ნებადაურთველად.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია წინადადებას აძლევს უწყება - დაწესებულებებს დაიცვან საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილება: ძველი ქაღალდების გადარჩევის და ჩაბარების დროს შეადგინონ სათანადო აქტი და ის დასამტკიცებლად წარუდგინონ არქივის ორგანოს.

### თბ. აღმასკომში

◆ ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან ტერაპევტიულ განყოფილებისათვის ახალი შენობის ასაგებად გადაიდო 97.969 მანეთი.

◆ ტრამვაის ქვე-სადგურის ასაგებად თბ. აღმასკომმა გადასდო 74.000 მანეთი.

### მიწადმოქმედების კომისარიატში

◆ **საბჭოთა მამულის „უდაბნო“-სათვის** მიწადმოქმედების კომისარიატმა კასპიის იქითა მხარიდან მიიღო 179 კარაკულის ჯიშის ცხვარი.

◆ **ციხის ჯვარის ფერმისათვის** მიწადმოქმედების კომისარიატმა შეიძინა 25 ხევსურული ჯიშის ძროხა.

### საშეფო საზოგადოებაში

◆ **სოფლად მომუშავეების გამოყოფა.** თბილისის საშეფო საზოგადოების საბჭომ სოფლად სამუშაოდ გამოყო 10 დაზგის მუშა.

◆ **თბილისის საქალაქო კონფერენცია.** თბილისის საშეფო ორგანიზაციების საქალაქო კონფერენცია მოწვეულია 2 ივლისისათვის.

◆ **„შვებულის ცნობარი“.** საშეფო საზოგადოებამ გამოსცა სოფლად შვებულებაში მიმავალ მუშების სახელმძღვანელო წიგნი „შვებულის ცნობარი“.

### სხვადასხვა

◆ **ლომბარდის ახალი განყოფილება.** თბილისის ქალაქის ლომბარდმა გახსნა თავისი განყოფილება პლეხანოვის პროსპექტზე № 50.

◆ **სოცდაზღვევის მუშაკთა მოსამზადებელი კურსები.** სოცდაზღვევის კომიტეტმა გახსნა სოცდაზღვევის დარგში მომუშავეთა გადასამზადებელი თვენახევრიანი კურსები.

◆ **ელსადგურის მოსაწყობად.** საგარეჯოს თემაღმასკომმა თბილისში შეიძინა ელექტრო-ძრავი ადგილობრივ ახალი ელექტრო-სადგურის მოსაწყობად.

◆ **საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელთა კონფერენცია.** დღეს, საღამოს 7 საათზე მე-47 შრომის სკოლის შენობაში გაიხსნება შრომის სკოლების საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელთა საქალაქო კონფერენცია.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ოზურგეთიდან—სვანიძეს, ბანძიდან—სიგუას, კრზემიდან—ბაუშენკოს, და ტაუზკალიდან—მატინიანს.

◆ **ტროპიკულ მედიცინის კურსები.** ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში დასრულდა ექიმთათვის მოწყობილი კურსები, რომელიც წელს მოისმინა 8 პროვინციელმა ექიმმა. სულ დღემდე ინსტიტუტის მიერ ტროპიკულ მედიცინაში მომზადებულია 95 ექიმი. მათი დიდი უმრავლესობა მუშაობს მაზრებში.

— **საქ. გეოგრაფიულ ს-ბის მთასვლა-მგზავროსნულ განყ-ბაში.** ოთხშაბათს, 12 ივნისს, საღამოს 8 საათზე, სახ. უნ-ტის გეოგრაფიულ კაბინეტში შესდგება მთასვლა - მგზავროსნულ წურთნელთა კრება. ქ. ნიკოლაძე გააკეთებს მოხსენებას: „დ. ფრეშვილდის ასვლა თეთნულდზე“; ლ. ჩხეიძე — „დასავლეთ კავკასიონში მოგზაურობათა მიმოხილვა“. შესვლა თავისუფალია.

— **ექსკურსია ბაკურიანში.** მთასვლა-მგზავროსნულ განყ-ბას განზრახული აქვს 15-17 ივნისს მოაწყოს სამდღიური ექსკურსია ბაკურიანში და მის მიდამოებში. მსურველთა ჩაწერა მოხდება 12 ივნისის სხდომაზე.

## ნათესების მდგომარეობა

მიწათმოქმედების კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოში მიღებულია ცნობები ნათესების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში.

სენაკისა და ზუგდიდის მაზრებიდან მიღებული ცნობებით, იქ მთელი მაისის განმავლობაში ადგილი ჰქონდა გვალვას. მაისის უკანასკნელ რიცხვებში ამოვარდა ცხელი გრიგალი, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ნათესებს, ვენახს და ხეხილის ბაღებს. მარტო სენაკის მაზრაში დაზარალდა ნათესების 50 პროცენტი. გრიგალმა შეტრუსა ვენახის ფოთლები და გაანადგურა ვენახის ნაყოფი 40 პროცენტით. ხეხილი კი დაზარალდა 50 პროცენტით. თუთის ხეები განადგურებულია 70 პროცენტით.

დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რაიონებში, გარდა რაჭა-ლეჩხუმისა და ნაწილობრივ შორაპნის მაზრისა, ადგილი აქვს გვალვას, რაც ხელს უშლის ნათესების ზრდას. რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში გაზაფხულის თესვა უკვე დამთავრდა. მოსავალს საშუალოზე უკეთესი პირი უჩანს.

აღმოსავლეთ საქართველოში ნათესების მდგომარეობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია. გორის და კახეთის მაზრებში გაზაფხულის თესვის დროს კარგი ამინდები იყო, ხანგრძლივ გვალვებს შედეგად არ ჰქონია ადგილი.

## მუშათა განათლების საქმე

მუშათა განათლების საქმის მდგომარეობის შესახებ პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგემ ამხ. ა. მიქაძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

უკანასკნელ წლებში მუშები მასიურად ეტანებიან სწავლა-განათლებას, მაგრამ დღემდე არ იყო საშუალება მათი სურვილი სავსებით დაგვეკმაყოფილებია და ყველა მსურველი მოგვეთავსებია შესაფერ სასწავლებელში. ამ ნაკლის გამოსასწორებლად მიღებულია პრაქტიკული ზომები, რომელთა გატარებით შესაძლებელი იქნება სწავლა-განათლების მოწყურებულ მუშების უდიდესი ნაწილის დაკმაყოფილება.

მომავალ სასწავლო წელს მუშფაკებში მიღებული იქნება 120 კაცი. ამავე ფაკულტეტებთან გაიხსნება პროფმოძრაობის და ელექტრო-ტექნიკური განყოფილებები. განყოფილებებზე მიღებული იქნება მუშები 20—40 წლამდე, რომელთაც უნდა ჰქონდეთ 5 წლის შრომის სტაჟი.

გარდა ამისა წელს მუშათა ახალი უნივერსიტეტები გაიხსნება ჭიათურაში და ქუთაისში.

აღსანიშნავია, რომ წელს განზრახულია მაღალ ტიპის ტექნიკუმებთან მუშებისათვის მოეწყოს დამატებითი ჯგუფები.

ამ ჯგუფებზე მიღებული იქნებიან მხოლოდ მუშები 20—40 წლამდე.

ამასთანავე განზრახულია ჰასაკგადაცილებულ მუშებისათვის გაიხსნას 2 წლიანი კურსები.

## ქ უ თ ა ი ს ი

### ქუთაისის ოლქის დარაიონება

ქუთაისის ოლქის დარაიონებასთან დაკავშირებით—გამოყოფილია კომისია ამხ. ე. ღვამიჩავას თავმჯდომარეობით. პროექტების შესადგენად დარგების მიხედვით გამოყოფილია შემდეგი 22 ქვე-კომისიები: ოლქის ტერიტორიალური დარაიონების და ეკონომიური პირობების გამომკვლევი, სასამართლოს უწყებისა და პროკურატურის ოლქის სისტემაზე გადასაყვანი, საბიუჯეტო, სამრეწველო, შრომის დაცვის, ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა საშტატო, სატყეო მეურნეობის, სახელმწიფო დაზღვევის ქუთაისის ოლქის სამმართველოს და რაიონულ სააგენტოების ქსელის, მუშ-გლეხინის საოლქო სისტემაზე გადაყვანის, ადმინისტრატიულ განყოფ. საოლქო სისტემაზე გადაყვანის, განათლების განყოფილების, ჯანმრთელობის, მიწადმოქმედების, საგზაო მშენებლობის, კომუნალურ, სტატისტიკურ-ეკონომიური, შინა-ვაჭრობის მომწესრიგებელი, საფინანსო, სამხედრო საქმეების, სოციალურ უზრუნველყოფის და გლეხთა კომიტეტის.

კომისიებს დავალებული აქვს შეადგინონ წინასწარი პროექტები, აღნიშნულ დარგების მიხედვით—ერთი კვირის განმავლობაში.

ქუთაისის ოლქში გაერთიანებული იქნება შემდეგი მაზრები: ქუთაისის, შორაპნის და რაჭა-ლეჩხუმის. განზრახულია ქუთაისის ოლქის დაყოფა 17 რაიონად: ქუთაისის, სამტრედიის, ბაღდათის, ვანის, ხონის, ოკრიბის, ზესტაფონის, ჩხარის, ჭიათურის, საჩხერის, ხარაგოულის, ლეჩხუმის, ცაგერის, ჭრებალოს, ამბროლაურის, ონის და მექვენას რაიონები.

**ი. მესხი.**

## შაქარი შვებულებაში მიმავალ მშრომელთათვის

უკვე დაიწყო შვებულების სეზონი და იბადება კითხვა — თუ რამდენად იქნებიან შვებულებაში მიმავალი მუშა-მოსამსახურეები შაქრით უზრუნველყოფილი.

ამ საკითხის შესახებ ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობეს:

დიდ ქალაქებში შაქრით ვაჭრობა მოწესრიგებულია და აქ მშრომელი მოსახლეობისათვის დაწესებულია შაქრის მაქსიმალური ნორმა. ამავე ნორმის დაწესება სოფლებისათვის საჭირო არ არის, ვინაიდან სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ან სრულებით არ ხმარობს შაქარს, ან ხმარობს გაცილებით ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ქალაქის მოსახლეობა. ვინაიდან ზაფხულის განმავლობაში სოფელს ეტანება შვებულებაში მყოფი ქალაქის მშრომელი მოსახლეობის ნაწილი, ამიტომ ზაფხულის თვეებში სოფლის კოოპერატივებს შაქარი ეძლევათ გადიდებული ნორმით. რასაკვირველია, შაქარზე სოფლებში მტკიცე ნორმის დაწესება ვერ მოხერხდება, მაგრამ ქალაქიდან ჩასული მშრომელი მოქალაქეები იქ შაქარს მიიღებენ იმავე რაოდენობით, როგორც ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობა. კურორტებისათვის ზაფხულის პერიოდში გამოყოფილია შაქრის სპეციალური ფონდი, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს კურორტებზე მყოფ მშრომელ მოსახლეობას.

ცეკავშირის ცნობით, ა. წ. ოქტომბრიდან 1 აპრილამდე საქართველოს სოფლებში თვიურად იხარჯებოდა 29 ვაგონი შაქარი ზაფხულის პერიოდში კი სოფლის კოოპერატივებს შორის განაწილებული იქნება 34-36 ვაგონი შაქარი და ამრიგად ქალაქიდან დასასვენებლად წასული მშრომელები უზრუნველყოფილი იქნებიან იმავე ნორმით, როგორითაც ადგილობრივი მოსახლეობა.

გარდა ამისა, საქართველოს კურორტებს გადაეცა 2,5 ვაგონი, ხოლო სანატორიუმებს — 2 ვაგონი შაქარი.

## საქ. მეტყავეთა კავშირის მე-8 ყრილობა

10 ივნისის საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობის გარშემო.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ თუმცა კავშირის მუშაობაში არის მნიშვნელოვანი მიღწევები, მაგრამ ადგილი აქვს თვალსაჩინო დეფექტებსაც. ცენტრალური გამგეობა სუსტად აწარმოებდა თავისი დირექტივების შესრულების შემოწმებას, ზოგიერთ ადგილებში მუშათა დაწინაურება მასების მონაწილეობის გარეშე ხდებოდა. ზოგიერთი შემფ.-საკონფლიქტო კომისიები ძალიან აჭიანურებენ განცხადებების განხილვას, კავშირის წევრებში სუსტადაა დაყენებული მასიური კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. კერძო სახელოსნოებში შეგირდების შრომის პირობები ძალზე მოუწესრიგებელია; საჭიროა გამომუშავების ნორმების სერიოზული მოწესრიგება. ურთიერთ დამხმარე სალაროების მუშაობა ძალზე მოიკოჭლებს. სუსტადაა დაყენებული აგრეთვე ახალგაზრდათა შორის მუშაობა; მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად ცოტა რამაა გაკეთებული. კავშირის ზოგიერთ ქვედა ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა გაფლანგვებს.

11 ივნისის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი.

## ჩააბარეს გამოცდა ცხრაწლედის პროგრამაზე

განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ კომისიაში 9 წლედის სიმწიფის მოწმობაზე გამოცდები ჩააბარეს შემდეგმა პირებმა:

აბესაძე მიხეილ, ახვლედიანი ნინო, გნოლიძე სპირიდონ, გიგინეიშვილი ნინო, დობორჯგინიძე პლატონ, ვარაზაშვილი მიხეილ, თავართქილაძე გაბრიელ, კერვალიშვილი ნიკოლოზ, კუსრაშვილი ალექსანდრე, მირცხულავა ივანე, მაისურაძე თამარა, მიქელაძე გივი, ნაკაიძე ივანე, პლატონოვი არკადი, სიხარულიძე შალვა, საღირაშვილი ზაქრია, სერედა ვიქტორ, ფურაძე შალვა, ფხაკაძე ალექსანდრე, ღვინიაშვილი ბესარიონ, შარიქაძე ტერენტი, შათაშვილი სიმონ, წიფურია ექვთიმე; ჭინჭველაშვილი მიტროფანე, ჭელიძე ალექსანდრე, ხითარიშვილი ივანე, ჯავახიშვილი გივი, კილაძე; ალავიძე შალვა; ალავიძე პიმენ, ბეჟაშვილი დავით, გაგნიძე ბიქტორ, გურგენიძე ვლადიმერ, პეტრიაშვილი ბიძინა, ულენტი შალვა, სიმონგულოვი არშაკ, სალუქვაძე მარიამ, ფანცულაია ლიდა, ქარუმიძე ელენე, დოლონაძე ანდრო, შენკოვი გიორგი, ჩონიშვილი ნიკოლოზ, ჯმუხაძე ნიკოლოზ, ჯანელიძე იოლანტა, გოგუაძე ივანე, ებანოიძე ივანე, თადუმაძე გიორგი, კოზმანოვა ანტიგონა, კოზმანოვა ევანტია, მღებრიშვილი დავით, მაღლაკელიძე ვახტანგ, მამალაძე გიორგი, მუზაშვილი შალვა, მგელაძე ლიზა, მახარაძე თამარა, მანაგაძე ალექსანდრე, ოქრომჭედლიშვილი გიორგი, ტერ-ორგანეზოვი ლიპარტ, ფანჯაკიძე ნოე, ქოჩაკიძე ნიკოლოზ, შაფათავა თედორე, ჩიტაშვილი დავით, ცქიტიშვილი ვახტანგი, საბუტაშვილი ირაკლი, ჯინჯიხაშვილი იაკობ, ჯაში იური, ანიკინი ნიკოლოზ, ჭთანელაშვილი ეთერ, აღნიაშვილი ალექსანდრე, ადამია ალექსანდრე, ზუხრაშვილი პროკოფი, ვეზირიშვილი ნინო, ვაშაკიძე ლეონტი, ზაბაცკი ვლადიმერ, კალანდაძე გრიგოლ, ლუარსაბოვი დარჩო, ლეონტიევი ვლადიმერ, მელიქაძე ლეონიდ, მურმანიძე გრიგოლ, ნარუაშვილი მაკარი.

## ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

### დახვრეტა ყაჩაღებს

სოფელ მუღანლოში (ბორჩალოს მაზრა) -- ნოემბერს ხელისუფლების წარმომადგენლები ასეთ სურათს წააწყდნენ ერთ-ერთ საჩაიეში.

საჩაიეს მეპატრონე **სოიუნ ისმაილ-ოღლი** სისხლში გადვარული უსულოდ ეგდო დახლთან. გაიღეს მეორე ოთახის კარი და კიდევ უარესი სურათი აღმოჩნდა. დამდგარი იყო სისხლის გუბე, რომელშიაც შეცურებული იყო დაჩეხილ - დასახიჩრებულ კაცის გვამი. მოკლული ძლივს გამოიტანეს. ის აღმოჩნდა მოჯამაგირე **იუსუფ ზეინალ-ოღლი.**

სასწრაფოდ დაიწყო საქმის გამოძიება. მილიციას ეცნობა, რომ იმ დილით საჩაიეში შევიდა ორი ახალგაზრდა ხურჯინებით. მათ დალიეს ჩაი. ფული არ გადაუხდიათ. დასტოვეს ხურჯინები და დაიბარეს, რომ ისინი მალე უკანვე დაბრუნდებიან. ახალგაზრდებს თან ჰქონდათ ხანჯლები. სთქვეს, რომ შორეული სოფლიდან არიან და შორს მიემგზავრებიან. ამ ახალგაზრდობის მნახველი ასწერდა მათ გარეგნობასაც.

ეჭვით დაპატიმრებული იქნენ **ფაშა ნავრუზ-ოღლი** (24 წ.), და **ჰასან აბაზ-ოღლი,** რომლებიც გამოტყდნენ დანაშაულში. მათ ასეთი საზიზღარი მკვლელობა ჩაუდენიათ გაძარცვის მიზნით. წაუღიათ 5 გირ. შაქარი, 6 ნარმის პერანგი და 40 მანეთი ფულად.

ყაჩაღები გაასამართლა ქ. შაუმიანის სასამართლომ, რომელმაც **ორთავეს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა.**

მსჯავრდადებულებმა განაჩენი გაასაჩივრეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### უღირსი მილიციელები

ს. ანანურის სამილიციო სადარაჯოს უფროსი **ივანე ესტატესძე აბრამაშვილი** და თანამშრომელი **ნიკოლოზ დიმიტრის ძე მაჭავარიანი** გ. წ. სექტემბერს გაილეშენ ადგილობრივ სამიკიტნოებში და შემდეგ მიაკითხეს საპატიმრო ოთახს, სადაც სრულიად უკანონოდ დაპატიმრებული ჰყავდათ გლეხი **იოსებ ჩარბიდაშვილი.** გალეშილმა მილიციელებმა ცემა დაუწყეს გლეხს. ხმაურობაზე იქვე მეზობლად მცხოვრები **მარიამ ხოსიაშვილი,** გამოვიდა აივანზე. საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ მილიციელებმა დაინახეს აივანზე მდგომი მარიამ ხოსიაშვილი. მილიციელებმა იცოდნენ, რომ მარიამი იმ ღამეს მარტო იყო ბინაზე, შეუვარდნენ ოთახში და ძალით დაიჭირეს მასთან სქესობრივი კავშირი.

უღირსი მილიციელები ადგილობრივ საჯაროდ გაასამართლა თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოს სესიამ. გასამართლებას დიდძალი გლეხობა დაესწრო.

**ბრალდებულებს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა სამ-სამი წლით სასტიკი იზოლაციით.**

**ზერ.**

## შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი

### გაუპატიურება

ხაშურში მცხოვრებ მეთუხრუშე დ. ოტიაძეს ერთ დღეს დაეკარგა 8 წლის გოგო. მთელი ოჯახი ამაოთ ეძებდა ბავშს, გადააბრუნეს მთელი ქალაქი, მაგრამ ბავშის კვალს ვერ მიაგნეს.

ბავშის უფროსი ძმა, რომელიც აგრეთვე ეძებდა თავის პატარა დაკარგულ დას, საღამოს გავიდა ქალაქის გარეთ და კარგა ხნის ძებნის შემდეგ მინდორში წააწყდა ღონემიხდილ ბავშს, რომელსაც კიდევ აწვალებდა 18 წლის ვანო კურტანაძე.

ვანო კურტანაძე სიკვდილით დაემუქრა ბავშის ძმას, თუ ის გაბედავდა მისი მოქმედების გამჟღავნებას

როგორც ექიმებმა გამოარკვიეს, კურტანიძეს ბავშის გაუპატიურება ვერ მოეხერხებია, სამაგიეროდ ბავშს სასქესო ორგანოები აღმოჩნდა დაზიანებული.

ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

### თავის მოწამვლა

ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე თავი მოიწამლა მარიამ პეტრეს ასულ არშაკოვსკაიამ, რომელიც სასწრაფოდ გადაიგზავნა რკ.-გზის საავადმყოფოში.

### შეპყრობა

მუშკოვის პასაჟში შეიპყრეს ალექსი მიხეილის ძე და მარიამ გრიგოლის ასული ტუპიკოვები, რომლებმაც ლადო პოპოვს ჯიბიდან ამოაცალეს ფული.

### ქურდობა

გაქურდეს ლეონტი ცვერიანიძის ბინა.—კახეთის მოედანზე სამხედრო კოოპერაციის მაღაზიიდან (№ 18) ჭერის ჩამონგრევის საშუალებით მოიპარეს სხვადასხვა საქონელი, რომლის ღირებულება ირკვევა.

## სააგიტაციო მოტო-გადარბენა

ივლისის პირველ რიცხვებში მთელ საბჭოთა კავშირში ჩატარებული იქნება „ავტოდორ“-ის კვირეული.

კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებით თბილისის ავტოკლუბის მოტოსექცია აწყობს დიდ საგიტაციო მოტო - გადარბენას შემდეგი მარშრუტით: თბილისი - ლიუქსემბურგი-ვორონცოვკა. ამასთანავე გადარბენის მონაწილენი შეივლიან მახლობელ სოფლებში.

„ავტოდორ“-ის მიზნების პოპულარიზაციის მიზნით, გადარბენის მონაწილენი თან წაიყვანენ დრამატიულ წრის წევრებს, რომლებიც ადგილებზე გამართავენ წარმოდგენებს, წაიღებენ მოძრავ კინოს სოფლებში კინო-სეანსების მოსაწყობად და ჩაატარებენ ლექციებს, მოხსენებებს და საუბრებს.

### ღამის მოტო-გადარბენის შედეგები

როგორც აღნიშნული გვქონდა, 9 ივნისს თბილისის ავტოკლუბის მოტოსექციამ მოაწყო პირველი ღამის მოტო - გადარბენა მარშრუტით: თბილისი - კოჯორი - პრიუტი-თბილისი.

გადარბენაში მონაწილეობა მიიღო სულ 13 მოტოციკლეტმა და ორმა ავტომობილმა.

მოტოციკლეტები დაყოფილი იყვნენ სამ კატეგორიად.

პირველ კატეგორიის მოტოციკლეტებში ყველაზე მეტი გამძლეობა და საწვავ მასალის ეკონომია გამოიჩინა 1926 წლის გამოშვების „ჰარლეი-დავიდსონ“-მა („ზაკავტოპრომტორგ“-ის), მოტოციკლისტი ამხ. ბ. იაკობიძე.

მეორე კატეგორიაში შევიდნენ 1918, 24 და 25 წლებში გამოშვებული მანქანები. აქ ყველაზე უკეთესი შედეგები საწვავ მასალის ეკონომიურად ხარჯვის მხრივ გამოამჟღავნა იმავე სისტემის („ჰარლეი-დავიდსონი“) მოტოციკლეტმა. (საქ. პროფსაბჭოსი), მოტოციკლისტი ამხ. ვახ. ანთიძე.

მესამე კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა „ნორტონ“-მა (1927 წ. გამოშვება, ავტოჯავშანდივიზიონისა), მოტოციკლისტი ამხ. ტაუერი.

გადარბენის კომანდორები იყვნენ ამხ. ზ. მაჩაიძე და პეტროვი.

## მთიელთა კულტურულ საზოგადოებაში

### ვაჟა-ფშაველას სახლის მოწყობა

საქ. მთიელთა კულტურულმა საზოგადოებამ გადასწყვიტა სოფ. ჩარგალში შეიძინოს ვაჟა-ფშაველასეული სახლი, რომელიც შეკეთებული იქნება და შემდეგ იქ მოეწყობა სამკითხველო, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, ჭრა-კერვის სკოლა და ვაჟას კუთხე.

### ახალი სამკითხველოების მოწყობა

აპრილის განმავლობაში საზოგადოებამ გახსნა 10 ახალი სამკითხველო ხევსურეთის შემდეგ სოფლებში: ხახმატში, როშკაში, და შატილში. ფშავეთში სამკითხველოები გაიხსნა —სოფ. გუდრუხში, ხომში და კაწალახევში; ჭთიულეთში—სოფ. გამსში, ლეთხუმში და ხადომში.

### სას.-სამეურნეო მანქანების მიწოდება

მთიელთა კულტურული საზოგადოების გამგეობამ დაადგინა შეიძინოს 5 რკინის გუთანი და ხუთი გაუმჯობესებული ფარცხი მთიულეთის სოფლებში გასაგზავნად.

## რკინის გზეზე

### პირდაპირი მიმოსვლა აღდგენილია

როგორც ვსწერდით, 10 ივნისს გერან-მინგეჩაურის შორის დაიმტვრა მატარებელი № 3001. მატარებლების მოძრაობა ამ შემთხვევის გამო შეწყვეტილი იყო 12 საათის განმავლობაში. მოძრაობის აღდგენა შესაძლებელი შეიქნა მოსავლელი ხაზის დაგების შემდეგ.

შემთხვევამ გამოიწვია სახალხო მატარებლების დაგვიანება.

### შემთხვევა სადგ. ალაბაშლიში

10 ივნისს, საღამოს სადგ. განჯაში მანევრების დროს, სამანევრო ორთქლმავლის მემანქანე მერკულოვმა მძლავრად დააჯახა ორთქმავალი ვაგონებს.

ამის გამო სამი ვაგონი მოსწყდა დანარჩენებს და გაემართა ალაბაშლისაკენ. ვაგონების დასაჭერად ორთქლმავლით წავიდა განჯის სადგ. მორიგე, მაგრამ ვაგონებს ვერ დაეწია.

ვაგონები სადგ. ალაბაშლის შესასვლელ ისრებზე დაეჯახა მატარებელს № 2002. დაჯახების გამო დაიმტვრა ოთხი დატვირთული ვაგონი, ორი მატ. № 2002-ს შემადგენლობიდან და ორიც წასულ ვაგონებიდან.

ამ შემთხვევამ გამოიწვია მოძრაობის შეფერხება 9 საათით. მოძრაობა აღადგინეს დამხმარე მატარებლით გაგზავნილმა მუშებმა.

### თბომავლების საცდელი მგზავრობა

ა.-კ. რკინის გზის გამგეობაში მიღებულია ცნობა, რომ ივნისის დამლევს გზათა სახალხო კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს ორი თბომავლის საცდელი მგზავრობა.

ერთი თბომავალი იმგზავრებს შემდეგი მარშრუტით: მოსკოვი, ხარკოვი, როსტოვი, ბაქო, ბათომი და უკან.

მეორე—მოსკოვი-ტულა-კიპელი-ორენბურგი-ტაშკენტი-კრასნოვოდსკი და უკან.

### ხილის საცდელი გადაზიდვა

მოსკოვიდან ჩამოვიდა გზათა სახ. კომისარიატის კომისია, რომელიც ამჟამად ა.-კ. რკინის გზაზე აწარმოებს ხილეულის და ბოსტნეულის საცდელ გადაზიდვას.

## ფ ე ხ ბ უ რ თ ი

### ამიერ-კავკასია—უზბეკისტანი

როგორც ვსწერდით, ა.-კ. ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა პირველი შეჯიბრება ტაშკენტში (მეორე ნაკრებ გუნდთან) მოიგო 5:0.

ამიერ-კავკასიის გუნდი ამ შეჯიბრებაში თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: **სოლონინი, მატიენკო** (ორივე თბილისი), **რაიხი** (ბაქო), **რამიშვილი** (თბილისი), **კუზნეცოვი ანდრონიკოვი** (ორივე ბაქო), **ბელდენკო, ასლამაზოვი, დოკოვი** (სამივე თბილისი), **ნუშკოვი** (ბაქო) და **ქებაძე** (თბილისი).

### მელითონეები — მედსანშრომის მუშაკები

მელითონეთა და მედსანშრომის მუშაკთა კავშირების პირველი გუნდების კალენდარული შეჯიბრება, რომელიც მოხდა კვირას, 9 ივნისს, ძლიერი წვიმის გამო დამთავრებული არ იქნა და გადაიდო შემდეგი კვირისათვის.

დაუმთავრებელი დარჩა აგრეთვე „დინამო-პირველის“ და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის შეტად საინტერესო მატჩი.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება

### საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### მტკვარში და ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის რაიონში ორაგულისა და სხვა თევზის ჭერის აკრძალვის შესახებ

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს ორაგულისა და სხვა თევზის ჭერა წელიწადის რა დროც უნდა იყოს მდინარე მტკვარსა და მის ტოტებში ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურისათვის მიჩნეული ტერიტორიის სანაპირო ზოლის ფარგლებში.

2. აიკრძალოს ორაგულის ჭერა მდინარე მტკვარსა და მის ტოტებში, აზერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრიდან დაწყებული, ვიდრე ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის საგუბრამდე, თებერვლის 1-იდან ივლისის 1-მდე.

3. ამა დადგენილების 1 და 2 მუხლების მოქმედება არა ვრცელდება იმ თევზის ჭერაზე, რასაც აწარმოებს აზერბეიჯანის ს.ს.რ.-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ბაქოს იხტიოლოგიური ლაბორატორია.

4. აიკრძალოს საგუბრებისა და სხვა ღობერების გამართვა ამა დადგენილების 1 და 2 მუხლებში აღნიშნულ რაიონებში.

5. აიკრძალოს ამა დადგენილების 1 და 2 მუხ. აღნიშნული ხნის პერიოდში ორაგულის გაყიდვა თევზის მრეწველობის ზედამხედველობის სათანადო ნებართვის გარეშე.

6. ამა დადგენილების 1,2 და 4 მუხლების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხოლო მე-5 მუხლის დარღვევისათვის—იმავე კოდექსის 111 მუხლის თანახმად.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი

**პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. მაისის 28.
თბილისი—სასახლე.

### სავალდებულო დადგენილება

### ს.ს.ს.რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა

14 მაისი, 1929 წ.
ქ. თბილისი.

**„ყველა მოქალაქეთა და თანამდებობის პირთათვის, რომლებიც მ.-გ. წითელ არმიის რიგებში არ მსახურობენ, სამხედრო მსახურთათვის და სხვა სამოქალაქო დაწესებულება და უწყებათათვის მიკუთვნილ ფორმისა და გასარჩევი ნიშნების ტარების აკრძალვის შესახებ“.**

ვინაიდან გახშირდა მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მიერ, რომლებიც მ.-გ. წითელ არმიის რიგებში არ მსახურობენ, სამხედრო მსახურთათვის და სხვა სამოქალაქო დაწესებულება და უწყებათათვის მიკუთვნილ ფორმისა და გასარჩევი ნიშნების ტარება, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

1) აეკრძალოს ყველა მოქალაქეთ და თანამდებობის პირთ, რომლებიც მ.-გ. წითელ არმიის რიგებში არ მსახურობენ, სამხედრო მსახურთათვის მიკუთვნილ ფორმისა და გასარჩევი ნიშნების ტარება და აგრეთვე ისეთი ფორმისა და გასარჩევი ნიშნებისა, რომელიც მათ არ აქვთ მიკუთვნილი თავიანთი სამსახურის მიხედვით.

2) თვალყურის დევნება ამ სავალდებულო დადგენილების შესრულებისათვის ეკისრება რესპუბლიკის მილიციის ორგანოებს.

3) ამა დადგენილების დამრღვევთ დაედებათ გადასახდელი ადმინისტრატიული წესით: გაფრთხილება, ჯარიმა 50 მანეთამდე, იძულებითი მუშაობა ან დაპატიმრება ორ კვირამდე.

4) მე-3 მუხლში აღნიშნული ადმინისტრატიულ გადასახდელის დადების უფლება ენიჭებათ მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის ადმინისტრატიულ განყოფილებათა უფროსებს, მხოლოდ, სადაც ასეთი არ არის—მაზრის მ.-გ. მილიციის უფროსებს და ქალ. ფოთში კი—ქალაქის მილიციის უფროსს.

5) დადგენილება ესე ვრცელდება საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

6) ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის ორი კვირის შემდეგ დღიდან გამოქვეყნებისა.

**შინსახკომის მოადგილე ზურაძე.**

ადმინისტრატიულ სამმართველოს უფროსის მოადგილე და რესპუბლიკის მილუფროსი
**მაჭავარიანი.**

## რ ა დ ი ო - გ ა დ ა ც ე მ ა

### ოთხშაბათი, 12 ივნისი

დღეს თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღამოს 6 საათიდან—ოქტომბრელის საათი, რუსულ ენაზე; რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; საგლეხო კონცერტი; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; საუბარი სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებზე, ქართულ ენაზე.

საღამოს 8 საათიდან—საუბარი მაჰერამის (შახსეი-ვახსეი) დღესასწაულის შესახებ, თურქულ ენაზე; რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე; საღამო, რომელიც მიძღვნილი იქნება აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მწერლებისადმი, [illegible] გამო; უკანასკნელი ამბები; [illegible] ამბავი, რუსულ ენაზე.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ საკონფლიქტო კომისიის სხდომა შესდგება 12 ივნისს, საღამოს სრულ 6 საათზე. სხდომას უნდა დაესწრონ ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის ყველა წევრები და აგრეთვე ის ამხანაგები, რომელთა საქმეები ირჩევა საკონფლიქტო კომისიაში.**

გამოცხადება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

**ოთხშაბათს, 12 ივნისს, საღამოს სრულ 5 საათზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომფაკულტეტის კომუჯრედის ღია სხდომა.**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტის** საამშენებლო ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა მოწვეულია დღეს, ნაშუადღევის 4 საათისათვის. ბიუროს წევრებისა და კანდიდატების გარდა აღნიშნულ სხდომას უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: დავით დემეტრაძე, შალვა ქობესაშვილი, ნ. მანჯგალაძე, ს ეძგვერაძე, ვ. კახეთელიძე და ყველა ის ამხანაგები, რომელთაც შეტანილი აქვთ ბიუროში განცხადებები.

გამოცხადება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტში ამხ. ზაჟალმასთან (ოთახი № 66) დღეს, დილის 9 საათისათვის გამოძახებული არიან ქვემოთ დასახელებული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ამხანაგები:

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობიდან—ამხ. **გეგენავა,** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ცენტრ. გამგეობიდან—ამხ. **ორჯონიკიძე,** კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის ც. გ.-დან —ამხ. **სირაძე,** მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ც. გ.-დან—ამხ. **სიხარულიძე**—13 ივნისს დილის 10 საათისათვის, კავშირგაბმულობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობიდან—ამხ. **თვალჭრელიძე.**

**თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის** მექანიკური ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს 12 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე. ბიუროს წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა. სხდომას უნდა დაესწრონ აგრეთვე ამხ. დავითაშვილი და მაცაბერიძე.

**დღეს, 12 ივნისს, 1 საათზე პოლიტ. ინსტიტუტში უნდა გამოცხადნენ საერთო კრებაზე ყველა სტუდენტები.**

---

ღრმად დამწუხრებულნი: მამა რომანოზ, მეუღლე თამარ, შვილები: დავით და ია, რძალი თინათინი, შვილიშვილი ლიიკო, დები მელო და ლიუბა, ძმა ტერენტი ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, რომ 10 ივნისს, საღამოს 5 საათზე გარდაიცვალა მათი უძვირფასესი

**სერგი გორგაძე**

სამოქალაქო პანაშვიდი განათლების მუშაკთა სახლში (საქართველოს მუზეუმის ახალი შენობა). დაკრძალვა ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე. (შ)

---

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 10 ივნისს გარდაიცვალა მუზეუმის მოამაგე დირექტორი

**სერგი გორგაძე**

გამოსვენება ბინიდან (არაგვის ქ. № 8) დღეს საღამოს 5 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) სამოქ. პანაშვიდი იქვე საღამოს 6 საათზე. 2180

---

სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობა მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდგომ გარდაიცვალა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის დირექტორი, დამსახურებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე

**სერგი რომანოზის-ძე გორგაძე**

დაკრძალვა ხუთშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე. ნ. 2839

---

მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიურო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას სექციის წევრის, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის დირექტორის

**სერგი რომანოზის-ძე გორგაძის**

გარდაცვალებას. ნ. 2838

---

ლენინის რაიონის მე-16 კომუჯრედი აუწყებს ამხანაგებს უჯრედის წევრის

**ამხ. ვლადიმერ გასვიანის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება ბინიდან (მე-9 კომისარიატის შენობა . (შ)

---

მე-8 შრომის სკოლის თანამშრომლები, მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე სკოლის თანამშრომლის

**აგნია ნიკოლოზის ასულის მიქაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან (ყოფ. ალექს. კლინიკა) დღეს, 12 ივნისს, საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2178

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები იოსები და ივლიტა, ძმები: სერაპიონ, ვლასი, ილარიონი და გრიშა, დები ვერა, ანასტასია და გალინა აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**შალვა იოსების-ძე ქუქალიას**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 13 ივნისს, სოფ. ტობანიერში. ნ. 2835

---

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი მეუღლე თამარი, შვილებით—ილია და ნოდარით, სიმამრი და სიდედრი აბელი და მაშო არუთინოვები, ბიძა ადამი, ბაბუა და ბებია მაქსიმე და ნუშო ჩიგოგიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 10 ივნისს, დღის 5 საათზე, რკ. გზის საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

**სიმონ (სოსო) ბეგლარის-ძე კლდიაშვილი**

გამოსვენება ბინიდან 13 ივნისს, საღამოს 4 საათზე, შრომის ქუჩა, № 62. 2171

---

გულდათუთქულნი მშობლები: ალვასი და ვასილი, აღმზრდელნი ნატალია და აკაკი, ძმები გრიგოლ და ნესტორ, დები აკვილინა, ოლია და ფოდოსი დეკანოსიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი, თბილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის მე-3 კურსის მოწაფე

**ვარლამ ვასილის-ძე დეკანოსიძე**

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 13 ივნისს, სოფ. ღარიხევში (ხარაგოულის თემი). 2169

---

სახკინმრეწველობის კინოები

| | |
|---|---|
| საზაფხულო ეთერი<br>სოლეი | მსოფლიო ფილმი **ჩიკაგო** |
| საზაფხულო აპოლო | უცხოეთის ახალი ფილმი **მწვანე შესახვევი** დადგმა რიხარდ ოსვალდის |
| პალასი | **პატი და პატაშონი** ყველაზე მხიარულ კომედიაში **ქალა და სილამაზე** |
| მინიონი | მხოლოდ 2 დღეს **კოშკი** |
| აპოლო | მხატვრული ფილმი **მიკიტანი ტანია** რეჟ. სვეტოზაროვი |

მალე 2 ჯავშნოსანი, ამბოხება, დიდი ქალაქის სიმფონია

---

**თბილისის ქალაქის ლომბარდი**

(კეცხოველის ქ. № 8) აცხადებს, რომ კვირას, 16 ივნისს, დილის 10 საათზე

დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 2797

---

**ქ. თბ. 4 რაიონ. სასამარ. აღმასრულ.**

**დალაქიშვილი**

ამით აცხადებს, რომ ის 17 ივნისს 1929 წ. დღის 2 საათზე სახლში № 53 რიყის ქუჩაზე

**საჯარო ვაჭრობით**

გაყიდის სურანა არუთინოვას უძრავ ქონებას: რვა ოთახიან აგურის სახლს შეფასებულს 2000 მანეთად, ევა ტონაკანიან-სარქისოვას და არტაშეს ხაჩატურიანცის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-3 სახელმწიფო სანოტ. კანტორის 1928 წ. 30 მაისს № 1196 აღსრულებითი წარწერისა. ვაჭრობა იწარმოებს 310, 311, 312, 313 და 314 შ. მ. ს. ს. ს. კ. დაცვით. 2173

---

ამ დღეებში
კინო-თეატრებში
**აპოლო-სოლეი**

**ამბოხება**

დ. ფურმანოვის ცნობილი მოთხრობის მიხედვით
დადგმა რეჟ. ს. ტიმოშენკოს.
ნ. 2840

---

ექიმი
**გ. მ. ფხალაძე**
**სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) დ კანის სნეულებანი.**

მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ.; საღამ. 6—7 საათ. ქალები, 7—9 საათ. კაცები

მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან). 25—1

---

პროფ. **გრ. მ. მუხაძე** თბილისიდან წასულია და დაბრუნდება 20 ივნისს. 13—1

---

თბილისის 1-ლი სამრეწველო საამკინძაო-სათამაშოების კოოპერატიული არტელი

**„სკოლის დახმარება“**

ახდენს ლიკვიდაციას ამისათვის ვსთხოვთ ყველა მთხოვნელებს მოგვმართონ ივნისის 30-დე, შემდეგ არავითარი პრეტენზიები დაკმაყოფილებული არ იქნება.

2168 დუმბაძის ქ. № 2 სალიკვიდაციო კომისია

---

**ქუთაისის 1-ლი უბ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა**

აცხადებს, რომ ის **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვლადიმერ ხოჯაშვილის დუქნის მოძრავ ქონებას (ლერმონტოვის ქ. დუქანი № 125), შეფასებულს 250 მან. 90 კაპ; გაიყიდება ბოთლები ფოფალი და სხვ.—დღის 12 საათზე, ხოლო 2 საათზე—ბინის მოწყობილობა (პუშკინის ქ. № 3): ბუფეთის შკაფი და სხვა, შეფასებული 525 მან. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია 1929 წ. 20 ივნისს ქონება იყიდება მარია ბაინდუროვის, წითელი ჯვრის და სხვა—დასაკმაყოფილებლად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებითი თანხიდან. 2176

---

**ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი შ. ს. ლაბაძე**

**ამით აცხადებს, რომ ის ქალ. ჭიათურაში ნინოშვილის ქუჩაზე 15 ივნისს 1929 წ. დღის 12 საათზე**

**საჯარო ვაჭრობით**

გაყიდის ძმ. ჩილინგირიანების ორ სართულიან საცხოვრებელ შენობას, შეფასებულს 2.000 მან. დასაკმაყოფილებლად სერგო ზაქარიას ძე ისაიევის ვალისა, თანახმად შორმაზრის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა 1928 წ. 7/8 აგვისტოს თარიღით № 1616. ვისაც სურს მონაწილეობის მიღება შენობის საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული სამ. საპ. კოდ. მე-311 მუხ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. 2177

---

**შორაპნის ჯანგანყოფილება**

**იწვევს ექიმს**

თავისუფალ ადგილებზე, როგორც ჭიათურის სამრეწველო რაიონში, ისე მაზრის სხვა ფარგლებში. ხელფასი 150—200 მანეთამდე. პირობების გაგება შეიძლება ქალ. ზესტაფონი, ჯანმრთელობის განყოფილება. 2145 3—1

---

ექიმი
**ქ. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვისპროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

---

ექიმი—ვენეროლოგი
**ნინო მირიანაშვილი**
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

---

ექიმი
**ს. ი. ანდრეევისა**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78.

---

ანა ვასილის ასული
**მიქაბერიძე**
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
**„სილამაზის ინსტიტუტი“**

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25

---

**ი. ი. ბერიშვილი**
**ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა**
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

---

ქ. ქუთაისში
ექიმი
**დ. ა. ჩეჩელაშვილი**
**იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს**
დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—1

---

კბილის ექიმი
**დ. ს. რიჟინაშვილი**
კბილების დ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

---

ლოგოპედი
**ა. ა. კაიშაური**
**ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა**
**ასწორებს**
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
**იღებს:** საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

---

ექიმი
**ა. დ. კეკელია**
**სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება**
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

---

ექიმი ოდონტოლოგი
აპოლონ პავლეს ძე
**ურუშაძე**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 8 ნახ. საათიდან 12 საათამდე.
2014—13—1

---

ექიმი
**პ. ი. ჯალალოვი**
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) **სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა**
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

---

ექიმი
**მ. გ. შახნაზაროვი**
**სპეციალურად**
სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

---

**ექ. დ. ლ. თევზაძე**
**ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა**
**აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა**
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: საღამოს 5—7 საათ გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №2—73 25—6 124-50

---

**დაიკარგა:** სამხედრო წიგნაკი № 13 პირადობის მოწმობა № 309, რკინის გზის სამგზავრო ექვსთვიანი ბილეთი № 4 გარეგინ ალექსის ძე მერუდაშვილის **სახელზე, ჩ. გ.**

**დაიკარგა:** პასპორტი მიკირტიჩ სარქისის ძე იუსუფკიანცის სახელზე, ჩ. გ. უფ.

---

ქ. ბათომის და მისი მაზრის აღმასკომის ადმინგანთან არსებული მმაჩის ბიურო ამით აცხადებს რომ მცხ. ქ. ბათომში, ზინოვიევის ქუჩა სახლი № 138, მოქ. გაიანე პავლეს ასულ ფულარიამ განცხადება შემოიტანა მისი ქმარის ირაკლი ალექსისძე ფულარიასაგან განქორწინების შესახებ, (უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილი არ იცის); განქორწინება დანიშნულია მმაჩის ბიუროს ბინაზე ა. წ. 20 ივნისს.

საერთო საადმინ. ქ.-განყ. უფროსი: მაღრაძე
მმაჩის ბიუროს გამგე: ქემხაძე.
ნ. 2836

**დაიკარგა:** ოთხწლედის დამთავრების მოწმობა № 179 ნოსირის 7 წლედიდან გაცემული აქსენტი კირილეს ძე ცომაიას **სახელზე, ჩ. გ.** 2179

**დაიკარგა:** პარტიული მანდატი № 0862728 სპირიდონ გირიგოლისძე ტყებუჩავას **სახელზე, ჩ. გ.** 2175

**დაიკარგა:** პურის წიგნაკი № 92 ნესტორ ფერონიძის **სახელზე, ჩ. გ.** 2174

**დაიკარგა:** საპენსიო წიგნაკი უკიდურესი სიღარიბის მოწმობა და მძიმე ავადმყოფობის საბუთები გაბრიელ მიხეილის ძე თახინაშვილის **სახელზე, ჩ. გ.** უფ.

**დაიკარგა:** პირადობის მოწმობა № თ | 13, თავდაცვა ავიაქიმის, რემედასის და ბავშთა დამხმარე საზოგადოების საწევრო წიგნაკები შიო (შოთა) ბესარიონის ძე თოფურიძის **სახელზე, ჩ. გ.** ნ. 2834

**დაიკარგა:** კავშირის საწევრო წიგნაკი № 13/14340, გაცემული ქუთაისის მშენებელთა კავშირიდან, დაზღვევის წიგნაკი, გაცემული ქუთაისის დაზღვევ. სალაროს მიერ, პირადობის მოწმობა, სარევიზიო აქტები ივანე გიორგისძე კაკაბაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2834

ტირაჟი—39.115
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამის ქუჩა № 68
მთავლიტი № 904.